

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ajara Autonomous Republic Government-
Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი თ ნ ი
A R C H E I O N
X

თბილისი 2015 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია ივანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტკარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი (თბილისი), თენგიზ ცინცკილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი (ბათუმი), მერაბ კეზევაძე (ქუთაისი), მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა (ბლაგოევგრადი, ბულგარეთი), მაკა ალბაგაჩიევა (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი)

Editorial Board

Maia Ivanishvili– chairman of editorial board

Tamaz Putkaradze – editor

Teona Iashvili (Tbilisi), Tengiz Tsintskiladze, Tengiz Salukvadze, Jaba Beridze, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili (Batumi), Merab Kezevadze (Kutaisi), Mariana Piskova, Nurie Muratova (Blagoevgrad, Bulgaria), Maka Albagachieva (Saint-Petersburg, Russia).

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.

ავტორების სტილი დაცულია

Any opinion expressed in the book belongs to the authors and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style is retained.

აჭარის საარქივო სამმართველო. ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი-<http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ნატო ქიქავა

**საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიოზური საქმიანობა აჭარაში
1930-1940-იან წლებში**

*(საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით)
(მოხსენება წაკითხულია საარქივო სამმართველოს V საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენციაზე)*

საბჭოთა იმპერიის კრახის შემდეგ საქართველოში განვითარებულმა სოციალ-ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა თუ სულიერ-სარწმუნოებრივმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა კომუნისტური მმართველობის პერიოდში მიმდინარე მოვლენების ობიექტური გაშუქება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიგიური პროცესების შესწავლა და ანალიზი. საბჭოური სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხების კვლევას ტაბუ ჰქონდა დადებული. წლების განმავლობაში რელიგიური პრობლემატიკა, ეთნო-კონფესიური პროცესები ერთმანეთისაგან გამიჯნულად, ცალმხრივად, საბჭოური იდეოლოგიის გათვალისწინებით შუქდებოდა. შედეგად, საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ (მიღწევების მიუხედავად) ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დაგვიტოვა ჩრდილოვანი მხარეები (თ. ფუტკარაძე, 2011:56).

ისტორიული ბედუკუდმართობის გამო საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში – აჭარაში ოსმალთა დამპყრობლებმა გააგრძელეს ისლამი. აღნიშნულმა გარემოებამ რეგიონში მიმდინარე რელიგიურ პროცესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა და სპეციფიკურობა შესძინა. რეგიონის მთავარი ქალაქი – ბათუმი XIX ს. მეორე ნახევრიდან სხვადასხვა შინაარსის, კულტურისა და რელიგიის თავშეყრის ადგილად იქცა. ერთის მხრივ, აქ მძლავრად იყო წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციული რწმენა-წარმოდგენები, ამავე დროს გზას იკვალავდა ისლამური, იუდაისტური და სხვა რელიგიური მიმდინარეობები. ყოველივე ეს, განპირობებული იყო ბათუმის გეოპოლიტიკური მდებარეობით. ქალაქის შემდგომმა განვითარებამ, მისმა საპორტო ქალაქად ქცევამ მოიზიდა განსხვავებული ეთნოსისა და რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები. აღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების და თემების ჩამოყალიბება, **რომელთა კულტურა ფართო მასშტაბით მოაზრებული ქართული კულტურის ნაწილად იქცა** (თ. ფუტკარაძე, 2011:56).

დღეისათვის, ბათუმში მართმადიდებლურ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობენ: მუსულმანები, ბაპტისტები, ეილოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, იუდაისტები და სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა რელიგიურ იდეოლოგიას. რელიგის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა „**მებრძოლ უღმერთთა კავშირები**“, მოგვიანებით კი სახკომსაბჭოსთან დაარსდა **რელიგიური კულტების საბჭო**, რომელსაც ჰყავდა თავისი რწმუნებუ-

ლები მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში. ნიშანდობლივია, რომ ანტირელიგიური საქმიანობისათვის დაწესებული ყოფილა სპციალური ჯილდო – **სამკერდე ნიშანი**. ამ ჯილდოთი დაჯილდოვებულთა შორის მოსხენიებულია რელიგიური კულტების საბჭოს რწმუნებული აჭარაში **მუხამედ ვანლიში** (ასსცსა, ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც.26). რწმუნებულები ყოველკვარტალურად წარუდგენდნენ საკავშირო ორგანოს რელიგიური მიმდინარეობების საქმიანობის დეტალურ ანგარიშს (თ. ფუტკარაძე, 2011:57).

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ აჭარის საარქივო სამმართველოს ცსა-ში დაცულ მეტად საინტერესო მასალებს (**ფონდი N260**), რომლებიც ასახავენ **„მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ (შემდგომში მუკი) საოლქო საბჭოს საქმიანობას 1930-1940-იან წლებში**. ფონდში შესულია 22 საქმეთა ერთეული, რომლებშიც წარმოდგენილია მებრძოლ უღმერთოთა კავშირის რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული საბჭოს ოქმები, „მუკის“ ჩამოყალიბების საკითხები, ანტირელიგიური ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვა, პროპაგანდისტების შერჩევა და მივლინება რეგიონის სოფლებსა და ქალაქებში, სამთავრობო ინსტრუქციები, ანტირელიგიური პროპაგანდისა და ამ საქმეში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ერთმანეთის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის საკითხები და ა. შ.

№1 საქმეში წარმოდგენილია ბათუმის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის **ბათუმის რაიონული საბჭოს 1937 წ. 29 დეკემბრის სხდომის ოქმი**, რომელშიც ერთ-ერთ საკითხად განხილული იყო მუკის ორგანიზაციის ჩამოყალიბების საკითხები. საბჭოს თავმჯდომარეობდა თ. ჭელიძე.

სხდომის დადგენილებით მუკის ორგანიზაციები ჩამოყალიბებული იქნა სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში. დოკუმენტში დაფიქსირებულია ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბების ადგილები და ხელმძღვანელი პირები, კერძოდ:

„მახინჯაურის მეურნეობაში – გ. ამაშუკელი;

სალიბაურში – ა. ურუშაძე;

მახვილაურში – გვაზავა;

ამხ. სტალინის სახ.კოლ. (ორთაბათუმში) – გ. აბესაძე;

აწვესში – კერესელიძე;

ორთაბათუმის ჩაის ფაბრიკაში (ურეხი) – ე. დევაძე;

უ.ნ.რ. 93 – მურადოვი;

რაიადმასკომში – გ. სალუქვაძე;

ახალშენის ბერძნულ არასრულ საშუალო სკოლაში – თ. ჭელიძე;

აჭარისწყლის სრულ საშუალო სკოლაში – თ. ჭელიძე“

მუკის ყველა წევრს ეძლეოდათ ხელისუფლების მიერ განსაზღვრული **ყოველთვიური ჯამაგირი**.

1937 წლის ნოემბრისათვის ბათუმში ჩამოყალიბებულია **მუკის 64 უჯრედი**, რომელიც აერთიანებდა 4000 წევრს. ქალაქის საბჭოს მუკის თავმჯდომარედ იმ პერიოდისათვის მუშაობდა **კირისილოფლი (ხარიტონ ახვლედიანი)** (ასსცსა,ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 76). ნიშანდობლივია ის,

რომ მუკის შექმნისას გარკვეული ყურადღებაა გამახვილებული ეთნიკურ მახასიათებლებზე.

დასახელებული ფონდის N1 საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე მუკის რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1937 წლის 18 დეკემბრის სხდომის ოქმი, რომელზეც ერთ-ერთ საკითად განიხილეს მუკის რესპუბლიკური საბჭოსა და ანტირელიგიური საბჭოს ხარჯთაღრიცხვა, თუმცა საკუთრივ ხარჯთაღრიცხვა ციფრობრივად საისტორიო დოკუმენტებში წარმოდგენილი არ არის. ამავე სხდომაზე ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისათვის **ლექტორ-პროპაგანდისტებად დაუმტკიცებიათ: მარო მახარაძე, ვუკოლ იაშვილი, ქემხაძე ზია, ჯემალ ნოღაიდელი, ახმედ აბაშიძე, მუხამედ ვანილიში, ეუბ ბაგიროვი, დავით კვაჭანტირაძე, გიორგი ჩხაიძე, გიორგი ამაშუკელი, ავნი დიასამიძე, ხუსეინ ხინიკაძე, ხრისტო ცაცანიდი, ვახტანგ სამსონია, ხადიე კომახიძე, ნური ნიჟარაძე, სერგო განჩაროვი, დიმიტრი უჩანეიშვილი, ლენსკი.** წარმოდგენილი ჩამონათვალიდან გადახაზულია – ალექო პარასკევოპულოს, ფეოდორ იაკოვლევის, მამფორიას, ნიკოლოზ სპილიოტის გვარები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 12), თუმცა სხვა დოკუმენტში ლექტორ-პროპაგანდისტებს შორის დასახელებულია თ. პარასკევოპულო, რომელსაც 1937 წლის 25 დეკემბრის ოქმის მიხედვით, ჩაუტარებია ლექცია თემზე: „რელიგიის წარმოშობა და მნიშვნელობა“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 6). მოხსენებათა თემატიკაში გათვალისწინებული იყო მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდება შობის, ანტიშაშობაო ღონისძიებების და ზოგადად რელიგიური დღესასწაულებისა და მათი მავნეობის შესახებ. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ლექტორ-პროპაგანდისტებს შორის დასახელებულია ნიკოლოზ სპილიოტი, რომელიც იყო არქივის თანამშრომელი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

მუკს ჰქონდა საკუთარი პერიოდული ორგანო „მებრძოლი ათეისტი“. 1937 წლის განმავლობაში გამოსულა ჟურნალის 9 ნომერი (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 395).

მკვლევართა ინტერესს იწვევს ის ფაქტი, რომ „სოციალისტური შეჯიბრების“ საბჭოური პრაქტიკა გამოყენებული იყო ანტირელიგიური საქმიანობის სფეროშიც. ანტირელიგიური საქმიანობის წარმოებისათვის გამოცხადებულ ე.წ. სოცშეჯიბრში აჭარის მუკს გამოუწვევია აფხაზეთის მუკის რესპუბლიკური საბჭო (ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 12). საქმეში წარმოდგენილია აღნიშნულთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია მუკის წევრების რაოდენობრივი ზრდა, ანტირელიგიური სწავლების გაძლიერება სკოლებში, სამეცნიერო-პოპულარული ლექციების წაკითხვა, ანტირელიგიური ლიტერატურის პერიოდული გამოცემების გამოწერა და ა.შ. (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 41).

მუკის წევრებს ეძლეოდათ სპეციალური წიგნაკები. ისინი ვალდებული იყვნენ გადაეხადათ საწევრო გადასახადები. საისტორიო საბუთებში დაცულია საწევრო ანარიცხებისა და შემოსული თანხების რეალიზაციის უწყისები, ასევე იმ ორგანიზაციათა და პირთა სია, რომლებსაც 1937 წლისათ-

ვის ჰქონდა საწვერო დავალიანება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 18,19).

მუკი აქტიურად მუშაობდა ანტირელიგიური ლიტერატურის გავრცელებისათვის. №1 საქმის მე-20 ფურცელზე წარმოდგენილია უწყისი – რომელ ორგანიზაციაში უნდაგავრცელებულიყო: „მებრძოლი ათეისტები“, „რელიგიის წარმოშობა“, „ანტირელიგიური პროპაგანდის ამოცანები“, „ინსტრუქციები“, „სოციალიზმი და რელიგია“ და სხვა სახის ლიტერატურა. უწყისში წარმოდგენილია აგრეთვე გავრცელებული ლიტერატურის რაოდენობა, ფასი და გავრცელების დრო (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 20).

ანტირელიგიური საქმიანობა ითვალისწინებდა სხვა სახის ღონისძიებების ჩატარებასაც. **ტარდებოდა საჯარო ლექციები, ადგილობრივი და რესპუბლიკური კონფერენციები.** მსგავსი ღონისძიებები იმართებოდა აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებშიც. ამ საქმიანობისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო გარკვეული რაოდენობის თანხა.

ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, რომ 1937 წლის 23 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო კონფერენცია ანტირელიგიური საქმიანობის გაძლიერების მიზნით, მაგრამ იგი ჩაშლილა, რადგან მუკის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს პასუხისმგებელ მდივანს მიხეილ ქარცივაძეს განსახკომის ბუღალტერიიდან კონფერენციის ჩატარებისათვის გათვალისწინებული 500 მანეთი მიუთვისებია. აღნიშნულთან დაკავშირებით საქმეში დაცულია ბათუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე დაწერილი ნ. სანიკიძის განცხადება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 74). საქმეში არის აგრეთვე მ. ქარცივაძის საპასუხო განცხადება, რომელშიც იგი აღიარებს აღნიშნულ ფაქტს და იღებს ვალდებულებას მისი თანდათანობით დაფარვის შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 75).

საქმეებში დაცულია სამთავრობო ინსტრუქციები **„მუკთან“ სხვადასხვა ორგანიზაციების თანამშრომლობის აუცილებლობის შესახებ** (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 28).

მუკი განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა სხვადასხვა ხასიათის პოლიტიკურ ღონისძიებებში, განსაკუთრებით კი არჩევნების პერიოდში. შესაბამისად, ტარდებოდა კრებები და ხდებოდა საარჩევნო უბნებზე მუკის აქტივისტების მიმავრება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 42, 43). მუკის ადგილობრივი და რაიონული ორგანიზაციების მუშაობის შესამოწმებლად ტარდებოდა სპეციალური ღონისძიებები. ამ მიზნით მთიანი აჭარის რაიონებში მოუვლენიათ ზია რამაზის ძე მჭავანაძე. მისთვისვე დაუვალებიათ მუკის ახალი უჯრედების ჩამოყალიბება და ანტირელიგიური საქმიანობის გააქტიურება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 48).

განსაკუთრებით საინტერესოდ მოგვეჩვენა **1937 წ. 26 ნოემბრის ბათუმის მუკის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა**, რომელზეც სხვა საკითხებთან ერთად განუხილავთ **„თავისუფალი მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტრის, სამშობლოს გამყიდველის, ჯაშუშის და დივერსანტის“ ქათამაძის გამოყვანა პრეზიდიუმის შემადგენლობიდან.** სხდომის დადგენილებაში დასახულია კონკრეტული ღონისძიებები **„რათა არ იქნან გაპარული ორგანიზაციის შემ-**

დგენლობაში ანტისაბჭოური ელემენტები“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 53).

მუკის მუშაობის საკითხები იხილებოდა აგრეთვე კონფერენციებზეც. პირველ საოლქო კონფერენციაზე აჭარის მუკის საქმიანობა უარყოფითად შეუფასებიათ. კონფერენციაზე აღინიშნა „ხოჯების, მოღების, მღვდლებისა და რელიგიური კულტის სხვა მსახურთა ანტისაბჭოური მტრული აგიტაციის შემთხვევების გახშირება (ხულოში, ქედაში, რასაც გამოუღია კიდევ უარყოფითი შედეგები. „ანტირელიგიური პროპაგანდისადმი ოპორტუნისტულმა დამოკიდებულებამ და აჭარის მუკის საოლქო საბჭოებში მტრული ელემენტების მანებლურმა საქმიანობამ მუკის ორგანიზაცია დაშლამდემი იყვანა“ – ვკითხულობთ დოკუმენტში (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც 101),

საარქივო დოკუმენტებში აშკარად გაზვიადებულიაა წარმოდგენილი ცალკეული პიროვნების თუ ორგანიზაციების საქმიანობის უარყოფითი მხარეები. აღნიშნული ბრალდებები ხშირ შემთხვევაში მეტწილად სრულიად უსაფუძვლო იყო. საქმეში დასახელებული არიან „კონტრრევოლუციური დივერსიული ფაშისტური ცენტრის წარმომადგენლები“ რომლებსაც თითქოსდა კავშირი ჰქონდათ „უცხოეთში გადახვეწილ აჭარის მშრომელ, ბეგებთან, მოღებთან მღვდლებთან, ხოჯებთან“. დასახელებულ პირთა შორის ფიგურირებს ლორთქიფანიძის, ლალიძის და ხოზრევანიძის გვარები (სახელები არაა მითითებული) (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 101). კონფერენციამ თავის გადაწყვეტილებაში ჩაწერა მუკის ორგანიზაციებზე სისტემატური კონტროლის აუცილებლობის საკითხი (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 102).

კონფერენციამ თავის დადგენილებაში საჭიროდ მიიჩნია ანტირელიგიური აღზრდის საკითხების შეტანა აჭარის პედსასწავლებლებში. ამ მიზნით, მიზანშეწონილად მიიჩნია პედინსტიტუტში შემოღებულიყო რელიგიისა და ათეიზმის ისტორიის კურსის სწავლება. დადგენილება ავალდებულებდა სკოლებს ახალგაზრდა ნატურალისტთა წრეების ჩამოყალიბებას, მოსწავლე ახალგაზრდებში ანტირელიგიური აღზრდისა და „მებრძოლ-ათეისტური მსოფლმხედველობის გამომუშავებისათვის“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 104).

კონფერენციამ საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე მოძრავი კინო მანქანის შეძენა 1938 წლისათვის მოსახლეობისათვის „ანტირელიგიური კინოების ჩვენების მიზნით“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 105). საქმეში ჩამოთვლილია ის დასახელებული პუნქტები, რომლებშიც ჩატარებული იქნა ანტირელიგიური ხასიათის კინო სეანსები (ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 291).

მუკის საბჭოების საქმიანობა ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 1939 წლისათვის მუკის საოლქო საბჭოს ბიუჯეტიდან გამოუყვს 4800 მანეთი. გარდა ამისა, მუკის ორგანიზაციებს ევალებოდათ ფინანსური ბაზის განმტკიცება ადგილობრივი სახსრებიდან (დოტაცია, ლექციები, კინო სურათების ჩვენება და ა. შ.) (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 329).

მუკი განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდა რელიგიური დღესასწაულებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულების საკითხებს. სხვა დღესასწაუ-

ლებთან ერთად განსაკუთრებულ კონტროლზე იყო აყვანილი ყურბან-ბაი-რამი. ერთ-ერთ დოკუმენტში დაგმობილია ამ დღესასწაულში თვით „კ.კ.“ (იგულისხმება კომკავშირის) წევრების მონაწილეობა და „მსხვილფეხა საქონელის განადგურება“ ამ დღესასწაულის დროს (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 130-131). იქვე არის ცნობა ქედის რაიონში ერთ-ერთი ხოჯის მკვლელობის შესახებ და გამოთქმულია შემოფოტება, რომ მკვლელობა ჩადენილია მტრების მიერ პროვოკაციის და ხალხში უკმაყოფილების გამო-საწვევად. საისტორიო საბუთებში დაგმობილია ე. ქათამაძის საქმიანობა, მის მიერ კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრების გამო, რომ „ის ვინც არ იცის ყურანი, ვერ გაწევს ანტირელიგიურ პროპაგანდასო“ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 131).

საარქივო დოკუმენტებში დადანაშაულებულია „ხალხის მტერი ზეჟერი ლორთქიფანიძე, რომელმაც თითქოსდა ხელი შეუწყო ხულოში ჯამეების მშენებლობას (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 134). 1937 წლის 31 ოქტომბის სხდომაზე მუკის პლენუმს შეუქმნია **საიდუმლო კომისია** (სავარაუდოდ „ხალხის მტრების“ გამოსაგლეხად და მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების დასათრგუნავად) **ფაიკ მიქელაძის, მემედ ვერძაძის და გრიშა კალანდაძის** შემადგენლობით (ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 143).

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, №1 საქმეში დაცულია აჭარის მუკის რესპუბლიკური საბჭოს განცხადება ლავრენტი ბერიასადმი. ამ განცხადებაში ჩანს 1930-იან წლებში გაბატონებული ურთიერთმტრობასა და ინფორმაციის ფარულად მიწოდებაზე დაფუძნებული გაუსაძლისი მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო. მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ აღნიშნული მიმართვის სრულ ტექსტს:

**ცენტრალური კომიტეტის მდივანს
ამხ. ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას
აჭარის მებრძოლ უღმერთოთა
რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომლების**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

1937 წლის 29 ოქტომბერს მოწვეული იქნა აჭარის მებრძოლ უღმერთოთა კავშირის 1-ლი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც დასახა პრაქტიკული ღონისძიებები აჭარაში ანტირელიგიური პროპაგანდის საწარმოებლად; აგრეთვე არჩეული იქნა უღმერთოთა კავშირის რესპუბლიკური საბჭოს შემადგენლობა. ახალმა შემადგენლობამ შეუდგა მუშაობას კონფერენციის მიერ მოცემული პრაქტიკული ღონისძიებების საფუძველზე. მაგრამ

უნდა ითქვას, რომ აჭარაში ანტირელიგიური პროპაგანდა, როგორც საჭიროა არ ტარდება; ჯერ ერთი, რომ აჭარა ამ მხრივ განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება, რადგან 10 წლიდან გოგონა იწყებს ჩადრის ტარებას, ახალგაზრდობის ძვალ-რბილში გამჯდარია რელიგიოუს ფესვები. ასე მაგალითად: სოფელ აღმეში – ხულოს რაიონში 20 წლის ახალგაზრდა ე. აბულაძემ ხელი მოკიდა რელიგიური კულტის სამსახურს და მეჩეთში მორწმუნეებს სეზონურად ალოცვებს; აქვე 1926 წლიდან პარტწევრი, კოლმეურნეობის თაემჯდომარე ადალი ბოლქვაძის ცოლი ატარებს ჩადრს, ლოცულობს, მარხულობს. ხულოს რაიონის სოფ. რიყეთის მასწავლებელ ხასან კოჩალიძის ცოლი ჩადრს ატარებს; ბათუმის რაიონის სოფ. იჯადიეს კომკავშირის წევრი ხასან ლომანოლი მარხულობს, ლოცულობს და ა.შ. რელიგიური წესების შესრულების ფაქტებს, როგორც აჭარის რაიონებში ისე ქალაქად აღგილი აქვს კომკავშირელების, პარტწევრების და ხელმძღვანელ აპარატებში მომუშავეთა მიერ.

იმისათვის, რომ შევძლოთ დამაჯერებელი, მოთმინებითი აგიტაცია-პროპაგანდა მორწმუნე ახალგაზრდა, კოლმეურნე, ქალთა და მოწაფეთა შორის საჭიროა თვითიელ მორწმუნემდისაც კი მისვლა, საუბრები, ხმამაღალი კითხვა, ანტირელიგიური ლიტერატურის განრცელება, ანტირელიგიური ლექციები, კინო-სენსების და წარმოდგენების ჩატარება სისტემატიურად, რომელიც მოცემს რამდენიმე მაინც დადებით შედეგს, მაგრამ ეს აჭარის სინამდვილეში არ ხდება, რადგან საამისო ფინანსური საშუალებები არ არის. დღეს უკვე 13 აპრილია და მებრძოლ უღმერთოთა კავშირის თანამშრომლებს თებერვალ-მარტის ხელფასი არ მიგვიღია, რაც იწვევს ფიქრს ყოველდღიურ ეკონომიურ მდგომარეობაზე, ყოველდღიურ ლუკმაპურის საკითხზე. აგრეთვე გვაფიქრებს ის მდგომარეობა, რომ რაიონებში არ ტარდება ანტირელიგიური პროპაგანდა და მორწმუნეთა შორის სათანადო აგიტაცია.

მიუხედავად იმისა, რომ 1938 წლის 6 თებერვალს საქ. კ.პ./ბ/ აჭარის საოლქო კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება აჭარაში ანტირელიგიური პროპაგანდის გასაძლიერებლად და აჭარის მებრძოლ უღმერთოთა რესპუბლიკური საბჭოს შტატის შესაქმენლად. აგრეთვე საქ. კ.პ./ბ/ აჭაროლქომის ბიურომ დაავალა აჭარფინსსაკომს პირადად ამხანაგ ჯღარკავას გამოენახა სათანადო თანხა 84000 მანეთის რაოდენობით აპარატის შესანახად და ანტირელიგიური მუშაობის გასაძლიერებლად აჭარაში, დაევალა აჭარცაკს, რათა უღმერთოთა რესოუბლიკურ საბჭოს ხარჯთაღრიცხვა გააფორმოს საბჭოს ხაზით, მაგრამ დადგენილება დაიწერა მის შესრულებაზე არავინ ზრუნავს, რისთვისაც გთხოვთ სათანადო დახმარებას.

ხელს ვაწერთ:

- | | |
|---|----------------|
| 1. აჭარის მუკი-ს რესპ. საბჭოს პ/მგ. მდივანი | /ნ. სანიკიძე/ |
| 2. რესპუბლიკური ინსტრუქტორი | /ი. მოწყობილი/ |
| 3. ბათუმის რაისაბჭოს პ/მგ. მდივანი | /ზ. მუავანაძე/ |
| 4. საქმეთა მმართველი | /მ. გურგენაძე/ |

13/IV-38 წ.

ქ. ბათუმი

(ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 159).

საქმეში დაცულია ანტირელიგიური კურსების კურსანტების ანეკტები, რომელიც ითვალისწინებდა სახელის, გვარის, მამის სახელის, დაბადების ადგილის, ეროვნების, ენების, სოციალურ წარმოშობისა და მდგომარეობის, პარტიულობის, ოპოზიციონერობის, სამუშაო ადგილის, თანამდებობის და სხვა მონაცემების შევსებას. მათ შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პოლიტიკური განათლების, ანტირელიგიური მომზადების, შესაბამისი ორგანიზაციის ანტირელიგიური საქმიანობის შესახებ ინფრომაციების შევსებას (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 168).

ერთ-ერთ დოკუმენტში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები აჭარაში მუკის უჯრედების, მუკის წევრების, წრეების, ჩატარებული ღონისძიებებისა და მოხსენებების რაოდენობის შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 297). ამ დოკუმენტის მიხედვით აჭარაში იმჟამად იყო მუკის 23 უჯრედი. როგორც ჩანს ამ რაოდენობაში არ შედის ქალაქი. თითოეულ უჯრედში მუკის შემადგენლობა განსაზღვრულია 1000 წევრით, ხოლო ანტირელიგიური წრეებში გაერთიანებული იყო 120-120 მსმენელი. იმ ეტაპზე ჩაუტარებიათ შემდეგი ღონისძიებები:

1. ანტირელიგიური მოხსენების წაკითხვა – 200;
2. გაზეთის სმამადალი კითხვა – 5000-ჯერ;
3. ანტირელიგიური საღამო – 12;
4. ანტირელიგიური რადიო-გადაცემა 5.

ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია სამლოცველოთა რაოდენობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რეგიონში ყოფილა:

ა) 209 მეჩეთი (ხულოში 105, ქედაში 32, ბათუმის რაიონში-28, ქობულეთში-42, ქ. ბათომში-2). საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოქმედებდა 114, არ მოქმედებდა და მთავრობის მიერ იყო დაკეტილი – 95.

ბ) 17 ეკლესია (ხულოში-1, ქობულეთში-4, ბათუმის რაიონში-2, ქ. ბათომში-10) (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 297, 298).

გ) 1 სინაგოგა

დ) სამივოსტელები/ბაპტისტების სამლოცველო.

1930-ნი წლებისათვის არ მოქმედებდა არცერთი. სინაგოგა გამოყენებული იყო ფიზკულტურის დარბაზად, ჰოსპიტალის ეკლესია – კლუბად, გოროდოკის სამხედრო ეკლესია- ლეგიონის კლუბად (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 298).

ანტირელიგიური პროპაგანდის მიზნით ქოხსამკითხველოებთან ჩამოყალიბებით საბუნებისმეტყველო წრეები. საქმეში წარმოდგენილია აღნიშნული წრეების სამოქმედო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ისეთი საკითხების შესახებ მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას, როგორც იყო: ციური მნათობების, მზის სისტემის, დედამიწის და მთვარის მოძრაობა, კომეტები, წელიწადის დრო, დღეს და ღამე, დედამიწის ქერქის აგებულება და ცვლილებები, ატმოსფერო, ორგანული ბუნების ევოლუცია, სიცოცხლის წარმოშობა, ადამიანის აგებულება და ა.შ. (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 306-309).

მებრძოლ უღმერთოთა საბჭოსადმი სხვადასხვა ორგანიზაციები, სასკოლო და საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელმძღვანელობას დროდადრო უგზავნიდნენ ანგარიშებს მოსახლეობის რელიგიური განწყობის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი წერილი გაუგზავნია ორთაბათუმის ა/ს. საშუალო სკოლის დირექტორს გ. მგელაძეს მუკის საბჭოს თავმჯდომარის ქათამაძისათვის. ანგარიშიდან ჩანს, რომ 1937 წლისათვის „რელიგიისა და ძველი ჩვეულებების გამო“ სკოლაში არ სწავლობდა არცერთი გოგონა, მაგრამ ანტირელიგიური ახსნა – განმარტებითი საუბრების ჩატარების შემდეგ მომდევნო წლისათვის სკოლაში სასწავლებლად მისულა 5 გოგონა (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფურც. 394).

260 ფონდის საქმეებში წარმოდგენილია მუკის 1938-1940 წწ. ბრძანებების წიგნი (საქმე №1), 1939 წლის მუკის კრებების, პლენუმების ოქმები, ანგარიშები, გეგმები, დეტალური ინფორმაციები მუკის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობის შესახებ (საქმე №3), სხვადასხვა ორგანიზაციებში გაგზავნილი მოხსენებითი ბარათები, გეგმები, 1946-1947 წლების მიმოწერები და ა. შ. (საქმე №10)

ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით ხულოში 1938 წელს ჩამოყალიბებულა „მუკის 3 ახალი მოწაფეთა ორგანიზაცია“. დეკანაშვილების მუკის უჯრედის თავმჯდომარეს ჯივან თავართქილაძეს ორგანიზაციაში მიუზიდავს 18 ქალი („რომლებიც დღეს არც ღოცულობენ და არ ჩადრს იფარებენ სახეზე“). ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ზოგიერთი ინტელიგენტი და კომკავშირელი ორგანიზაციის წევრიც კი საბოლოოდ ვერ გათავისუფლებულა რელიგიური რწმენისაგან. დოკუმენტში დასახელებულია ფაქტი, რომლის მიხედვით „ხულოს რაიონის კბილის ექიმს ბინალ აბაშიძეს მოუნათლავს ალმელი ოსმან აბულაძის ბავშვი“. ხოლო ჯაბნძეებში, შვიდ კომკავშირელს ბაირამი ულოცია“, მაწვავალთის კომკავშირული ორგანიზაციის წევრს

„დაუწყია ლოცვა“ და ა.შ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მუკს მიზანშეწონილად ჩაუთვლია ანტირელიგიური საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 24,25). საქმეში გვხვდება სხვადასხვა ორგანიზაციებთან თუ ცალკეულ პიროვნებებთან მუკის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 109), მუკის ორგანიზაციების მუშაობის აღრიცხვის ფორმები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 140).

მუკის ადგილობრივი თუ რესპუბლიკური საბჭოები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ლექტორების კვალიფიკაციას. როგორც ჩანს ზოგიერთი პიროვნება თავს ასაღებდა მუკის ცენტრალური საბჭოს ლექტორად. თუმცა ამის რწმუნება მას არ ჰქონდა. ამიტომაც შესაბამის სათაო უწყების მიერ მუკის საოლქო თუ საქალაქო ორგანიზაციებში დაგზავნილ იქნა წერილები, რომლითაც ადგილობრივ ორგანიზაციებს ავალდებულებდნენ, რომ ლექციების ჩატარების უფლება მიეცათ მხოლოდ მუკის ცენტრალური საბჭოს იმ ლექტორებს, რომლებთანაც ჰქონდათ გაფორმებული ხელშეკრულებები (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 160). საქმეშია 1939 წლის 15 ივნისით დათარიღებული თხოვნა 40 კაცის ხელმოწერით – სოფელ დაგვის სკოლის მეჩეთად გადააკეთების შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 205).

მუკის საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოებისადმი გაგზავნილ წერილებში ყურადღება გამახვილებულია რელიგიური ღოზუნგების შესახებ, რომლებიც იყო თითქოსდა „თვალთმაქცური ხასიათის“ მატარებელი (1939 წლის 25 მარტის №110 წერილი). დოკუმენტის მიხედვით „სიყვარული-სა და მტერთა ყოვლის პატიების“ ღოზუნგები წარმოადგენს „რეაქციული ხუცობის თვალთმაქცობას – ტროცკისტების, ბუხარინელების კონტრევოლუციური საქმიანობის მისაჩქმალავად (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 311).

მუკის ორგანიზაციები ზოგჯერ კერძო ბინების შემოწმებასაც ახდენდნენ, რის შემდეგაც ხდებოდა აქტების შედგენა. 1939 წ. თებერვლის აქტის მიხედვით (რომელსაც ხელს აწერენ გამომრკვევი კომისიის წევრები: სანიკიძე, კვირიკელია, კუტუბიძე) ენგელსის (ეხლ. მელიქიშვილის) და მოსკოვის (ეხლ. კომახიძის) ქუჩების კუთხეში შეუმოწმებიათ პეტრე ბურმანის ბინა, რომელშიც იგი ცხოვრობდა ქალიშვილთან (ნავსადგურის ბუღალტრის თანაშემწე) და შვილიშვილთან ერთად. აქტში აღნიშნულია, რომ პ. ბურმანის საცხოვრებელი ბინის დერეფანში მოწყობილი იყო სამლოცველო კუთხე მაგიდით, რომელზეც დაწყობილი იყო სახარების წიგნები, სასანთლე – ანთებული სანთლით, საეკლესიო ჯვრები, წმინდანთა სურათები და ქრისტეს ჯვარცმა. აქტში აღნიშნულია, რომ პ. ბურმანი სისტემატურად ლოცულობს და მის ლოცვას „უცქერის პატარა ბავშვი“ რომელიც „ეჩვევა რელიგიურ წესების შესრულებას“. ბავშვის დედა კი ამას გულდამწვიდებით უცქერისო (ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფურც. 336).

1940-იან წლების მეორე ნახევარში თითქოსდა შესუსტდა ანტირელიგიური საქმიანობა, რაც გამოიხატება ჩატარებული ღონისძიებების რაოდენ-

ნობის შემცირებით, თუმცა იგი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამაზე მეტყველებს „ანტირელიგიური საბუნებისმეტყველო მეცნიერების“ პროპაგანდასთან, საჯარო ფასიანი ლექციების ორგანიზებასთან, კვალიფიციური ლექტორების შერჩევასთან (საქმე N 11), ლექციების ზუსტ აღრიცხვასთან, სალექციო თემატიკასთან, გეგმებთან, ლექტორების საგზურებთან, ორგანიზაციების ფინანსურ შესაძლებლობასთან, საშტატო ერთეულებთან (საქმე N 14, 18) და სხვა საკითხებთან დაკავშირებით საქმეებში დაცული დოკუმენტური მასალები, საბუღალტრო მონაცემები. გასატარებელ ღონისძიებებს შორის სავალდებულოდაა მიჩნეული ორგანიზაციის სხდომის მოწვევა კვარტალში ერთხელ (№14 საქმე).

ფონდში დაცული მასალების სრულყოფილი განხილვა მომავლის საქმეა. ვიქრობთ, რომ მუკის საქმიანობის შესახებ ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალები მკითხველს შეუქმნის გარკვეულ წარმოდგენას საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შესახებ. ვიმედოვნებთ, რომ მკვლევარები კვლავაც დაინტერესდებიან აღნიშნული პრობლემატიკით და მკითხველის სამსჯავროზე გამოიტანენ საარქივო სამმართველოში საბჭოთა ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის ამსახველ უნიკალურ საისტორიო საბუთებს.

წყაროები და ლიტერატურა:

1. ქრისტიანული თემის საქმიანობა ბათუმში 1940-1950-იან წლებში (რელიგიური კულტების საბჭოს წრმუნებულის ფონდში დაცული დოკუმენტების მიხედვით. „ჩვენი სულიერების ბალავარი“, ბათუმი, 2011.
2. ასსცსა, ფონდი ი-977, აღწერა 1, საქმე 18, ფურც.26
3. ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 1, ფ. 6, 12, 18, 19, 20, 28, 41, 42, 43, 48, 53, 74, 75, 76, 101, 102, 104, 105, 130, 131, 134, 143, 159, 168, 291, 297, 298, 306 – 309, 394, 395, 402, 403;
4. ასსცსა, ფონდი რ-260, საქმე 3, ფ. 24, 25, 109, 140, 160, 205, 311, 329, 336;
5. ასსცსა. ფონდი რ-260, საქმე 11, ფ. 3.

Nato Kikava

Anti-religious activity of Soviet government in Ajara (1930-1940-ies) Summary

In Archives Administration are protected unique documents reflecting the Anti-religious activity of Soviet government, based on which the article was written.

**ფრიდონ ხალვაშის ცხოვრებისა და მოღვაწეობის
ზოგიერთი საკითხი
საარქივო სამმართველოში დაცული დოკუმენტების მიხედვით
(მოხსენება წაკითხულია საარქივო სამმართველოს V საერთაშორისო
სამეცნიერო კონფერენციაზე)**

ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ფრიდონ ხალვაშს. სიტყვაკაზმულ მწერლობაში მან უდაოდ თქვა ღირებული და წონადი სიტყვა. იგი აქტიურად ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ პროცესებს, ბავშვური მიამიტობითა და გულწრფელობით უხაროდა სამშობლოს წარმატებები და გულს უკლავდა შუღლისა და ურთიერთგაუტანლობის ყოველგვარი გამოვლინება. ფრიდონ ხალვაშში პოეტური სიტყვითა და კალმით მიუყვებოდა ცხოვრების დინებას და მოზომილად, სიფრთხილითა და დელიკატურობით ახერხებდა მწარე სიმართლის სააშკარაოზე გამოტანას. როცა ვკითხულობთ მის ლექსებს, ნაწარმოებებს, ვრწმუნდებით იმაში, თუ რამდენად სათუთი და დელიკატური იყო ზოგიერთი საკითხი, რომელსაც იგი ეჭიდებოდა. პოეტი აუჩქარებლად, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობდა ცალკეული პრობლემის დაყვანას სრულიად საქართველოს მკითხველამდე. ამაში ხედავდა იგი თავის მოქალაქეობრივ ვალს. პოეტმა იცოდა, რომ **ამ წყლულებიდან სისხლის დენას შეაჩერებდა ის ანდამატური ძაღა, რასაც ქართველთა ეროვნული სხეულის მთლიანობა ჰქვია.** სწორედ ამ ერთიანობის იდეას შესწირა პოეტმა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარედ მუშაობის სამათეულზე მეტი წელი.

ფრიდონ ხალვაშში სამწერლო ასპარეზზე მაშინ გამოვიდა, როდესაც აჭარის ავბედითი ისტორია ასე თუ ისე დაწერილი იყო. საჭირო იყო ამ ისტორიის პოეტური გააზრება, მისი მხატვრული სიტყვით გადმოცემა. ამ ამოცანას შესანიშნავად გაართვა თავი პოეტმა. მან მოუთხრო ქართველ მკითხველს, თუ რა მოურჩენელი წყლულები და ტკივილები დარჩა მის მშობლიურ კუთხეს – აჭარას.

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცულია ფრიდონ ხალვაშის პირადი ფონდი (ფონდი რ-406), რომელშიც წარმოდგენილია პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი უმდიდრესი მონაცემები. მათგან ზოგიერთი მკითხველი საზოგადოებისათვის დღემდე არაა ცნობილი.

ფრიდონ ხალვაშის პირადი ფონდი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დამუშავდა 1999 წელს. მასალებს თემების მიხედვით გაუკეთდა სისტემატიზაცია, აიკინძა და გაფორმდა. ფონდში სულ დაცულია 62 საქმეთა ერთეული, რომლებშიც წარმოდგენილია: პოეტის ხელნაწერები, პოემები, ლექსები, მოთხრობები, რომანები, ლიტერა-

ტურული სცენარები, უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული თარგმანები, სტატიები, პუბლიკაციები, პოეტის მიერ უცხოურიდან ქართულად თარგმნილი ნაწარმოებები, მოხსენებები, სხვადასხვა ღონისძიებებზე წარმომადგენელი სიტყვები, მწერლების, დრამატურგების, ლიტერატურათმცოდნეების მიერ რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, რეცენზიები და კრიტიკული წერილები პოეტის შემოქმედების შესახებ, საპატიო სიგელები, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების ბათუმის განყოფილების სხდომის ოქმები, ქართველ მაჰმადიანთა უფლებების დაცვის ლიგის დეკლარაციები, მიმართვები, განცხადებები, ასევე ცნობილი პოეტების და საზოგადო მოღვაწეების მიერ ფრიდონ ხალვაშისადმი მიძღვნილი ლექსები, ნარკვევები და სხვა მასალები.

ფონდში ინახება აგრეთვე ფონდშემქმნელის ბიოგრაფიის ამსახველი მასალები, პირადი წერილები, მოსაწვევი ბარათები, მისალოცი დეპეშები, ფოტოსურათები.



ფრიდონ ხალვაში დაიბადა 1925 წლის 17 მარტს, ქედის რაიონის სოფელ გეგელიძეებში. 1939 წელს დაასრულა გეგელიძეების დაწყობითი სკოლა და ცხმორისის შვიდწლედში, შემდეგ კი ბათუმის კულტსაგანმანათლებ-

ბო სასწავლებელში განაგრძო სწავლა, თუმცა ხელმოკლეობის გამო სასწავლებელი ვერ დაამთავრა და დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ერთხანს იგი მუშაობდა კოლმეურნეობაში მერგოლურად, მოგვიანებით კი (1941 წ.) ცხმორისის სასოფლო კლუბ- ბიბლიოთეკაში – გამგედ.

სწავლასა და ცოდნას მოწყურებული ჭაბუკი მალე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გახდა (დაამთავრა 1950 წელს), ხოლო 1957 წელს დაასრულა მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული უმაღლესი ლიტერატურის კურსები. იმავე წელს იგი დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად.

ფრიდონ ხალვაშის პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1944 წელს. მის კალამს ეკუთვნის კრებულები „მზის ქვეყანაში“ (1948 წელი), „ მუხა და ქარი“ (1958), „გენაცვალე“ (1962), „ლექსები და პოემები“ (1965), „ნუგეში“ (1969), „ლტოლვა“ (1974), „ერთტომეული“ (1976) ,, ,,ეს დღე“ (1982), „დაუვიწყარი“ (1984), მოთხრობები: „დათვის ხაფანგი“ (1961), „ბიძაშვილი“ (1973); რომანი „საყვედურები (1964); პოემები: „ხიხანის ძახილი“ (1959), „ვაზის ტირილი“ (1963), „გადარჩენილი უკვდავება (1966) და ა. შ. ლექსების კრებულისათვის „ასი მზე დედის გულისა“ მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემია (1979 წელი). გარდა ამისა, იგი დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით, 1995 წელს კი – ღირსების ორდენით. აღნიშნულთან დაკავშირებით ფონდში დაცულია საკმაოდ მრავალრიცხოვანი და საინტერესო მასალები, მილოცვები, პირადი წერილები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს N 12 საქმე. მასში თავმოყრილია სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, პუბლიკაციები, მოხსენებები. მათგან მკითხველის ყურდღებას იმსახურებს ხელნაწერი „აჭარის ზოგიერთი ეთნოგრაფიული თავისებურების შესახებ“ (44 ფურცელი), რომელშიც ჩანს არა მარტო ავტორის ნიჭი და უნარი, არამედ ღრმა განსწავლობა, მეცნიერული ადლო, ლოგიკური აზროვნება და კონკრეტული საკითხების სიღრმისეული ხედვისა და წედომის უნარი. აღნიშნულ ხელნაწერში წარმოდგენილია ყოფის და კულტურის თავისებურებანი როგორც ჰორიზონტალურ ისე ვერტიკალურ ჭრილში.

ავტორს სიღრმისეულად შეუსწავლია დიდი ქართველი გეოგრაფის, კარტოგრაფის, ისტორიკოსის ვახუშტი ბაგარატიონის მეცნიერული მემკვიდრეობა და მას ოსტატურად იყენებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიული თავისებურებების წარმოსაჩენად. ნაშრომში დახასიათებულია რეგიონის ტრაგიკული წარსული (ოსმალთა ბატონობა) და თანამედროვეობა. კომუნისტური იდეოლოგიური წნეხის და ცენზურის მიუხედავად, ავტორი ახერხებს ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილებას, რომელიც მიუღებელი იყო საბჭოური იდეოლოგიური სისტემისათვის.

ხელნაწერში დახასიათებულია რეგიონის სამეურნეო ყოფა, მემინდვრობა, მესაქონლეობის კულტურულ-ისტორიული საკითხები, ხალხური მედიცინა, ჩაცმულობა, კვების სტრუქტურა და ა.შ. მეცნიერულ კვლევა-ძიების

პროცესში ავტორი უხვად იყენებს ფოლკლორულ მონაცემებს და ოსტატურად უხამებს მისთვის საინტერესო საკითხებს.

ხელნაწერში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია შინამრეწველობის საკითხებზე, სიღმისეულად არის დახასიათებული რეგიონის მატერიალური კულტურული მემკვიდრეობა და სოციალური ურთიერთობის ისეთი საკითხები, როგორცაა: ოჯახი და საოჯახო ურთიერთობები, ქორწინება და ქორწინების საფეხურები (საპატარძლოს შერჩევა, ნიშნობა, ნიშანლობა, ქორწილი და ასე შემდეგ) გარკვეული ყურადღება დათმობილია სტუმარ მასპინძლობის ტრადიციებზე.

ამავე საქმეში წარმოდგენილია საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მუშაობის შესახებ 1958-1966 წლებში. ამ დოკუმენტიდან ჩანს თუ როგორ თავდადებითა და რულუნებით ემსახურებოდა ქართული მწერლობა ქვეყნის ინტერესებს (ასსცსა, ფონდი რ-406 სქმე 12 ფურც.1-44).



ხელნაწერ მასალებში ავტორი გულისტკივილით ეხება ისეთ დელიკატურ საკითხებს, როგორც იყო აჭარელი ქალის შებოჭილობა. ავტორის მიერ იგი განხილულია, როგორც წარსულის, კერძოდ ოსმალთა ბატონობის მაგნე გაფლენა. ეხება რა პოეტი ჩადრთან დაკავშირებულ საკითხებს, კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ქალმა აიხადა ჩადრი აჭარაში, თუმცა კონრეტულ შემთხვევებში უცხო სტუმარს ზოგიერთი ქალი სიმორცხვის გამო სახეს არიდებს და პირს აქცევსო (ასსცსა, ფ. პ-406, ა. 1, საქმე 12, ფურცელი 68).

ავტორის მახვილ თვალს არ გამოპარვია უსაფუძვლო ცილისწამებითა და ჭორებით შეზავებული კუთხურობის გამომხატველი გარკვეული შეხედულებები, რომელიც მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ შესაძლოა „უფაქიზესი ნერვის ფასად დაგვიჯდეს“ (ასსცსა, ფ.პ-406, ან. 1, საქმე 12, ფურცელი 72). იგი ყურადღებას ამახვილებს ისეთ დელეკატურ საკითხებზე, რომელიც უდაოდ ხელნს ეროვნული სულისა და სხეულის მთლიანობას. ამ პათოსით შთაგონებული პოეტი წერს კიდევ: „ეჭვიანობით და ერთმანეთისადმი უნდობლობით, ერთურთის ქირდვა- ლანძღვით ნუ გავახარებთ მტერსო“ (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1, საქმე 12, ფურცელი 73). მისი საფუძვლიანი დაკვირვებით „კუთხური შოვინიზმის ნაირსახეობანი დღეს ჩრჩილივით მისევია და დრღნის ქართული ეროვნული მთლიანობის იდეასო“ (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1, საქმე 12, ფურცელი 75).

ავტორის გულისწყრომას იწვევს ისიც, რომ „მომავალ საქართველოში უმეტესწილად, მხოლოდ ქრისტეს მორწმუნენი ითვლებიანო ქართველებად“ და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ისლამური რელიგიური აღმსარებლობის მიუხედავად აჭარაში მოჭარბებულად არის გამოხატული ქართველობისა და ეროვნული მთლიანობის სულისკვეთება (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1, საქმე 12, ფურცელი 77).

საქმეში მრავლად არის ხელნაწერი მასალები, რომლებიც რუსეთ - თურქეთის 1877-78 წლების ომის შედეგებს და აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების საკითხებს შეეხება.

ფრიდონ ხალვაშის ხელნაწერები ეხება მისი ეპოქის ტკივილსა და წარმატებებს. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ქართველი კაცი საქართველოს ნებისმიერ ქალაქში სტუმრად ითვლებოდეს. ამიტომაც მიმართავს იგი თბილისს ამაღლებული განწყობით:

„შენი შეილი ვარ, შენი პოეტი,

მე არ ვიქნები შენი სტუმარი“ (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1, საქმე 12 ფურცელი 249).

ფრიდონ ხალვაშის შემოქმედებითი ბიოგრაფიის ამსახველი მასალები დაცულია ამავე ფონდის № 14 საქმეში. იგი ქრონოლოგიურად მოიცავს 1952-1967 წლებს და წარმოდგენილია პოეტის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია (ასსცსა, ფ. პ-406, ს. 14, ფურც. 2-14), პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, განათლების ატესტატი, კულტურის სამინისტროში მუშაობის ბარათი, დოკუმენტი სახელის გამოცვლის შესახებ, საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის სააგიტაციო ფურცლები და სხვა მასალები.

მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან საქართველოს კულტურული კავშირის საზოგადოება ბათუმის განყოფილების გამგეობის სხდომის ოქმები (ასსცსა, ფ. პ-406, ს. 15). ამ დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისადმი პოეტის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. იგი მუდმივად ეკონტაქტებოდა მათ და დღენიდაგ ცდილობდა გაეძლიერებინა ემიგრანტი ქართველებისათვის სამშობლოს სიყვარულის განცდა (თუმცა საბჭოური

იდეოლოგიური წნეხის პირობებში ამის გაკეთება გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული). ამავ საქმეში წარმოდგენილია „უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან საქართველოს კულტურული კავშირის საზოგადოების“ წესდება, უცხოელთა სავიზიტო ბარათები, საზოგადოების ბათუმის განყოფილების წევრთა შემადგენლობა და ა.შ.



ეგენი ვეტუშენკოსთან ერთად

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული განყოფილების შემადგენლობაში იყვნენ საზოგადოებისათვის ცნობილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, მათ შორის: ფრიდონ ხალვაში, ხარიტონ ახვლედიანი, ნადიმ ნიჟარაძე, შოთა ქურიძე, მუხამედ ვანილიში, დავით ხახუტაიშვილი, რეზო გორგილაძე, მამუდ ბოლქვაძე, დურსუნ ინაიშვილი, ნანა გვარიშვილი, პარმენ ლორია, ნოდარ შარაშიძე, გულიკო კიკნაძე, მერი დუმბაძე, ნუნუ კეჭახმაძე, იური უნგიაძე, იოსებ ებრაელიძე, ზია კომახიძე, ნიკოლოზ დოლიძე, ლეონიდე წულაძე. განყოფილების შემადგენლობაში ხელით არის მიწერილი გიორგი მოისწრაფიშვილის, იბრაჰიმ აბაშიძის, პლატონ ჯორბენაძის, ალი თანდილაგას, შაქრო მახაძის, მამია აბაშიძის, რამაზ სურმანიძის, გურამ საღარაძის, იუსუფ კობალაძის სახელები და გვარები (ასსცსა, ფ. პ-406, საქმე, ან. 1, 15 ფურც. 4-5). უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობას სათავეში ედგა სწორედ ფრიდონ ხალვაში. საზოგადოების ეგიდით პოეტი წვევია კიდევ თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, სადაც მიღებული შთაბეჭდილებების და თანამემამულეებთან შეხვედრის დეტალების განხილვას მიეძღვნა 1968 წლის 17 ოქტომბრის გამგეობის სხდომა (ფურცელი 16-17). საქმეში წარმოდგენილია უცხოეთში მცხოვრებ თანამემა-

მულეებთან კულტურული ურთიერთობის პესპექტიული სამუშაო გეგმები, რომლებიც ითვალისწინებდა ისეთ ღონიძიებების გატარებასა და შესრულებას, როგორცაა:

1. საზოგადოების ხელშემწყობ აქტივისთა კოლექტივის ჩამოყალიბება
2. თურქეთში მცხოვრები ქართულენოვანი მოსახლეობის შესახებ ცნობების შეგროვება
3. სპეციალური რადიოგადაცემების მომზადება ქართულ და ლაზურ ენებზე
4. უცხოეთიდან ნათესავებისა და ახლობლების მოწვევა
5. საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათესავებთან ამ საზოგადოების წევრების მივლინება და ა. შ. (ფურც. 18-19)

ფონდში დაცულია თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების წერილებიც, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებული არ არის. ტკივილის, ცრემლის და ემოციის გარეშე შეუძლებელია წაიკითხო თურქეთელი ქართველის **ემინ ალკან ხალვაშის** წერილი ფრიდონ ხალვაშისადმი, რომელიც გამოუგზავნია 1978 წლის 22 ნოემბერს (სტილი დაცულია):



თურქეთელი ქართველის გურამ ხიმშიაშვილის მიერ ფრიდონ ხალვაშისადმი გამოგზავნილი ფოტოსურათი

„დიდი ადამიანი გამარჯობა,

ბათონი ფრიდონ ხალვაში. შენი ხელით დაწერილი წერილი ყიდვე მეტი კმაყოფილი ვარ. თუ იქნება ამ წელიწადი ბათუმში მოსვლა მინდა. თუ მოვალ, ჩვენი სოფელი დევნახონა, ერთის შენსავე დიდი კაცი დევნახონა. ჩვენი გულები მოჭრანა შიანიდან, ქართველი გამოვა. შენი ლექსები ვიკიტხე, ლამაზი იყო. ბევრი ლაპარაკი არ ვიცით. იმისთინ შეტანხმება ძალა არი.

ჩვენ აქიდან ბევრი სალამი-ემინ ალქან ხალვაში“ ასსცსა, ფ. პ-406,ან. 1, საქმე 57, ფურც. 32).

როგორც აღინიშნა, საბჭოური რეჟიმი სრულად აკონტროლებდა თითოეული მოქალაქის საქმიანობას, ეჭვის თვალთ უყურებდა უცხოეთში მცხოვრებ მოქალაქეებთან, თუნდაც თანამემამულეებთან ურთიერთობებს. საბჭოთა სისტემის არსსა და ხასიათზე მეტყველებს № 15 საქმეში დაცული ერთი დოკუმენტი – ახსნა-განმარტება, რომელიც დაუწერია ნური თავდგირიძეს 1984 წლის 14 მარტს. იგი არ ეხება ფრიდონ ხალვაშს (გაუგებარია, საიდან მოხდა ეს წერილი ფრიდონ ხალვაშის პირად საქმეში, შესაძლოა იგი თავად ავტორმა გადასცა პოეტს დახმარებისა და მხარდაჭერისათვის) მაგრამ ნათლად წარმოაჩენს იმ ატმოსფეროს, თუ რა ფსიქოლოგიური კლიმატის პირობებში უხდებოდა მაშინ ადამიანს ცხოვრება. 1920-ნი წლების მოვლენებზე წერილის ავტორს ახსნა-განმარტების დაწერა მოუხდა 1984 წელს. ავტორისეული სტილის დაცვით მკითხველს ვთავაზობთ ამ ახსნა-განმარტების სრულ ვერსიას:

„ახსნა განმარტება

1921 წელს თურქეთიდან იქნა გამოგზავნილი წერილი მემედ აბაშიძეზე და მის ამხანაგებზე, სალანძღავი წერილი, თურქეთიდან წერილს გზავნიდნენ ორი ძველი აჭარიდან წასული ისტანბოლში რელიგიურ სასწავლებელში ერთი 1918 წელს გაქცული ყაჩაღად. ქ. ბათუმში იყო სედაი მილეტი თურქეთის აგენტების მიერ გახსნილი, ამათ ქონდათ ჭვანაში განყოფილება. იქ ხელმძღვანელობდნენ თურქეთში აქედან წასული სასულიერო დამთავრებული პირები 3 კაცი. ბათუმში იყო უფროსი მემედ ქესკინი ზადე მდივან ხასან ძოიძე, ჭვანაში ხელმძღვანელობდნენ პაკოღლი, ჩელებ ოღლი და ბულჰან ოღლი. 1918 წელს ჭვანის სოფელ ტაკიძეებიდან იქნა თურქეთში გაქცეული მოლა აქიფ ხაჯი ოღლი, რომელმაც აქ მომუშავე სედაი მილეთის ხელმძღვანელებიდან წაიღო ოფიციალური დოკუმენტები რომ ის იყო ვითომ წარგზავნილი ბათუმიდან აჭარაში მცხოვრებ მუსლიმანების მიერ წარმომადგენელი და იქ იქნა იმ დროს მიღებული აჭარის წარმომადგენლად. გვარი შეიცვალა და იქ დაიწერა ხიჯაბი ზადე ახმედი აქიფ. როდესაც აქ ჩამოვიდა წერილი მემედ ბეგზე და მის ამხანაგებზე, ამ დროს მემედ აბაშიძემ შეადგინა ამ პირების შესახებ, რომ ესენი არ არიან ბათუმიდან აჭარაში მცხოვრებ მუსულმანების მიერ, ორი მათგანი ძველ სასწავლებელში წასული და ერთი კი 1918 წელს გაქცეული ყაჩაღათ და მან წაიღო ყალბი დოკუმენტები სედაის ხელმძღვანელობის მიერ. ეს საკითხი მემედ აბაშიძემ შეიტანა ბათუმში პირველ სიეზდზე და იქნა იქ დამტკიცებული,

რომ ეს პირები არ არიან აჭარის მცხოვრებლების მიერ წარგზავნილი თურქეთში წრმომადგენლად. მემდ აბაშიძემ თურქეთში გასაგზავნი წერილი ამოიტანა ხულოში და პირადად ჩემი ნური თავდგირიძის სახელზე კონსულის მიერ მიცემული თურქეთში წასვლის საშუალებები. როდესაც ამოვიდა მამაჩემზე თავიდან იყო შეთანხმებული და ჩემს ადგილზე დარჩა ხულოში მდივნად. მე წავიდე ის დოკუმენტები, რაც იყო აჭარის მთავრობის მიერ დამტკიცებული, რომ ის პირები არ იყვნენ აჭარის წარმომადგენლები თურქეთში. როდესაც მე ჩავედი თურქეთში არდაგანში, იქ იყო უფროსი მულთე სერიფი ფელდეთი, იმან მიიღო და მე ქართული ჩემი ჩატანილი დოკუმენტები თურქულად გადავუთარგმნე. მეორე დღეს შვახევის რაიონის სოფელ დღვანიდან თურქეთში ჩამოვიდა 2 კაცი ფუტკარაძეები, იმათაც ქონდნენ აჭარის თავრობის ხელმძღვანელების მიერ მიცემული დასტური პირად მათ საქმეზე.

უნდა მოგახსენოთ, რომ 1925 წელს მე ვმუშაობდი ხულოს რაიონში სასაზღვრო ზოლის მცველად და მასწავლებლად. ჩემი საქმისათვის 10 ამხანაგის ერთად ჩავედი არდაგანში, რომელიც უნდა ჩამოგვეტანა ყველი და კარაქი. როდესაც არდაგანს დავეახლოვდით, ცხენების დასვენებისათვის ხიდის გამოღმა ჩვენ დაგვინახეს, რომ აჭარიდან ჩავედით. 3 კაცმა წამოვიდა ჩვენსკენ, მოვიდნენ 1-ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი 2-ის გაქცეული ყაჩაღი ჭვანიდან მოლა აქიფი, 3 – ომერ სუბაშ ოღლი წულუკიძე, რომელიც ომერ სუბაშოღლი 1919 წელს საცხოვრებლად გადავიდა თურქეთში. ჩვენ ამხანაგებმა ყველამ იცნეს ესენი და მათაც უთხრეს რომ თქვენ ამელამ დამის გასათევად იქნებით ამ და ამ დგილზე, იქ იყო სასტუმრო და ცხენების შესანახი ადგილი. თქვენ იქ დამეს გაათევეთ 10 კაცი. გაპატიჯებს მოლა აქიფ ხაჯიოღლი. ჩვენ წავედით. რომ შედამდა კაცი გამოაგზავნეს ჩვენ წასაყვანად, წავედით. დავლაგდით ყველა, საჭმელიც იყო უფასოთ – მოლა აქიფის ხარჯზე. დამე საათის 12 – ზე მოვიდა 2 ჯანდარმა და მოიკითხა – თავდგირიძე ნური რომელიაო. უთხარი მე ვარ მეთქი. ჩემი რაც მქონდა მოტანილი გასაყიდად ასწიეს და მეც წამიყვანეს. მიმიყვანეს უფროსთან და ჩემი ცხენი სადაც იყო იქ დატოვეს. დილით წავიყვანთო. დამკითხეს რაც უნდოდათ და ხელი მომაწერიეს. დილით ადრე მიმიყვანეს უფროსთან, რომელიც 1921 წელს მე ჩავიტანე მემედ აბაშიძის მიერ ცნობა ამ მუტესერიფ თელეთმა მე დამკითხა, მიცნა და დაუძახა იმათ, ვინც მე იმ დამეს დამაპატიმრა. ჩემი იქ მიტანილი ვეში რაც იყო ისევ ადგილზე მათ მიატანია და 10 კაცს უფროსმა ჩემ ამხანაგებს მოქვცა საშუალებები – სადაც გინდა იქ წადითო. ჩემი დაპატიმრება ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილის და მოლა აქიფ ხაჯიოღლის მიერ იქნა გაკეთებული. უნდა აღვნიშნო რომ სოფ ჯაბნიძეებიდან ჩემი ამხანაგი 10 კაციდან 1 იყო დარჩენილი სოფელ ჯაბნიძეებში 95 წლისა. იმის მიერ შედგენილი საბუთი 1978 წელს იქნა შეტანილი აჭარის მინისტრთა საბჭოში. აღნიშნული საქმე 3 კაცის მიერ იქნა სოფ ჯაბნიძეებში შედგენილი, რომლებიც სამივე არიან ცოცხლები. 1921 წლის ჩემი იქ ჩასვლა არდაგანში იცინა სოფ. დღვანის მცხოვრებმა ასლან მამუდის ძე ფუტკარაძემ 95 წლისაა. ის ცხოვრობს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჭარნალ-

ში. ნური ხუსეინის ძე თავდგირიძე 1984 წლის 11 მარტი“ (ასსცსა, ფ. პ-406, ს. 15. ფურც. 50-51-52).



ჯავახეთში ჩასახლებულ მოსახლეობასთან

საქმეში წარმოდგენილია ნური თავდგირიძის ხელით დაწერილი ავტობიოგრაფია. აღნიშნული დოკუმენტი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ იგი ნათლად წარმოაჩენს საბჭოთა უშიშროების სამსახურების მუშაობის თავისებურებებს. 1921 წლის ამბებთან დაკავშირებით ნური თავდგირიძეს ახსნა-განმარტება დააწერინეს 6 ათეული წლის შემდეგ.

ფონდში წარმოდგენილია აგრეთვე ცნობილი მეცნიერების საზოგადო მოღვაწეების პირადი წერილები, ასევე სკოლის მოსწავლეების, რიგითი მოქალაქეების, აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული მოსახლეობის წერილები ფრიდონ ხალვაშისადმი (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1. საქმე 17-18-19 -20-21-22-23), მათ შორისაა გრიგოლ ჯავახაძის, ზაურ ბოლქვაძის, მიხეილ დავარაშვილის, ალექსანდრე ჩხაიძის, ალექსანდრე ჩაგლეიშვილის, კალე ბობოხიძის, ნიკოლოზ ლორთქიფანიძის, ქეთევან შავგულიძის, გურამ ცხვედაძის, შ. ჩხიკვაძის. ნ. ტვინდიანის, შ. ფორცხიძის, ბაბო ხვდელიძის, ჰაიდარ აბაშიძის და სხვათა კრიტიკული წერილები, ლექსები, რეცენზიები და საგაზეთო პუბლიკაციები. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლუის ალამბურუს მიერ მიძღვნილი ლექსი ფრიდონ ხალვაშისადმი, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა ალექსანდრე კიკნაძემ.

„ლექსი ქართველ ძმას

გენდობი ფრიდონ, როგორც ქართული ძმობის წესია
რადგან სამშობლოს ღოცვის წყურვილში

კალამი ხანჯლად აგიღესია“ (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1. საქმე 17, ფურცელი 47).

პირად წერილებში წარმოდგენილია აგრეთვე მეგობრული შარუებიც. საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახელოთ რუსთაველის პრემიით ფრიდონ ხალვაშის დაჯილდოებასთან დაკავშირებით მისდამი მიძღვნილი ერთი მეგობრული შარუი:

„ძმაო ფრიდონ და პოეტო...
ხან მღიმარე და ღრენიავ
ქობულეთლები შენს ერთად
შევჭამთ რუსთაველის პრემიას
პრემია – ,

მართლა ბეგ=ია?! (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1. საქმე, 17 ფურცელი 42)

ერთ-ერთი მეგობრული შარუის ავტორი არის ზაურ ბოლქვაძე, რომელსაც 1993 წლის 20 აპრილს ფრიდონ ხალვაშისადმი მიუძღვნა შემდეგ სტიქონები:

სამადლობელ-საღაღობო ლექსპრომტი ძვირფას და დიდებულ ფრიდონ ხალვაშს:

„პოეზია ფრიდონისა მზეზე ადის მზის დონიდან
მწერალო და კაცო დიდო, ზე გმირო და ზე რაინდო,
ჩამოვალ და გნახავ ფრიდონ,
შენმა მტრებმა რომც დამბრიდონ!!

შენი ერთგული და თაყვანისმცემელი ლომი ზაურ ბოლქვაძე“ (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1. საქმე, 17 ფურცელი 30)

რუსთაველის პრემიით პოეტის დაჯილდოებას გამოეხმაურნენ როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთის ქვეყნებში. ფონდში დაცულია უამრავი მილოცვა რომელთაგან ჩვენი ყურადღება მიიქცია ცნობილი მეცნიერის ლევან სანიკიძის 1979 წლის 23 მარტს დაწერილი აკროსტიხმა:

„ფაფარ აყრილი ლომივით, დალაშქრე ლექსის მარავი
რუსთაველმა უხვად გასხურა, ზეგარდმო ნიჭის ბადაგი,
იმედო მემღეჭეთისა დაფასდა შენი ამაგი,
დამუხტე ცეცხლით კალამი, მეტოქის გულის დამდაგი
ობოლი მარგალიტით გაბრწყინდა შენი სახელი
ნახტომით გოდერძის მთიდან, ჰარნასის წვერზე ახვედი.
გოეთე, შოთა, ხომეროს-შეიქმნენ შენი მნახველნი
იხარე ძმაო ილხინე, მოგიკვდეს მტერი მძრახველი
ლექსი რა ლექსი გქონია ქართულ ენბაზში ნაბანი,
ომახიანსა ხალვაშურს, შავ ზღვაში გააქეს დგაფანი,
ცა, მიწა-წყალი, მცენარე, ქალაქნი სოფელ დაბანი,
ახრად ქცეულა ყოველი, საოცარ ქართულ ანბანით,
ვით ნიშანსვეტი სიცოცხლის, დაასვი ლექსის სამანი“

(ასსცსა, ფ. პ-406, საქმე 57 ან. 1. ფურცელი 39).

პოეტს მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა არა ერთ უცხოელ მწერალთან და საზოგადო მოღვაწესთან. მათ შორის იყო ცნობილი თურქი მწერალი ფაქირ ბაიქურთი. საქმეში დაცულია ბაიქურთის 1985 წლის 7 ივნისს დათარიღებული წერილი, რომელიც გამოუგზავნია „მშვიდობისა და მეგობრობის“ მედლით ფრიდონ ხალვაშის დაჯილდოებასთან დაკავშირებით:

„საყვარელო ძმაო ფრიდონ ხალვაში,

გავიგე რომ „მშვიდობისა და მეგობრობის“ მედალით დაჯილდოებილხარ. უდიდესათ გამიხარდა. გილოცავ სულით და გულით.

როგორ გიკითხოთ? გისურვებ ოჯახით, მეგობრებით, ნაცნობებით ყველას სიკარგეს და სიჯანმრთელებს.

1983 წ. ბათუმში რო ვლადპრაკობლით ბავშვობის მოთხრობების დაწერა გწადიოდა. დაამთავრე თუ არა? ეს თუ დაიბეჭდა ამ წიგნიდან ერთი ცალი გამომიგზავნე. მინდა ჩემ მეგობარ ილია ხიმშიაშვილის ერთათ თურქულზე ვთარგმნოთ და თურქეთში დავაბეჭდვინოთ.

ველოდები ახალ ლექსებს. სინატრულით მოკითხვებს გიგზავნი.

შენი ძმა ფაქირ ბაიქურთი (ასსცსა, ფ. პ-406, საქმე 57 ან. 1. ფურც. 103).

ფრიდონ ხალვაშის პირად ფონდში დაცულია საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის სამუშაო გეგმები, ანგარიშები, მწერალთა კავშირის შემადგენლობა, ფრიდონ ხალვაშისადმი მიძღვნილი მისალაცი წერილები საიუბილეო თარიღების, ხალხთა მეგობრობის ორდენით, რუსთაველის პრემიით მისი დაჯილდოების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტების მიხედვით, 1974 წლისათვის მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციაში ირიცხებოდა 50 ადამიანი. აჭარის მწერალთა ორგანიზაცია ეხმაურებოდა ქვეყნისათვის საციცოცხლო ყველა კულტურულ თუ პოლიტიკურ მოვლენას. სამუშაო გეგმებში გათვალისწინებული იყო ისეთი საკითხები, როგორცაა:

1. აჭარის განთავისუფლება და საქართველოსთან მისი დაბრუნების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია
2. მხატვრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ისტორიული ნარკვევების გამოცემა
3. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ დოკუმენტური ფილმის შექმნა
4. სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა ისტორიულ ადგილებში (გონიოს, პეტრას, ხიხანის ციხეები, ხუცუბნის ძმათა სასაფლაო)
5. სამხარეთმცოდნეო ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, გამოფენები
6. ღირსახსოვარი დღეების აღნიშვნა
7. უცხოეთიდან დაბრუნებული თანამემამულეებთან შეხვედრა
8. პოეზიის დღეების აღნიშვნა
9. სხვადასხვა სახის ხენაწერების ყოველთვიური განხილვა და ა. შ. (ასსცსა, ფ. პ-406, ან. 1, საქმე 56, ფურცელი 1-30).

ამავე საქმეში წარმოდგენილია აგრეთვე ოსი მწერლების სტუმრობა და მათი მიღების დეტალური გეგმა (ფურცელი 31).

ფრიდონ ხალვაშის პირადი ფონდი მასალების სიუხვით გამოირჩევა. ფონდში დაცული პირადი წერილები, პოეტის ხელნაწერები და ზოგიერთი სხვა დოკუმენტი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს შესაბამისი პერიოდის აჭარის კულტურული ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით. ჩვენს მიმოხილვაში ყველა საკითხს ბუნებრივია ვერ შევეხებოდით, მაგრამ ჩვენს მიერ განხილული მასალები საკმარისია პოეტის დაუდალავი, შემოქმედებითი მოღვაწეობის წარმოსახენად.

გამოყენებული წყაროები:

1. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი), ფ. პ-406, ან. 1, საქმე 15, 17, 18, 19 20,21, 22, 23, 56, 57

Tsitsino Tsintsadze

Some issues of life and work of Fridon Khalvashi

Summary

In Archives Administration is protected private fund of Fridon Khalvashi, in which are presented very interesting datas about poet's life and work. The presented work is written based on those archival materials.

ისევ ძველი ბათუმის რამდენიმე სახლის ისტორიისათვის

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი ბათუმი გამოირჩევა არა მხოლოდ არაჩვეულებრივი ბუნებით, შავი ზღვის ხიბლითა და და მზიანი დღეებით, არამედ განსხვავებულად თბილი და მოსიყვარულე ხალხით, ეს სიტბო არქიტექტურულ ძეგლებზეც კია ასახული, ქალაქი თავისი ძველი თუ ახალი არქიტექტურული შენობებითა და ზღვისპირა ბულვარით თანამედროვე საქართველოს საუკეთესოდ წარმოაჩენს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ბათუმში განსაკუთრებით მომრავლდა არქიტექტურულად მდიდარი შენობები, ისეთები როგორცაა ბათუმის ღვთისმშობლის ტაძარი, ბათუმის ფოსტის შენობა, ზღვისპირა ბულვარის კოლონადები, არქიტექტორთა სახლი, საზაფხულო თეატრი. ქალაქის განაშენიანების პროცესში მონაწილეობას ევროპელი არქიტექტორებიც ღებულობდნენ. ძველი ქალაქი ძირითადად ორ და სამ სართულიანი შენობებით გამოირჩეოდა, ამავდროულად თითოეული შენობის არქიტექტურული იერი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა, რაც უფრო საინტერესოს ხდიდა ქალაქის იერსახეს. სასურველი იქნებოდა ეს ტენდენცია შეინიშნებოდეს თანამედროვე ბათუმის არქიტექტურაშიც, იმედია ქალაქი შეინარჩუნებს დიდებული სიძველით და თანამედროვე სიახლეებით შერწყმულ ულამაზეს იერს.

მინდა კიდევ ერთხელ მივაქციო თქვენი ყურადღება ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულ იმ მასალებზე, რომლებიც ძველი ბათუმის არქიტექტურის შესასწავლად ღირებულია. განსაკუთრებით კი ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო, საადგილმამულო ბანკისა და ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილების ფონდების დოკუმენტები, ძირითადად გეგმა-პროექტები ქონების შეფასებებით.

როგორც ვიცით, თავის დროზე საადგილმამულო ბანკი ძალიან დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს, უფრო ზუსტად მაშინ ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის ამ ნაწილის ეკონომიკური წინსვლისათვის. ილია ჭავჭავაძის აზრით, ბანკის შექმნით ფინანსურად დასუსტებული თავადაზნაურობა "გამხნეველება, გაბეჯითდება და ძველ დიდებასა და პატივს დაიბრუნებს", ამიტომაც ბანკის გახსნა თავადაზნაურობის კეთილდღეობის შესანარჩუნებლად იყო ჩაფიქრებული. თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ქართველ თავადაზნაურთა მიერ გირაოდ ჩადებული სახლები მძიმე განაჩენს ექვემდებარებოდა. ამისი მიზეზი კი ეკონომიკური სიდუხჭირის გარდა ბევრი სხვა ფაქტორიც იყო, რომლებზე საუბარიც, ამჯერად, ამ თემის საგანს არ წარმოდგენს. ჩვენთვის საინტერესოა ბანკის მიერ გირაოში ჩადებული სახლების გეგმა-პროექტები, რომელთა საკმაო რაოდენობა ძველი ბათუმის სახლებისაა.

პირველი სახლი, რომელსაც შევეხებით, 2012 წელს ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემულ "ბათუმის არქიტექტურული ძეგლები"-შია განხი-


ლული: "ძველი ბათუმის ცხოვრებიდან" ალექსანდრე თიროშვილის მოგონებებში ვკითხულობთ: სახლი ეკუთვნოდა თავად გურიელს. ადრე ამ ადგილზე იყო დიდი მინდორი. დაიწყო ქუჩის გაყვანა და სახლების მშენებლობა. ქალაქის სათათბიროსათვის საკუთარი შენობის აშენებამდე ბათუმის აღმასკომი განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე, რომელიც ირანელ ვაჭარს ჰქონდა ნაქირავები. დუქანში ხილი და ბოსტნეული იყიდებოდა, გვერდით კი იყო წიგნის მაღაზია "ჭოროხი". სახლი მდებარეობდა ყოფილი მარინეს პროსპექტზე.



ქუთაისის ცენტრალურ არქივში მიხეილის სათავადაზნაურო ბანკის ფონდში დაცულია ორსართულიანი სახლის პროექტი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ბათუმში მიხაილოვისა და მარინის პროსპექტის კუთხეში, ქვედა სართულზე განთავსებული იყო 8 მაღაზია, შესასვლელისა და კარების გარდა, მეორე სართული შედგებოდა 12 ოთახისაგან და 6 დამხმარე ოთახისაგან, მეორე სართული გარემონტებულია, პირველი სართული საჭიროებად რემონტს.

1904 წელს მიხეილის სათავადაზნაურო ბანკის შემფასებელი კომისიის წევრების ვასილი თუმანოვისა და გიორგი დადიანის შეფასებით სახლის ღირებულება შეადგენდა 40000 მანეთს. ზომით 150 კვ.საჟ. საზღვრებში აღმ. მოედანი, დას. დურსუნ ბეგ თანგერძის მიწა, სამხ. ალი ფაშას მიწა და ჩრდ. ქუჩა.

ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილების ფონდში დაცულია ასევე სახლის პროექტი, რომელიც მდებარეობდა ქალაქ ბათუმში მეჩეთის მოედანზე და ეკუთვნოდა როტმისტრ თავად იესე გურიელს, სამწუხაროდ პროექტი დათარიღებული არ არის. წარმოგიდგენთ იესე გურიელის სახლის ორ პროექტს:





ქუთაისის ცენტრალურ არქივში დაცულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელიც ა.ს. და კ. პუჩინიანების საკუთრებაა და მდებარეობს პეტერბურგისა და შერემეტევოს ქუჩის კუთხეში. პროექტი 1891 წლის 25 ოქტომბრით არის დათარიღებული, აგებულია ბათუმის არქიტექტორის ინჟინერ კაპიტან საზანოვის მიერ, ნებართვა სახლის აგებაზე გაცემულია გენერალ-მაიორ კოლოდევის და ინჟინერ პავლოვის მიერ 1891 წელს.



„ბათუმის არქიტექტურულ ძეგლებში“ ავტორები მოგვითხრობენ პუჩინიანის სახლის არქიტექტურასა და სახლის ისტორიაზე. ორსართულიანი

შენობის ფასადი ფრონტალურად იშლება ქუჩის მიმართულებით და კლასიციზტურ სტილშია შესრულებული, სახლი აგურითაა ნაგები და შელესილი, ძირითადად ქუჩისკენ მიმართულ კორპუსს მარჯვნივ ეზოს მხრიდან ემატება ფრთა, რომელიც შენობის გეგმას შებრუნებული რუსული V-ს მოხაზულობას უქმნის. ეზოდან ნაგებობას მესამე სხვენის სართული ემატება, რომელზედაც ხის, მომრგვალებულ კიბეს აყვავართ რიკულებიანი მოაჯირით. შენობის ფასადი სიმეტრიულია. კიდეებში შესასვლელებია განთავსებული. მარცხნივ გვირაბი-გასასვლელი ლითონის ჭიშკარით, მარჯვნივ სადარბაზო. შენობის მკაცრი, კლასიციზტური გაფორმება, მასშტაბურობა, ტექტონიკურობა შესანიშნავად ჯდება ქუჩის განაშენიანების ხასიათში და მის ორგანულ ნაწილად აღიქმება.” სახლის ისტორიის მიმოხილვისას ავტორები აღნიშნავენ, რომ სახლი აშენებულია XIX საუკუნის ბოლოს პუჩინიანის მიერ. სახლი საჯარო ვაჭრობის წესით გაყიდულა 1931 წელს მასზე რიცხული სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების ასანაზღაურებლად. გაზეთ ”საბჭოთა აჭარისტანის” 1931 წლის 30 ოქტომბრის № 242-ე გამოქვეყნებული იყო განცხადება კარაპეტ პუჩინიანის საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლის (მდებარე ლენინის ქუჩა 20) საჯაროდ ვაჭრობით გაყიდვის შესახებ. საჯარო ვაჭრობა უნდა გამართულიყო 1931 წლის 3 ნოემბერს, 10 საათზე.





1908 წლის 13 დეკემბერს ქუთაისის მიხაილის სათავადაზნაურო ბანკის შემფასებელი კომისიის მიერ ჩატარებული იქნა პუჩინაიანების სახლის დათვალიერება, სადაც აღინიშნა, რომ ბანკში დაგირავებული ქონება მდებარეობდა ბათუმში პეტერბურგისა და შერემეტევის ქუჩების კუთხეში. მამული შედგებოდა 11 ქვის ღუქნისაგან, 2 ქვის სახლის, 4 ბინის 22 ოთახის და 3 სარდაფისაგან, მამული შეფასებულია 25802 მანეთად. სულ მამული 339,50 კვადრატული საუენია.

მინდა წარმოგიდგინოთ ქუთაისის გუბერნიის სამშენებლო განყოფილების ფონდში დაცული ივანე დავითის ძე კაკაბაძის საცხოვრებელი სახლის პროექტი, რომელიც მდებარეობდა ბათუმში ნურიის ნაწილში პეტერბურგის ქუჩაზე, ამ სახლის შესახებ ქუთაისის მიხეილის სათავადაზნაურო ბანკის მასალებში ვკითხულობთ: ივანე დავითის ძე კაკაბაძე დებს ბანკში ქონებას, ასევე არსებობს ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1898 წლის 30 მარტს №441 გირავნობის მოწმობა ივანე დავითის ძე კაკაბაძის ქონებაზე. მიხეილის სათავადაზნაურო საადგილ-მამულ ბანკის გამგეობა უგზავნის რა ამ გირავნობის მოწმობას ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსს, სთხოვს ამ მოწმობაში აღნიშნულ მამულზე მოსხნას აკრძალვა, რომელიც არის დადებული როგორც ამ მოწმობის აგრეთვე ბანკის მიერ სესხის მიცემის გამო 4000 მანეთის რაოდენობით, ვინაიდან ხსენებული სესხი სრულებით არ ჩანს სახლი რჩება მეპატრონის – კაკაბაძის მფლობელობაში. სამწუხაროდ ვერ მოვახერხეთ ამ სახლის დღევანდელი მდებარეობისა და მდგომარეობის დადგენა, ბათუმის არქიტექტურის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულ გამოცემებში არაფერი თქმული ზემოთ დასახეებულ სახლთან დაკავშირებით. სწორედ ამან განსაზღვრა ჩვენი ინტერესი ამ შენობასთან დაკავშირებით.





სახლის პროექტი განხილული იყო კ. ბათუმის სამშენებლო განყოფილების მიერ და დამტკიცებული იქნა 1881 წლის 17 ივნისს, ჯერ ინჟინერ კვახალოვის, ხოლო შემდეგ გუბერნიის არქიტექტორის კ. ტარასევიჩის მიერ. სახლი აგებულია 1896 წელს, მისი პირვანდელი მფლობელი იყო ერვანდე ოვანეზის ძე შახ-მელიკიანი, ხოლო შემდეგ გადავიდა ოვანეზ ოვანეზის ძე ტანიევის მფლობელობაში.

- ნაზი ფაილოძე, ლელა კეკელაძე, მანანა სურამელაშვილი, ირინე ელიზბარაშვილი, ციცილო ჩახუნაშვილი). "ბათუმის არქიტექტურული ძეგლები " ბათუმი 2012.

Tea Katamadze

Again history of some houses of Old Batumi

Summary

In the second half of XIX century in Batumi has increased architecturally rich buildings. Among them, we can name: Batumi Cathedral of the Mother of God, Post Office, the seaside boulevard colonnades, the House of Architects, Summer Theater. European architects also took part in the process of urbanization. The article, based on the materials protected in Kutaisi State archive, deals with history of some houses.

ნოე რამიშვილის ბიოგრაფიული შტრიხები

(აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული მასალების მიხედვით)

ნოე რამიშვილი პარიზში, ქუჩაში მოკლა ქართველმა ემიგრანტმა, 1930 წლის დეკემბერში. ემიგრანტი გახლდათ ჭანუყვაძე, ნოე კი, საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე იყო. აღნიშნულ თანამდებობაზე ხშირად ჟორდანიას მოიხსენიებენ. პირველი პრეზიდენტი არცერთი მათგანი არ ყოფილა, მაგრამ მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიაში პირველი რესპუბლიკის პირველი მეთაური, სწორედაც ნოე რამიშვილი გახლდათ, რომელიც ქართველმა ემიგრანტმა ჭანუყვაძემ, ქუჩაში მოკლა 7 დეკემბერს (<http://ka.wikipedia.org>), საბჭოთა „ჟანდარმერიის“ მიერ ქართველ ემიგრანტებთან მიჩენილმა პიროვნებამ.

ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი დაიბადა 1881 წელს ჩოხატაურის სურების საზოგადოების სოფელ ვანში (გურამ შარაძე „უცხოეთის მზის ქვეშ“). „მამა ბესარიონ რამიშვილი გახლდათ ოსტატი, და განათლებული პიროვნება ;დედა იყო შემოქმედებიდან მკვლადის ქალი. ნოეს ყავდა ხუთი ძმა და ერთი და. ის სწავლობდა სოფელ დიდი ვანის სკოლაში, რომელიც მამამისის აშენებული იყო და სადაც მასწავლებლობდა გამოჩენილი პიროვნება ისიდორე რამიშვილი (1859-1937), მესამე დასის ერთ-ერთი დამფუძნებელი, I სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სოციალ დემოკრატებიდან, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, რომელმაც როგორც ჩანს დიდი გავლენა მოახდინა ნოეს ცნობიერებაზე-

„პატარა ნოეს, ამ კეთილმა მასწავლებელმა ბავშვობიდანვე ჩაუნერგა დაჩაგრულთა სიყვარული და სამშობლოს საკეთილდღეო საქმიანობა“ (http://www.nplg.gov.ge/geo/history/7_dekemberi_daibada_noe_ramiSvili/id206) – და რომელიც ასევე მოხსენიებული იმ საარქივო დოკუმენტებში რომლის გამოც იწერება საერთოდ ეს სტატია. ვანის სკოლის შემდეგ ნოე სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში ხოლო შემდეგ კი დაამთავრა ქუთაისის სემინარია. 1901 წელს შევიდა იურივეის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, საიდანაც გარიცხეს 1902 წელს. იმავე წელს დაბრუნდა საქართველოში და შევიდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში და სწორედ ამ პერიოდში ჩამოვიდა ბათუმში რომელთან დაკავშირებული დოკუმენტაცია გვინდა წარმოგიდგინოთ. თუმცა ჯერ მოკლედ გადავავლოთ თვალი მისი ბიოგრაფიის შემდგომ პერიოდს. ნოე რამიშვილი 1904 წელს დააპატიმრა ჟანდარმერიამ თბილისში (ფსევდონიმი იყო პეტრე ნ. სემიონოვი), მაგრამ გაიქცა და ღონის როსტოვში განაგრძო მოღვაწეობა.

1905 წელს ის დაქორწინდა მარო გოგიაშვილზე, რის შემდეგაც დაბრუნდა თბილისში. მათ შეეძინათ ოთხი შვილი: ბენო, აკაკი (კაკი), ნინო (ნუცა) და თამარი.

1905 წლიდან ნოე რამიშვილი ებმება აქტიურ რევოლუციურ საქმიანობაში. პარალელურად 1907 წელს იგი აგრძელებს სწავლას ლაიფციგის უნივერსიტეტში.

1908 წელს რამიშვილი შვეიცარიაშია და მონაწილეობს ლენინთან, პლექხანოვთან, ჩიხერინთან და სხვა ცნობილი მოღვაწეებთან ერთად რევოლუციური სხდომების მუშაობაში.

1910 წელს გურიაშია და ესწრება ხიდისთავის კონფერენციას. შემდეგ მას კვლავ აპატიმრებენ და ღონის როსტოვში ასახლებენ. ნოე რამიშვილის ბიოგრაფიაზე ერთი თვალის შევლებითაც შეიძლება შენიშნო რა შედარებით ლოიალურად ეპყრობა რევოლუციონერებს ცარიზმის კი, როდესაც აკერ ჩვენთან უახლოეს წარსულში ლამის ნადირობდნენ ოპოზიციონერებსა და მომიტინგეებზე.

1913 წელს ნოე რამიშვილი მიდის პეტერბურგში და იწყებს მოღვაწეობას სათათბიროს ფრაქციაში.

1917 წელს ირჩევენ რუსეთის დამფუძნებელი საბჭოს წევრად, შემდეგ ამიერკავკასიის სეიმის და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად.

1918 წლის 26 მაისს შედგა საქართველოს პირველი ეროვნული მთავრობა და ნოე რამიშვილს მიენდო ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბება. ერთი წლის შემდეგ მან მთავრობის თავმჯდომარის პოსტი უორდანიას დაუთმო. (თანამედროვე გაგებით არ არსებობს თავმჯდომარის პოსტის სხვისთვის დათმობა, ამას მთავრობის გადადგომა ქვია, თან არის მოსაზრებები რომ რაღაც ინტრიგის გარეშე ამ „დათმობას“ არ უნდა ქონოდა ადგილი. გიორგი მეორის გადადგომისა და ალექსანდრე დიდის ბერად აღკვეცისა არ იყოს. ლევან ურუშაძე წერს: „საერთოდ, ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა ვერ პატიობდნენ. რამიშვილს, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პირველ თავმჯდომარეს, რომ მან, გამოიჩინა რა სისუსტე, დაუშვა ხელისუფლების სათავე შინ. უორდანიას მოსვლა, რამაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასამარებას. მიუთითებს რა მამამისისგან საკუთრებით მნიშვნელოვან შეცდომებზე; მასვე მოყავს აკაკი რამიშვილის სიტყვები: „საქართველოს პირველი მთავრობის გადატრიალებისას გენერალ კვინიტაძეს არ დაუკავშირდა და არ სთხოვა კონსპირატორების დაპატიმრებისათვის ჯარის დახმარება“. აკაკი რამიშვილი. ჩვენი შეცდომები).

ასეა თუ ისე ნოე რამიშვილი მთავრობის თავმჯდომარეობიდან გადადგომის შემდეგ თვითონ გახდა უცვლელი შინაგან საქმეთა მინისტრი, ხანდახან ითავსებდა სამხედრო და განათლების მინისტრის პორტფელსაც.

გურამ შარაძე წერს, რომ მისი ორგანიზატორობით მოხდა „ჯარის რეორგანიზაცია, სკოლის რეფორმა, ფოსტა ტელეგრაფ-ტელეფონით საქართველოს ყველა კუთხის ერთ მეორესთან დაკავშირება, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება“ (შარაძე გ., 1991:61).

ნოე იყო პრინციპის კაცი. მამა ესუმრებოდა კიდევ: „მინისტრო! მე გარჩენო...“.

არაა სადაო ნოეს ერუდირებულობა. როგორც მისი დისწვილი თამარ კახელაძე-თაყაიშვილი იხსენებს, ის „ კარგად ლაპარაკობდა გერმანულს და ფრანგულსაც კარგად ფლობდა. მახსოვს წვეულება რომ გაუმართა უცხოელ დელეგაციას თბილისს ჩამოსულს. მახსოვს: კაუცკი, ვანდერველდე, მაკლონაღლი...“ (შარაძე გ.,1991:61).

1921 წლის 17 მარტს მთავრობის სხვა წევრებთან ერთად მიდის ემიგრაციაში. თავდაპირველად დასახლდა სენ-კლუში. შემდეგ ლევილში, თუმცა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა არ შუწყვეტია. იყო 1924 წლის აგვისტოს აჯანყების აქტიურიორგანიზატორი. (<http://ka.wikipedia.org>).

1929 წელს დასახლდა პარიზთან ახლოს ფონტენეი ო როზ-ში.

რამიშვილი აქტიურად იყო ჩართული პოლონეთის მიერ წარმოებულ ანტისაბჭოთა პრომეთეისტულ მოძრაობაში.

ნოე რამიშვილი დაკრძალულია ბანიოს სასაფლაოზე.1931 წელს გამოვიდა მისი წიგნი „დემოკრატიული სოციალიზმი“.

1930 წელს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ის პარიზში, იტალიის მოედანზე, 7 დეკემბერს მოკლა პარმენ ჭანუყვაძემ. (მკვლელი იყო საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული ემიგრანტი პარმენ ჭანუყვაძე. <https://burusi.wordpress.com/2011/03/16/levan-z-urushadze-12/> ანრი შაველაძე, ვახტანგ გურულზე დაყრდნობით წერს: „უცხოეთში გადახვეწილი პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიდან სტალინს ყველას ფიზიკური ლიკვიდაციის გადაწყვეტილება არ მიუღია. იგი მსხვერპლს იმის გათვალისწინებით არჩევდა, თუ ვისგან რა პირადი წყენა ახსოვდა. მიუხედავად ყველაფრისა სტალინს არ გაუცია ბრძანება ნოე ჟორდანიას, ირაკლი წერეთლის, კარლო ჩხეიძისა და სხვათა ლიკვიდაციის თაობაზე, მაგრამ იმ ადამიანების სიის დასაწყისში, ვისი ფიზიკური ლიკვიდაციაც გადაწყდა, იყვნენ ლევ ტროცკი და ნოე რამიშვილი. ნოე რამიშვილი საბჭოთა სპეცსამსახურებმა 1930 წელს მოკლეს პარიზში. მომდევნო წელს მოკლეს ლევ ტროცკი.“ <http://tbiliselebi.ge>) მასთან ერთად მყოფი მენაღარიშვილი გადაურჩა ტყვიას და განაიარაღა მკვლელი.

„რამდენიმე ხნის შემდეგ ჭანუყვაძემ ციხიდან მონანიების წერილი მოიწერა და სწყევლიდა ყველა მათ, ვინც ეს საქმე ჩაადენინეს. ის პატიმრობაში ჭკუაზე შეიშალა და ციხეში გარდაიცვალა...“ (შარაძე გ.,1991:66).

აჭარის საარქივო სამართველოში დაცული დოკუმენტი 1902 წელს ნოე რამიშვილის ბათუმში ჩამოსვლასა და ჟანდარმერიის მიერ მასზე უწყვეტ თვალთვალს შეეხება.

საარქივო დოკუმენტში ნოე რამიშვილის ფიზიკური მონაცემების შესახებაცაა ინფორმაცია. დოკუმენტი ანკეტის სახითაა შედგენილი. როგორც ჩანს ეს საბუთი ჟანდარმერიის შიდა სათვალთვალო თუ სამეთვალყურეო კართოთეკის ნაწილი იყო (ფონდი, ასსცსა, ი-5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 1:)

„საშვი“

დახასიათება;

ასაკი – 21

სიმაღლე – 2 არშ, 6 ¼ ვ.

თმა- მუქი ყავისფერი

წარბები – ხშირი

თვალები – თაფლისფერი


ცხვირი – ეხიანი

პირი- ჩვეულებრივი

ნიკაპი- ჩვეულებრივი

სახე-

განსაკუთრებული ნიშნები- შუბ-
ლზე, თვალებშორის შრამი“



უანდარმერიის ანკეტაში ვკითხულობთ:

„ეძიება ეს საშვი იურიევის ყოფილ სტუდენტს ნაუმ ბესარიონისძე რამიშივლს მასზე რომ ის პირდაპირი რეისით მიემგზავრება ბათუმში ქუთაისის გუბერნიაში რის დასტურადაც მიეცა ეს მოწმობა იურიევის საქალაქო პოლიციაში ხელმო-საწერად და სახელმწიფო ბეჭდით ვადით 10 (ათი) დღე.“



ბათუმში (ქუთაისის გუბერნია) მისვლისთანა-ვე საშვი უნდა პირადად წარუდგინოს ბათუმის ოლქის უფროსს სადაც ამასთან ერთად გადაგზავნილია მიმოწერა რამიშივლთან დაკავშირებით.

ქ. იურიევი, ლიფლანდიის.გუუბ. 23 აპრილი 1902 წ.

პოლიცმეისტერი

მდივანი.“

როგორც ვხედავთ ნოე რამიშივილი 1902 წელს ბალტიისპირეთიდან წა-მოვიდა საქართველოსაკენ. იმ დროს იგი გარიცხული იყო უნივერსიტეტი-

დან. ნოე რამიშვილი აქტიურად ებმება სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. იგი ჯერ ქუთაისში ჩასულა. ბათუმში მას მისმა პირადმა საქმემ ჩაასწრო. ცხადია უანდარმერია საფუძვლიანად შეისწავლიდა ნოე რამიშვილთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. არ გვაქვს დოკუმენტი როგორ და როდის წარუდგინა საშვი პირადად ნოემ ბათუმში ბოქაულს, მაგრამ მისი 15 ივნისის წერილიდან ირკვევა რომ აპრილსა და მაისში თუ არა ივნისში მაინც ის უკვე ბათუმშია:

„თქვენო მაღალადმატებულებაჲ,

ბატონო ბათუმის პოლიცმეისტერო.

იურიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის, ნაუმ ბესარიონისძე რამიშვილის განცხადება.

მაქვს პატივი განუცხადო თქვენ აღმატებულებას, რომ დღეს 15 ივნისს, საღამოს მივემგზავრები თბილისის გუბერნიის ბაკურიანის მიდამოებში, ბორჯომის გადაღმა, ერთი თვით, საიდანაც ისევ აქ ვბრუნდები.

იურიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტის, ნაუმ ბ. რამიშვილი ქ.ბათუმი

1902 წლის 15 ივნისი“ (ფონდი ასსცსა, ი-5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 6)

29 აგვისტოს ბათუმში ჩამოდის აგრეთვე ნოე რამიშვილის მასწავლებელი ისიდორე რამიშვილი. საარქივო დოკუმენტში ვკითხულობთ:

„მის მაღალადმატებულებას, ბატონ ბათუმის პოლიცმეისტერს.

პატაკი

მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ისიდორე რამიშვილი ჩამოვიდა ბათუმში, რაზეც ეუწყა ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწეს

ბოქაული. ხელმოწერა (ფონდი, ასსცსა, ი-5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 7)

დოკუმენტებიდან ჩანს რომ ისიდორე და ნოე კოორდინებულად მოქმედებდნენ და ერთ საერთო გეგმას მიყვებოდნენ:

„მის მაღალადმატებულებას, ბატონ ბათუმის პოლიცმეისტერს.

პატაკი

1902 წლის 18 სექტემბერი.

მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ გუშინ საღამოს ბათუმში სოფელ სურებიდან ჩამოვიდა ყოფილი სტუდენტი, ნაუმ რამიშვილი და დაბინავდა თავისი ნათესავის ქართული სასწავლებლის მასწავლებ-

ლის ისიდორე რამიშვილის ბინაში. ამის შესახებ ეცნობა ქუთაისის გუბერნიის კანცელარიის უფროსის თანაშემწეს.

ბოქაული . ხელმოწერა (იქვე: ფურცელი 8)

ეტყობა ბორჯომ-ბაკურიანიდან ნოე სურების გავლით დაბრუნდა ბათუმში. ბათუმში რამიშვილები დაკავშირებული არიან ცინცაძესთან, რაც არ გამოპარვია საიდუმლო პოლიციას და მიიღო კიდევაც ზომები:

„ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქში

მიღებულია 9 ოქტომბერს. 1902 წელი

საიდუმლოდ

თქვენი N 850 მომართვის პასუხად თქვენს აღმატებულებას ვაცნობებთ რომ მასში მოხსენიებული რამიშვილი და ცინცაძე ექვებდებარებიან ფარული მეთვალყურეობის დაწესებას და მათი ბათუმიდან სადმე გასვლის შემთხვევაში მაცნობეთ მე.

პოდპოლკოვნიკი შაბლოვსკი


ბათუმის პოლიცემისტერს „ (ფონდი ასსცსა, ი-5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 11)

არ ვიცით კონკრეტულად რას საქმიანობდა ნოე რამიშვილი ბათუმში ამ პერიოდში, გარდა იდეური მოღვაწეობისა რამე ფიზიკურ აქტივობებს ჩადიოდა თუ არა რევოლუციისა თუ რევოლუციის მზადების თვალსაზრისით, ყოველ შემთხვევაში მოთვალთვალენი ზემდგომებს მხოლოდ 1903 წლის დასაწყისში აწუხებენ (თარიღი გაურკვეველია ამიტომაც დოკუმენტს აქვე წარმოგიდგენთ).

„1903 წელი.ქ. ბათუმის პოლიცემისტერს,პატაკი.

მაქვს პატივი მოგახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი ნოე რამიშვილი გადავიდა...

... კომაროვის ქუჩაზე, რაზეც მოგახსენებთ (ფონდი ასსცსა ი-5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 9).



1904 წელს ისევ ბათუმშია ნოე და ისევ იცვლის ბინას:

„1904 წელი

მის მაღალაღმატებულებას, ბატონ ბათუმის პოლიცმეისტერს.

პატაკი

მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ ფარული მეთ-
ვალყურეობის ქვეშ მყოფი იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი ნოე რამიშ-
ვილი გადავიდა საცხოვრებლად ქალაქის 1 უბანში, ოგლობეინის ქუჩაზე.

ამის შესახებ ეცნობა უბნის ბოქაულსა და ბათუმის ჟანდარმერიის
უფროსს (ფონდი ი-5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 10).

ნოე რამიშვილი ბათუმიდან ოზურგეთში მიემგზავრება 1904 წლის თე-
ბერვალში:

„1904 წლის 19 თებერვალი

შ.ს.ს

*საპორტო ქალაქ ბათუმის 1 -ლი უბნის ბოქაული
საიდუმლო
ბათუმის პოლიცემისტერს*

*მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ ფარული მეთ-
ვალყურეობის ქვეშ მყოფი იურიევის უნივერსიტეტის სტუდენტი ნოე რამიშ-
ვილი გაემგზავრა ოზურგეთის მაზრის სოფელ სურებში (ფონდი ასსცსა ი-
5; ანაწერი 3; საქმე 2; ფურცელი 13)*

ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსის თანაშემწე ცოტათი
გაბრაზებულია ბათუმის ჟანდარმერიის მუშაობით, ეტყობა მაინც ვერ გაით-
ვალისწინეს რამიშვილის შესაძლო ვოიაჟები და ვერ გააკონტროლეს მისი
ქმედება, რაც ალბათ არც იყო ადვილი საქმე თუ გავითვალისწინებთ იმას,
რა დონის რევიოლუციურ მოღვაწესთან ქონდათ საქმე:

„1904 წლის 20 მარტი

*ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის უფროსის თანაშემწე ბათუმის
ოლქში.*

*თქვენი მაღალაღმატებულების მიმდინარე, თებერვლის 25 ის, N145
მოხსენებიდან ჩანს რომ ბათუმში პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყუ-
რეობის ქვეშ მყოფი, ყოფილი სტუდენტი, ნოე რამიშვილი- გაემგზავრა
ოზურგეთის მაზრის დაბა სურებში, ამასთანავე თქვენი მიმდინარე 20 მარ-
ტის N 241 მოხსენებიდან ირკვევა რომ ხსენებული რამიშვილი 19 მარტს
ყოფილი მუშების თავყრილობას ხელმძღვანელობდა გეგეშიძის ბინაში, აღ-
ნიშნულის გათვალისწინებით ვთხოვთ თქვენს მაღალაღმატებულებას შეგ-
ვატყობინოს ზუსტად რომელ თვესა და რიცხვში ბრუნდება ხსენებული რა-
მიშვილი ბათუმში. და რატომ არ მეცნობა დროულად მისი ბათუმში ყოფნა.*

*ბათუმის პოლიცემისტერს“ (ფონდი ასსცსა ი-5; ანაწერი 3; საქმე 2;
ფურცელი 14)*

ცოტათი გვიან გაიღვიბა თანაშემწემ, ტყუილად მოსთხოვა მეტი ყუ-
რადლება ბათუმის ბოქაულს, ნოე რამიშვილი წავიდა და უკან აღარ დაბ-
რუნებულა:

„1904 წლის 26 მარტი

*ბათუმის ქალაქის პოლიციის სამმართველო
სრულიად საიდუმლოდ*

*მაქვს პატივი ვაცნობო ბათუმის პოლიცემისტერს რომ ოზურგეთში
გამგზავრების შემდეგ რამიშვილი უკან საცხოვრებელ უბანში არ დაბრუნე-
ბულა, და ამჟამად ქ.ბათუმში არ იმყოფება, 1904 წლის 26 მარტი.*

*უბნის ბოქაული. ხელმოწერა (ფონდი ასსცსა ი-5; ანაწერი 3; საქმე 2;
ფურცელი 17).*

როგორც ჩანს საბოლოოდ ამოისუნთქა ბათუმის საუღუმლო სამსა-
ხურმა, მოიშორა ნოე რამიშვილი. თუმცა როგორ ისტორია გვასწავლის
სიტყვა „სამუდამოდ“ არასოდეს არ აღნიშნავს მარადიულობას და ნოე რა-
მიშვილი სულმალე ისევ დაუკავშირდა ბათუმს, მაგრამ ახლო უკვე რო-
გორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და უკვე თვითონ წყვეტდა
ვის ვისზე და რა ხნითაც უნდა ეთვალთვალა თუ არ უნდა ეთვალთვალა,
და რუსული ჟანდარმერიისთვის ალბათ ბედიის ირონიით სწორედ ნოე რა-

მიშვილისა და ევგენი გეგეჭკორის ხელმოწერით დასრულდა აჭარაში ბრიტანული ოკუპაცია და ეს ძირძველი ქართული კუთხე კვლავ დაუბრუნდა ქართული ხელისუფლების იურისდიქციას, მაგრამ ეს უკვა სხვა თემაა და ვგეგმავთ ამ საკითხს ცალკე სტატია მივუძღვნათ.

შიდილება ვერაფერი დიდი სარგებელი მოუტანა ნოეს საქმიანობა ქართველ ერს, მაგრამ მისი სიტყვები ნაღად გაუღერდა წინასწარმეტყველებასავით და ახლა კიდევაც, ვინ იცის იქნებაც და მართლა რამიშვილს უფრო ევარგა ქვეყნის მეთაურად:

„რუსული კომუნიზმი იხრწნება შიგნით და სუსტდება გარეთ. მან დაკარგა ყოველივე გავლენა ევროპის მუშათა წრეებში. მას გამოეცალა ნიადაგი ბურჟუაზიულ ბანაკში და სრულიად ირიყება დიპლომატიურ სფეროში. ეს კომუნიზმის აღსასრულის მოახლოებას მოახწავებს და რუსეთს ხანგრძლივ ანარქიას უქადის.

ქართველი ერი, რომელიც გმინავს რუსული კომუნიზმის უღლის ქვეშ, ეჭვს გარეშეა ისარგებლებს პირველი ხლსაყრელი შემთხვევით, კომუნისტური რუსეთის ხელმძღვანელთა წაბორძიკებით, რომ საქართველოს დაუბრუნოს დამოუკიდებლობა და აღადგინოს დემოკრატია.“ (ნოე რამიშვილი „რუსული კომუნიზმი და საქართველოს დემოკრატია“ გვ.46 <http://www.scribd.com/doc/26339177/Noe-Ramishvili-Russian-Bolshevism-and-Georgian-Democracy>)

ვფიქრობთ 1902-1904 წლებში ნოე რამიშვილის ბათუმში ყოფნის აჭარის არქივში დაცული დოკუმენტების გაცნობა, საინტერესო იქნება როგორც ფართო საზოგადოებისთვის ასევე საქართველოს ისტორიის ამ პერიოდით დაინტერესებული მკვლევარებისთვისაც.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველო ცენტრალური სახელმწიფო არქივი) ფონდი ი-5; ანაწერი 3; საქმეები: 2, 5;
2. თამარ კახელაძე-თაყაიშვილი, „ბიძაჩემი ნოე რამიშვილი“, „ჩვენი დროშა“ პარიზი, 1981;
3. აკაკი რამიშვილი. ჩვენი შეცდომები (1918-1921), თბილისი, 2006;
4. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი V. თბილისი 1971 წელი;
5. საქართველოს ისტორია. ოთხტომეული. თბილისი 2012;
6. სამხრეთ – დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ III; ბათუმი 2008;
7. გურამ შარაძე „უცხოეთის მზის ქვეშ: თბილისი 1991; ტ.; I
8. <http://ka.wikipedia.org>

9. <http://www.nplg.gov.ge>
10. <https://burusi.wordpress.com/2011/03/16/levan-z-urushadze-12/>
11. <http://www.scribd.com/doc/26339177/Noe-Ramishvili-Russian-Bolshevism-and-Georgian-Democracy>

Fridon Kardava

Biographical features of Noe Ramishvili

Summary

The article presents the life and work of Noe Ramishvili, which are based on the materials protected in Archives of Ajara.

Karine BAZEYAN

Grigor AGHANYAN

***THE TOWN AS A BAREAR OF INNOVATION VALUES
(ON THE EXAMPLE OF TOWN ALEXANDRAPOLE)***

Shirak Centre of Armenian Studies of the Academy of Sciences of RA
Institute of arkheaology and ethnografy of the Academy of Sciences of RA

The cultural tradition in our days continues to remain for the ethnos stabilizing and self-cleaning universal mechanism, which functions in all spheres of the social organism. In this case, tradition is considered as one of the mechanisms of the changes taking place in the society.¹ Tradition is a thing which always is in a continuous action and transform and actually the source of its action is in itself and hence the development of the cultural tradition can be treated as a continuously overcoming process of some types of socially organized stiff types and occurring the new ones.

As a result of the investigation of the ethnic cultural modifications of the Armenian people, on the example of the city Alexandrapole, we are intended to show how does the confirmation of the new values take place and how can the concrete circumstances of changes in the conditions of the existence of the ethnos influence on the formation of new cultural elements and complexes. In this sense, we mean that the development of the culture and particularly the ethnic culture is displayed as a process of innovations and making stereotypes. By saying 'innovation' we understand introduction of new technologies and models of activities and as for 'making stereotypes' we mean acceptance of the models by a certain group of people in the circles of certain groups.²

It is well known that city is an open cultural system and here the adaptation takes place quickly. Next to the multiple traditional elements of its routine-and-cultural complex, the urban culture quickly accepts, comprehends and expresses the foreign phenomena in a new way giving new qualities to them. In the cities, which have trade and handicraft traditions and are distinguished with their typical routine-and-cultural complex, more vivid are the local forms of the ethno-cultural adaptation, which create new qualities enriched with foreign phenomena having within them fixed local cultural elements. In the course of time, these local forms become insomuch typical to the mentioned cities that even most of the specialist genealogists are unable to separate the local layers and the ones of foreign origin.³

In Armenian reality, such urbanization activities were expressed more vividly

¹ МАРКАРЯН Э., Культурная традиция и задача дифференциации ее общих и локальных проявлений. Методологические проблемы этнических культур: Материалы симпозиума, Ереван, ст. 91-93.

² ЛУРЬЕ С., Историческая этнология, Москва 1998, ст. 217.

³ AGHANYAN G., Basic items of cultural ecology in Gyumri, Knowledge and symbol, popular belief and custom. Collection of the articles of the second international scientific conference]. Yerevan, 2007, p.198.

in contemporary Gyumri (formerly Alexandropole and then Leninakan) the routine-and-cultural palette of which is the best example of a good mixture of the traditional-Armenian and foreign-international urbanized values and elements.

In the first quarter of the XIX century when Eastern Armenia was connected to Russia, in the place of the small village of Gyumri a populous city of Alexandropole was founded which became the bearer of the cultural traditions of the three famous cities of Western Armenia (Karin (Erzerum), Kars and Bayazed) and a successful example of their symbiosis. In the antique period and in the middle Ages successful or unsuccessful experiments were made, in the Armenian reality, of moving the inhabitants of other cities to the newly founded ones. If those cities were founded for the period of the existence of the Armenian State system the case of Alexandropole was different as it was founded in the environment of an alien Russian State system. Maintaining the significant ethnic and traditional characteristics, the city and the citizens could successfully import systems of evaluation and cultural elements, typical to the Russian and European cities, into their routine-and-cultural complex. The choice of the place of the city, the arrangement of the quarters, the direction of the streets (North – South, East-West), the construction of the city according to the preliminary established Main plan and novelties of other kinds were unprecedented occurrences in the Armenian town building. It was not accidental that when the inhabitants of different settlements of Eastern Armenia say ‘a city’ they understood either Tiflis or Alexandrapole.

Western Armenian immigrants brought with them multiple elements of their town routine from their “small Motherland” to their new settlement and soon Alexandrapole became a famous cultural and trade-handicraft center of Eastern Armenia. Refusing the local traditions the craftsmen and tradesmen, who founded the city and were the bearers of the Armenian traditional urban culture, were trying to create in the new cultural field (in Eastern Armenia) their own urban environment. That was the cause that novelties were admitted here with great difficulty which was conditioned by the ethnic and confessional variety of the urban population (next to the Armenians who were the majority, there also lived Turks, Greeks, Russians, Armenian-Gypsies, Armenian-Catholics). The typical cultural image of the city was being created in the conditions of uninterrupted penetration of new values, constant co-existence of most of them as well as creation of new values. The novelties and the birth of the phenomena which from the first sight were not characteristic to the traditional cities of Western Armenia, in the conditions of Gyumri-Alexandrapole did not distort the traditional image of the city but also gave birth to a completely peculiar and new city in Eastern Armenia.

Multiple expressions of local (eastern Armenian and western Armenian), Russian and western European cultures are in Alexandrapole side by side. The considerable part of the routine-and-cultural influence was the result of the contact with the Russian environment and the other part, the European one, were mediated cultural novelties passed mainly through the “Russian filter”.⁴

It is worth mentioning that the cultural novelties in Alexandrapole were more

⁴БАЗЕЯН К., АГАНЯН Г., Некоторые проявления русского культурного влияния в быту города Александрополя, Диалог культур: армяно-русские культурные связи (история и современность), Материалы международной научной конференции, Гюмри 2008, ст.199-204.

expressive than in the provincial center Yerevan. Many elements of Russian and European urban routine did not strike roots in Yerevan where the traditional routine, characteristic to the eastern city, continued to be preserved.

The situation was different in the case of Alexandrapole. The process of penetrating and establishment of new cultural values had a very interesting manifestation here, as it was taking place in the conditions of the contrast of the new old, urban-rural and folk-alien.⁵ That was why at the end of the XIX c. and at the beginning of the XX c. the old-traditional, among the craftsmen, and the new-European, among the rich tradesmen, were co-existing in the city noticeably apart but side by side. The new elements imported in the routine-and-cultural complex of Alexandrapole were more vividly expressed in the spheres of culture which provided the livelihood (town-building, house, clothes, food etc.), crafts and trade (appearing of new branches of crafts or re-qualification of the old ones), social way of life (input of a new system in the self-government of the city, import of new ways of Russian and European entertainment) and spiritual culture (language and dialect neologisms, theater, classical music etc).

After the immigrants from Western Armenia settled down in Gyumri, the Russian authorities forbade the new-comers to realize voluntary building until the main plan of the city was confirmed (in pre-soviet years the city had several Main plans the first of which was confirmed in 1836). Rising from the European and Russian town-building rules of the time, first of all drainage and water-pumping work was performed (arched tunnels were built to carry away the spring and underground waters). After this, the main construction of the city was started in the directions of North-South (odd numbers) and East-West (even numbers) with crossing streets and the walls of the buildings should have clean-cut facade. The minimal width of the streets was determined too [not less than three sagine (approximately 6,5m)]. It was a new experience to refuse the blank walls (without any windows) looking at the streets, typical to the Eastern town building. The facades of the houses of the rich residents of Alexandrapole were decorated with bas-reliefs performed in Eastern and Western mixed motifs, which gave a specific shade to the architectural appearance of the city.

The interior of the house underwent many changes. Multiple elements unknown to the Armenian town-culture were imported in furniture and generally in the architectural composition of the house (the curtains on the windows, blinds, round tables and chairs, cupboards and wardrobes, metallic beds, oil-lamps, samovars. faience sets, a special sitting-room was separated inside the house, flooring etc.).

The European clothe, which at first entered into the rich families of Alexandrapole, was a new cultural phenomenon. It was typical that such clothes were not only imported ready-made but were also sewn at the place. The tailors who sewed the traditional costume were called "tarzi" and the ones who sewed European ones were called "portnoy" by the Russian name. Besides the every-day and ceremonial clothes, they were sewing military costumes too. They differed from the local tailors because they used sewing machines. Among them Nickolay Levkovitch (Leybovitch), who came from Russia, was well known.

⁵ For example, among the townsfolk of Gyumri the Russian samovar was regarded as a "satan's instrument" and its use was forbidden in the everyday life by the patriarch of the family. After the death of the old generation, that device found its place in the routine of the townspeople.

Hat making and shoe making were also of two types. The shoemakers who make shoes of the European type were mainly making military high-boots, which were also brought to the city by foreign masters from Russia. The use of the “galosh” was widely adopted and was also a Russian influence and lasted until the second half of the XX c. The use of the “shapgha”, (modification of the Russian ‘shapka’) made of textile, in the men’s head decoration instead of the traditional tall hat ‘papakh’, was also the result of the same influence.

The new settlement and the conditions of the new mode of life made changes in the crafts and occupations and new branches of crafts were originated which did not exist in the Armenian environment before that. Next to the traditional crafts brought from Karin and Kars there appeared the tinman and cooper’s crafts, brewing etc. Because of the economical policy of Russia, many traditional crafts were either disappeared or adapted to the new conditions. Representatives of some crafts maintained their former name but they improved their professional skills and started to make absolutely other type of goods. For example, due to the tin roofs, which were not traditional among Armenians, a part of the Armenian young people was specialized in tinman’s art and instead of the traditional stone gutters; they started to make lace-like tin gutters.

The penetration of the railway into Alexandrapole and the construction of the big railway depot aroused a great demand for qualified workers and this question was solved due to the local tinman masters. It was not accidental that Alexandrapole was chosen as a center for railway train and repairing of the railway locomotives. The Russian authorities took account of the local manpower and abilities of the specialists who could be requalified very quickly and in short time.

Later, on the first half of the XX c. (especially during the years of the soviet power) most of the craftsmen joined the working class. In the industrial factories, founded during the years of wide scale industrialization of the country, the experience and the skills of the local masters were widely used. The former blacksmiths, turners, plumbers, casters, goldsmith-silversmiths, carpenters and joiners, furniture-makers, tailors, leather-makers, soap-makers, painters, and others could adapt to the new situation. Multi-skilled gunsmiths became repairmen of complicated mechanical machinery and implements (sewing machine, milk-separator, mechanical threshing-machine etc.). The skills in the adjacent crafts, such as turner’s work, metalwork, and instrument making, allowed the gunsmiths to orientate themselves quickly, as well as be adapted to the new conditions. Few of them continued to be engaged in their handicraft. Famous goldsmith-silversmith Gurgen Tarakhtchian (Mashti Gurgen) and Martin Izmirian (Kodjkunets Martin) were engraving the ornaments on the stamps for flowered cotton fabric in the newly opened textile factory. On the base of the oil-making workshops and with the ability of the masters of the slaughterhouse, the meat-cannery of Leninakan was founded. The “Red November” (‘Karmir Noyember’) furniture factory was founded with the help of the well-known skilled furniture-making masters. It is worth mentioning that many craftsmen: tin-men, carpenters, plasterers, painters (nakhshkar), sawyers (khzartchi) and others continued to be occupied in their own crafts and be engaged in private activity, as the character of their crafts allowed it, and most of the crafts did not need any workshops or were considered as mobile crafts from the very first.

Interesting transformation is noticed also in the names of the crafts. If the first immigrants used the Turkish names for their occupations, then beginning from

the end of the XIX c. parallel with those names Russian names were used too (damrdji-kuznets, taqrdji-kalosnik, chilingar-slesar, durgyar-plotnik etc.).

Vivid manifestations of the Russian influence were the new means of transport and the craftsmen who made them. First, we take into consideration the four-wheeled and banister-wheeled carts with a mobile front shaft, the coaches with spring brakes (fayton), light Russian sledges etc.

More brilliant and fundamental was the Russian influence on various spheres of the public routine. As for the formation of the self-government bodies, they arise from the demands of the liberal reforms taking place in the Russian empire in 1870-80s. The traditional system of self-government of the city community, where the interest of the corporative craft union dominated, was forced to give way for the Russian multi-stage estate form of self-government.

In the routine of the townspeople of Alexandropole an important freshness was the Russian variant of pastime “narodnoye gulyane” when during the holidays the citizens visited the parks and the gardens of the city (“Dzitoghtsonts”, “Gorkayin”) together with their families and took part in different amusements. It is appropriate to mention other newness: the artificial – decorative gardens and parks, which were not characteristic to the Armenian traditional cities. “Gorkayi ajgin” (“Hill park”) which at first was founded and used as a place of amusement for the families of the military officers of the Russian garrison later became one of the main places of pastime for the citizens.

The Russian phenomenon greatly favored the enlivening of the concert life of Alexandropole, in the result of which at the end of the XIX c. the European wind instruments and ensemble concerts gradually found their place in the musical life of the citizens of Alexandropole. The Russian military bands, that were playing marches of Russian and Western European composers during various ceremonies in the garrisons as well as in the streets and squares of the city, entered into the life of Alexandropole, which was famous with its folk-and-troubadour urban traditions. Step by step the music of wind instruments became not only acceptable but also desirable for the population and at last there appeared such traditions of performance of wind instruments which later were developed in their best way during the soviet power. Along with the new musical culture, European dances also entered into the routine and the teaching of which later became particularly important.⁶

All these shaped a special professional musical performing school in the city, which made it possible to stage the first national opera “Anush” by Armen Tigranian in 1912.

The construction and development of Alexandropole, in the result of the ethno-cultural activity, together with the traditional and novelty, is the formation of a special cultural complex, in which the adaptation character of culture and the activity of realization more vividly come into view.

Hence, we can say that numerous ethno-cultural phenomena characteristic to Alexandropole are unique in their type and are the result of urbanization activity, which took place in the duration of the whole XIX c. and at the beginning of the XX c.

⁶АРУТЮНЯН А., Александрополь-перекресток армянской и русской музыкальных культур, Диалог культур: армяно-русские культурные связи (история и современность), Материалы международной научной конференции, Гюмри 2008, ст. 204- 209.

**ОСОБЕННОСТИ РЕЛИГИОЗНОЙ СИТУАЦИИ НА КАВКАЗЕ И ЕЕ
ОТРАЖЕНИЕ В АРХИВНЫХ МАТЕРИАЛАХ XIX ВЕКА**

Для конца XVIII – начала XIX века одними из ценнейших источников при изучении религиозной ситуации на Кавказе становятся документы различных архивохранилищ. Они содержат разнообразные и в большинстве своем достаточно достоверные сведения о тех религиях, которые исповедовали кавказские народы (главным образом ислам и христианство), в ряде случаев – о народных верованиях отдельных народов и этнических групп. Особый интерес власти Российской империи проявляли к проблеме возрождения христианства на Кавказе, к усилению влияния православного христианства в этом регионе. В связи с этим многие архивные документы содержат сведения о тех мерах, которые предпринимались для укрепления позиций Православного христианства среди кавказских народов, о мерах по распространению христианства среди народов Северного Кавказа, а также о том, в каких формах было представлено христианство в культуре народов этого региона.

Значительный массив таких документов хранится в Центральном историческом архиве Грузии (ЦИАГ), который находится в столице Грузии – городе Тбилиси. Как известно, именно Тбилиси (Тифлис) в XIX веке играл роль административного и культурного центра всего Кавказа. В различных фондах этого архива представлены материалы не только о распространении христианства у народов Северного Кавказа – осетин (в том числе живших на территории Грузии), ингушей, чеченцев и др., но и о состоянии христианства на «окраинах» Грузии: в горных районах – Хевсурети, Пшави, Тушети и др.

В документах первой трети XIX века, где содержатся общие описания тех или иных народов, нередко можно встретить упоминания о былом распространении в их среде христианства. Так, в материалах 1830 г. («Доклады о горских народах: чеченцах, кумыках, абазинах, карачаевцах и других народах Северного Кавказа». ЦИАГ. Ф. 2. Оп. 1. Д. 2456. 53 л.), когда речь идет о «Балкарах, Чегемах и Карачаевцах», указывается: «Мусульманская вера существует там не во всей строгости; между низшими классами сохраняются доселе многие признаки христианства, смешанные с языческими суевериями. Во владении Балкарцев находятся развалины христианских церквей, которые доселе служат предметом уважения народного: по рассказам, сохраняются даже в сих церквах старинные книги христианские, почитаемые заповедною святынею» (л. 11).

Архивные документы содержат свидетельства о том, что уже в первой половине XIX века грузины-мусульмане, выходцы из тех мест, которые были некогда захвачены Османской империей, нередко переходили российско-турецкую границу и заявляли о желании принять подданство России и стать христианами. Так, в документе 1838 г. под названием «Переписка с управляющим Имеретией о принятии приехавших из Турции семейств Герделадзе, Церетели и Ломиджари в подданство России и об окрещении их» (Ф. 2. Оп. 1. Д. 4973) говорится о том, что «прибывшие в Гурию из-за границы Турецкого владения

жители местечка Кобулет жена турка Гул Ахмета Герделадзева Хатуна с 4-мя сыновьями и 1 дочерью ее и одною племянницею, турки Абдурахман Церетели с женою, 4-мя сыновьями и 1 дочерью и Геджий Ломиджариа с женою его, 3 сыновьями и 2 дочерьми» заявили о желании принять христианскую веру и вступить в подданство России и просили поселить их в Лихоурской волости. Как следует из этого документа, такие случаи были нередки (л. 1–1 об.).

Интересны и информативны те архивные документы, где рассматриваются конкретные ситуации: как происходило крещение тех или иных групп горцев, какие проблемы возникали в повседневной жизни «новокрещеных», в частности ингушей, именно в силу того, что они стали исповедовать новую веру.

Следует отметить, что многие авторы обращались к изучению особенностей процесса христианизации северокавказских народов, влияния христианства на культуру этих народов [3; 4; 5 и др.]. Историко-этнографическому анализу роли христианства в ингушском обществе посвящены несколько работ М.С.-Г. Албогачиевой, основанных в том числе и на обширных архивных свидетельствах, в которых показаны сложные многовековые перипетии взаимоотношений этого народа с христианской религией [1; 2].

Вместе с тем новые архивные материалы позволяют не только добавить интересные детали к уже известным фактам, но и понять причины того, почему довольно активная миссионерская деятельность со стороны Грузии (во второй половине XVIII – начале XIX в.) и Российской империи (с начала XIX в.) среди ингушей, несмотря на предпринятые значительные усилия, не имела успеха. Специально останавливаться на деталях этой миссионерской деятельности вряд ли стоит, поскольку этот вопрос хорошо освещен в литературе [1, с. 128–135; 2, с. 7–29].

Один из архивных документов, который содержит любопытные сведения о том, с какими проблемами были сопряжены попытки христианизации ингушей, относится к 1836 г. и называется «Отношения командира Отдельного Кавказского корпуса военному министру и рапорты Владикавказского коменданта о столкновениях между новокрещеными ингушами и магометанами и о принятии мер к усмирению их, присланные главноуправляющему в копии для сведения» (ЦИАГ. Ф. 2. Оп. 1. Д. 4175).

В этом деле имеется «Список Назрановским жителям ингушам, кто в Христианской вере и крестился и кто остался магометанской веры» (л. 14), из которого явствует, что в 1830-е годы христианами в этом регионе считалась довольно значительная часть ингушей: из 28 назрановских сел, в которых было 505 дворов, христиан было подавляющее большинство – 2868 человек обоего пола, а «магометан» – 433 человека. Таким образом, формально около 87% жителей этих ингушских селений считались христианами, и лишь 13% – мусульманами. (Отметим, что столь массовое крещение ингушей в конце XVIII – первой трети XIX в. было обусловлено главным образом экономическими причинами [1, с. 132–133; 2, с. 20]).

Но какими же предстают «новокрещеные ингуши», когда мы анализируем этот архивный документ? В данном деле приводятся записи «допросов» нескольких ингушей, задержанных властями в ходе происходивших беспорядков, которые содержат любопытные данные и позволяют судить о том, каков был состав «новокрещеных», в силу каких причин они соглашались стать христианами (или объявляли себя христианами, не будучи таковыми), и какие обстоя-

яательства повседневной жизни уже по прошествии двух-трех лет после этого события заставляли их высказывать недовольство новой для них религией.

О том, как происходило крещение местных жителей, и насколько «несерьезным» (если можно так сказать) было отношение их к этому событию, говорят следующие факты.

Из «допроса» Араслана Мальсагова: «От роду мне полагаю будет 30 лет, из новокрещеных, веру сию принял я назад третий год, *смотря на других соседей и по совету назрановских старшин* (здесь и далее курсив мой. – Л.С.)». При этом он сетует на то, что «нас не собрали предварительно и не спросили желанья на принятие оной, а окрестили наполовину, т.е. в семье тех только, кои находились налицо, а бывших в отлучке оставили некрещеными, а также и тех, кои под разными предлогами не пожелали окреститься...» (л. 20).

Из «допроса» Джанхота Бракова (26 лет): «...веру исповедую идо-лопоклонническую, а семейство мое окрещено назад тому 2 года, я же остался в то время неокрещенным, потому что заверил крестившего священника и пристава ингушевских и карабулакских народов сотника Гайтова, что я прежде был еще в малолетстве окрещен и представил им облыжно в доказательство *имевшийся у меня камушек* от бывшего священника в давнем времени в дер. Шелхи, и с того времени находясь на стороне новокрещенных...» (л. 22).

Крещение части ингушей (судя по приводимым в документе данным, крещеных среди «назрановских ингушей» было большинство), тогда как многие односельчане и ближайшие родственники оставались «магометанами» и даже язычниками («идолопоклонниками» – по терминологии того времени), привело к возникновению целого ряда серьезных социальных проблем:

- разрушение родственных связей (как внутри семьи, так и в пределах других родственных групп);
- нарушение традиционных брачных связей;
- проблемы повседневного общения с односельчанами и соплеменниками, оставшимися «магометанами», сомнение в авторитете старшин;
- различные споры экономического характера (по поводу строительства мечетей, о землях и т.д.), перераставшие в межконфессиональные.

Так, Араслан Мальсагов, объясняя причины своего желания отказаться от христианской веры, рассказывал: «...более же всего беспокоило меня препятствие к Брачным союзам, ибо чрез окрещение и по различным верам между нами должны прекратиться в обществах дальнейшие родственные связи...» (л. 20). Джанхот Браков отмечал, что «начал обижаться и роптать на ...священников, которые крещением своим расстроили меня со многими родственниками, ибо некоторых в семье окрестили, а других оставили некрещеными» (л. 23). Несомненно, что нарушение традиционных социальных связей, возникновение конфессиональных барьеров между родственниками было неприемлемым для ингушского общества того периода. Родственная, но не конфессиональная идентичность оставалась тогда главной для ингушей, о чем говорит и следующий факт: когда власти с помощью силовых мер начали усмирять выступления «новокрещеных ингушей», к ним на помощь в первую очередь пришли их родственники-мусульмане. Как говорится в документе, «родственники их из магометан сами вызвались наблюдать за сохранением между ими тишины и ручались удержать их в повиновении, в чем и дали письменное обязательство. Споры о землях и другие несогласия они кончили между собой миролюбно» (л. 9).

Поскольку не только внутри сельских общин, но и внутри семейных и родственных коллективов проходило разделение по религиозному признаку, это нередко придавало возникающим спорам и разногласиям оттенок межконфессионального конфликта, как говорится в документе, возникали «неудовольствия между Новокрещенными Ингушами и единоплеменниками их из Магометан». Так, ингуши-христиане препятствовали «назрановским магометанам» строить в селениях мечети (л. 4 об.), между ними возникали земельные споры (л. 9). В свою очередь и «магометане» «начали наносить новокрещеным обиды, притеснения и во всем насмехались» (л. 21); как отметил Араслан Мальсагов, «возникли со стороны магометан насмешки и разные поругания о принятии мною сей веры» (л. 20). Выход из этого положения ингуши-христиане видели в том, чтобы «переселиться крещеным от магометан по реке Назранке, где бы оные имели место жительства и посреди себя церковь, дабы исполнять в точности принятую ими христианскую веру» (л. 22 об.), предполагалось даже переселить «магометан на реку Сунжу в течение 60 дней» (л. 22 об.). Жители одного из ингушских сел предлагали иной выход: «просить своего пристава и начальство выкрестить остальные 18 семейств, или позволить и нам остаться по-прежнему в иноверии» (л. 24 об.).

Смушало ингушей также то, что они сами нередко принимали христианство по совету своих старшин и «почетных людей», подчиняясь их авторитету, а те впоследствии изменяли православной вере и принимали ислам. Так, Араслан Мальсагов рассказал в ходе «допроса»: «...прежде окрещенные в Тифлисе бывшим митрополитом Фиофилактом, и в Назрани священниками наши старики и почетные люди ... брося православную веру, исполняют мусульманские обряды, и первые вместо того чтобы подать собою нам пример, смеялись надо мной и над прочими новокрещеными» (л. 20 об.).

Почитание новой веры «тягостною», требование «отмены Христианской веры» ингуши, как отмечал, в частности, Джанхот Браков, обосновывали также тем, что им так и не преподали основ христианского вероучения: «прибыли к нам грузинские священники, но оные нас ни к чему не учили», после крещения священники «не делали никакого внушения и наставления, в чем состоит вера и моя к ней обязанность, потому что я грузинского языка не знаю, и полагал, что могу по своему произволу отступать от оной веры и находиться как пожелаю» (л. 23).

Данный архивный документ еще раз подтверждает выводы исследователей о том, что в начале XIX в. для Ингушетии был характерен религиозный синкретизм; здесь можно было встретить и язычника, и христианина, и мусульманина: «Ингушетия представляла собой ...картину полнейшего религиозного хаоса, где воззрения различных эпох и разнообразных религиозных систем причудливо сочетались друг с другом» [2, с. 23]. Судя по архивным материалам, в народном представлении исповедание христианской веры не являлось препятствием к тому, чтобы отмечать мусульманские праздники «по мусульманскому обычаю», и в то же время высказывать желание вернуться к вере языческой. В этих обстоятельствах нередко только карательные меры и использование воинских отрядов «убеждали» ингушей не требовать от властей освободить их «от исполнения христианских обрядов». Так, 2 апреля 1836 г. в предписании корпусного командира Владикавказскому коменданту говорится: «...полезнее было бы оставить майора Сулимовского в Назрани с бывшею при нем коман-

дою до совершенного восстановления порядка между новокрещенными Ингушами, тогда может быть они не решились бы опять возобновить свои требования об освобождении их от исполнения христианских обрядов и не было бы надобности приводить из Грозной войск, прибытие коих может произвести новое волнение в народе» (л. 5), а в отношении корпусного командира военному министру от 23 апреля отмечается: «...Новокрещенные ингуши, видя что против них принимают решительные меры, поспешили изъявить безусловное согласие оставаться в принятой ими православной вере...» (л. 9).

Очевидно, что в этот период влияние ислама в ингушском обществе было еще не особенно прочным, более авторитетными в народе оставались традиционные языческие верования. Так, Араслан Мальсагов, задержанный во Владикавказе, когда он «вместе с прочими новокрещеными собравшимися ...к Владикавказскому коменданту, просил по совету старшины Джемболата Мальсагова...об отмене Христианской веры», сообщил на допросе: «А веру Христианскую исповедовал бы по возможности ныне; но магометанином никогда быть не желаю, ибо и предки мои и других ингушей магометанами не были». Поэтому, видимо, после того как Владикавказский комендант не разрешил им отступить от христианства, он собирался бежать, но «только не в Чечню, а к галгаевцам» (т.е. в горные районы Ингушетии, где еще сохранялись традиционные языческие верования, тогда как в Чечне ислам занимал уже более прочные позиции) (л. 20 об. – 21).

Вместе с тем и многие мусульманские обряды, в частности мусульманские праздники, судя по всему, уже вошли в той или иной степени в народную культуру, что еще раз подтверждает синкретизм религиозных верований ингушского общества первой трети XIX века. Так, 2 апреля 1836 г. в донесении военному министру отмечалось: «...Старшины новокрещеных Ингушей прибыв в крепость Владикавказ, явились к полковнику Широкому и просили у него дозволения праздновать вместе с магометанами Байрам по мусульманскому обычаю. Полковник Широкий отвергнув таковую их прозьбу, заметил из разговоров их, что они не переменили своего мнения на счет веры, т.е. желание обратиться в прежнее *язычество*» (л. 4 об.). Командир Кавказского Линейного батальона майор Сулимовский в своем рапорте также сообщал, что к нему во Владикавказ прибыл сотник Гайтов «с почетными старшинами из новокрещеных назрановцев», которые просили у него разрешения «начать им байрам вместе с другими магометанами» (л. 2об.).

Среди архивных материалов Центрального исторического архива Грузии немало таких, где содержатся сведения о характерном для северокавказских народов религиозном синкретизме, который складывался в течение столетий. Это касается особенно тех регионов, которые примыкают к территории Грузии и испытывали наиболее сильное влияние православного христианства. Поскольку это влияние зачастую оказывалось через посредство горных групп грузин (хевсуры, тушины и др.), религиозные верования которых также были в значительной степени синкретичны, то и результаты подобного влияния были порой весьма своеобразны. В этом плане интересен архивный документ, относящийся к 1849 г.: «По представлению Тифлисского Военного Губернатора о возвращении кистином Истукана под названием Майстский Джвари» (ЦИАГ. Ф. 3. Д. 397) [6, с. 123–124].

В этом документе речь идет о том, что жители кистинского (чеченского)

общества Майсты (по данным XIX в., в это общество входили три селения; в народных преданиях чеченцев Майсты выступает как ведущий культурный и общественно-политический центр) обратились через Тушино-Пшаво-Хевсурского окружного начальника к Тифлисскому военному губернатору с настоятельной просьбой вернуть им «истукана», которого они называют «Майстский Джвари/Джвары», а также принадлежащее этому божеству «имущество». Этот «истукан» был отобран у майстинцев князем Джорджадзе, помощником Тушино-Пшаво-Хевсурского окружного начальника, по распоряжению исполняющего должность Тушинского благочинного Иова Цискарова. Последний разъяснил, что «немирные Кистины Майстского общества имеют у себя истукана, так называемого ими Святым Георгием Майстским Джвары, разгласив, что он делает чудотворства; и тушины, услышав об этом, приносят в честь ему пожертвования: хлебом, деньгами и резали баранов». Князь Джорджадзе по требованию И. Цискарова, отобрал у кистин этого «истукана», «дабы между Тушинским народом, исполняющим и без того слабо обряды христианские», не укреплялось идолопоклонство (л. 2).

Майстинцы, обосновывая свое требование, подчеркивали, что почитают истукана «за святого Георгия, угодника Божия», и не могут обходиться без него, ибо «он помогает им в их нуждах». Как следует из текста документа, жители Майсты считали этого «идола» именно христианской святыней, поскольку, как они утверждали, ему поклонялись еще их предки, которые были христианами, «но впоследствии по смутным временам приняли Магометанскую веру». Сами просители-кистины уже именовали себя приверженцами «магометанской веры», но обещали, если им вернут святого Георгия, впоследствии принять православие, а также «привлечь к себе к тому и тех горцев, кои равномерно теперь участвуют в почитании истукана» (л. 3 об.).

Тифлисский военный губернатор разрешил выполнить просьбу майстинцев, приняв во внимание, что «божище это составляет предмет давнишнего почитания и обожания кистинцев и выдается ими за образ святого Георгия». В документе указано, что часть жителей общества Майсты (32 семьи, 207 человек) в 1848 г. переселилась на территорию Грузии: «добровольно сделались нам подданными и поселились с разрешения начальства в наших владениях на урочище Бацары». Этим переселенцам из Майсты, которые из «немирных кистин» превратились в «подданных» Российской империи, и предполагалось вернуть св. Георгия.

В деле имеется также «Список истукану, отобранному от Кистин Майстского общества и всему при нем найденному». Здесь дается описание святого Георгия: «Истукан деревянный, лицо, обитое серебром, вместо глаз вставлены 2 красные камня, обвернут лоскутками из разных материй белого и красного цвета». Перечислено также все найденное при нем «украшительное достояние» – «всего вещей и денег сорок семь штук»: 7 «медных колокольчиков средних целых», 2 колокольчика «изломанных», 1 медный кружок, 1 медная чашка с обломанными краями, 3 маленьких серебряных колокольчика, 1 серебряная цепочка, 1 серебряная цепочка с шестью бубенчиками, 1 проволочное кольцо. Среди «имущества» «истукана» преобладали монеты («деньги русские»): 5 монет 20 коп., 2 – 15 коп., 1 – 10 коп., а также 21 монета «разного чекана и достоинства» (л. 5).

Представляется интересным, что Тифлисский военный губернатор, обосновывая

вывая свое решение вернуть «истукана» кистинам, указывал, что он при этом «сообразовывался» с «обычаями здешнего края, населенным полудиким необразованным народом», с желанием «вселить в сердца обитателей гор нравственность и общежитие; содействовать Духовному начальству к утверждению спасительных начал христианской религии», а также и то, «что по закону каждый исполняет обряды по своей вере». Поэтому он счел преждевременным «вводить новоуставление, и упразднить между горскими племенами существующие обычаи с давних времен, как не заключающие в себе особенно важного отступления». Разрешая вернуть святого Георгия кистинам-переселенцам, Тифлиский военный губернатор отмечал: «Но если противу желания горцев отнять у них давно уважаемого равномерно и сими последними так называемого истукана Георгия Майстского, то и между ними легко может породиться непокорность и они сочтут это некоторым родом за стеснительность» (л. 3). Все же он просил Тушино-Пшаво-Хевсурского окружного начальника проследить, «чтобы обстоятельство это (т.е. возвращение святого Георгия) не породило вредных толков в народе» (л. 4).

Многие архивные документы XIX в. содержат данные о том, какие коллизии возникали в повседневной жизни в связи с тем, что некоторые из норм обычного права, которых в основном придерживалось население горных регионов (осетины, грузины-горцы – мтиулы, пшавы, тушины, хевсуры), не всегда соответствовали установлениям христианской религии (в основном это касалось норм заключения брака, возможности иметь несколько жен, разводов и т.д.). Например, согласно местным адатам, осетины Шида Картли (современная Южная Осетия) могли иметь несколько жен, заключив с ними брак «по осетинскому обряду». После принятия ими крещения священники стали бороться с этим довольно распространенным явлением. Так, в деле 1837 г. «По отношению грузино-имеретинской синодальной конторы о содействии благочинному к отклонению осетин об оставлении наложниц и взятии к себе законных жен» речь идет о «списке новокрещенным осетинам, содержащим незаконных жен» (Ф. 1419. Оп. 1. Д. 622); в деле «По отношению экзарха Грузии об ограждении священника Елиозова от притеснений осетина Джиошвили Кечо» (Ф. 1491. Оп. 1. Д. 624. 1837 г.) – о том, что осетин Кечо Джиошвили, «имея жену и довольно взрослого сына», требовал от священника Джрыйского Осетинского прихода Петра Елиозова, «чтобы он сочетал его браком на вдове Кешельтского жителя Тагишвили им увезенной», а когда тот отказался, «помянутый осетин, 27 мая, после обедни ворвавшись к Священнику с обнаженной саблею, хотел убить его...». Из архивных материалов следует, что подобные вопросы российские чиновники и священнослужители стремились решать по возможности мирным путем – «увещанием». Так, из Грузино-Имеретинской синодальной конторы поступило предложение, чтобы Горийский окружной начальник и благочинный Осетинской Духовной комиссии сделали «приличное с осторожностью и благоразумием увещание поимянованным в оном списке осетинам и употребили всевозможное старание к убеждению их оставить незаконных жен у них находящихся и жить с первыми их законными женами по правилам принятой ими христианской религии» (Ф. 1491. Оп. 1. Д. 622. Л. 1).

У осетин Терской области и в 1860-е годы отмечалась подобная же ситуация. В «Рапорте военного управления Осетинского округа начальнику

Терской области о мерах к уничтожению калыма при совершении браков в Осетии. 1867–1869 гг.» говорится: «Закон христианский положительно запрещает многоженство и произвольные разводы, между тем многие Осетины-христиане, находя стеснительным то, что по христианскому закону однажды совершенный брак не может быть расторгнут без особых важных на то причин, живут с избранными ими женщинами невенчанными, нередко христиане берут таким образом несколько жен, заплатя за них калым и тем совершенно удовлетворяя родственников тех женщин» (Ф. 416. Оп. 3. Д. 610. Л. 3).

Как видно из представленных материалов, при распространении православного христианства среди народов Кавказа в большинстве случаев приходилось сталкиваться с тем обстоятельством, что народные адаты не всегда совпадали с христианскими нормами. Только успешное решение этой проблемы могло привести к продуктивной миссионерской деятельности. Важность достижения в этих обстоятельствах разумного компромисса понимали и российские чиновники, отмечавшие: «...христианство, мало привлечет к себе, если оно будет стеснять образ жизни новокрещенного несвойственными ни понятиями, ни прежнему быту новокрещенного различными установлениями и запрещениями, за исполнением которых, надо сказать, и трудно будет уследить» (Ф. 416. Оп. 3. Д. 603. Доклад 2-го Отделения Кавказского Горского Управления «О незаконных браках (двоеженстве) христиан православного вероисповедания между собою и с мусульманами, совершенных в Абхазии при прежнем порядке управления краем и браках новокрещенных мусульман». Л. 20).

Литература

1. Албогачиева М.С.-Г. Этнография и история ингушского народа в письменных источниках конца XVIII – первой трети XIX века. СПб.: Наука, 2011.
2. Албогачиева М.С.-Г. Влияние христианства на ингушское общество в исторической ретроспективе // Христианство на Северном Кавказе: история и современность. М.: ИЭА РАН, 2011.
3. Великая Н.Н., Виноградов В.Б. Доисламский религиозный синкретизм у вайнахов // Советская этнография. 1983. № 3.
4. Кузнецов В.А. Христианство на Северном Кавказе до XV века. Владикавказ, 2002.
5. Мужухоев М.Б. Проникновение христианства к вайнахам // Этнография и вопросы религиозных воззрений чеченцев и ингушей в дореволюционный период. Грозный, 1981.
6. Соловьева Л.Т. Архивные материалы XIX в. о религиозных верованиях вайнахов // Краткое содержание докладов Лавровских (Среднеазиатско-Кавказских) чтений. 1990–1991. СПб., 1992.

ლიუბოვ სოლოვიოვა

*რელიგიური სიტუაციის თავისებურებანი კავკასიაში და მისი ასახვა XIX
საუკუნის საარქივო დოკუმენტებში*

რეზიუმე

XVIII ს. ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისის კავკასიაში რელიგიური სიტუაციის შესასწავლად უმნიშვნელოვანეს და ფასეულ წყაროებად ითვლება სხვადასხვა არქივებში დაცული უნიკალური დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში გვხვდება ინფორმაციები ხალხური რწმენა-წარმოდგენების შესახებაც. მკვლევართა ინტერესს იწვევს კავკასიაში ქრისტიანობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა შესახებაც გამახვილებულია განსაკუთრებული ყურადღება წინამდებარე სტატიაში.

**„ქართული ბაღეტი“ – პარიზის ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი
(საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში
დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით)**

წაკითხულია 2014 წლის 24 ნოემბერს ხელნაწერთა
ეროვნული ცენტრში ილია აბულაძისადმი
მიძღვნილი IV სამეცნიერო კონფერენციაზე

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ათასობით ფონდია დაცული, მათ შორის პირადი ხასითის დოკუმენტები. გასული საუკუნის და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო ადრე შექმნილი გაყვითლებული, უფორმო ხელნაწერები, ხშირად უფრო საინტერესო ისტორიებს ინახავენ, ვიდრე ნაბეჭდი და ფორმაში მოყვანილი დოკუმენტები. გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩვენს არქივში ბინა დაიდო კომპოზიტორ ერეკლე ჯაბაღარის პირადმა ფონდმა, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ, ერეკლე ჯაბაღარის ცხოვრებისეულ დოკუმენტებს, არამედ მისი ოჯახის წევრების საინტერესო ისტორიებსაც. ფონდში დაცულია კომპოზიტორის ძმის, ილია ჯაბაღარის ცხოვრების ამსახველი დოკუმენტები, რომელთა დიდი ნაწილი, ხელნაწერია. ეს დოკუმენტები საინტერესოა, როგორც შინაარსით, ასევე გამოირჩევა საუკეთესო კალიგრაფიითაც.

ილია ჯაბაღარის მოღვაწეობის შესახებ ქართული საზოგადოება ნაკლებად არის ინფორმირებული. მან ფასდაუდებელი როლი შეასრულა საზღვარგარეთ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. შეიძლება ითქვას საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველების მიერ არ განხორციელებულა რაიმე კულტურული ღონისძიება, რომელშიც ილია ჯაბაღარს არ მიეღოს მონაწილეობა. 1983 წელს საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ბეჭდვითი ორგანო „თავისუფლების ტრიბუნა“ში გოგი წერეთელი წერდა: “ ომის შემდეგ ილიამ პარიზში ჩამოაყალიბა ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი... პარიზმა და ევროპის სხვა ქალაქებმაც პირველად ნახეს ქართული ცეკვები ჯაბაღარის „ბაღეტის“ სახით და მოისმინეს ქართულ ხალხურ მოტივებზე შექმნილი ირაკლი ჯაბაღარის მუსიკა, მისი უმცროსი ძმის შოთა ჯაბაღარის ღირიურობით. მე პირადად მოწმე ვარ იმისი, თუ როგორი მზრუნველობითა და სიყვარულით ეკიდებოდნენ ილია და მისი მეუღლე ქალბატონი სუზანი, როგორც მოცეკვავეებს, ისე ქართულ ხელოვნებას. მათ არ ამოძრავებდათ ანგარება, მათ საკმაოდ ძვირი დაუჯდათ ეს კულტურული წამოწყება რაც თავიდანვე იცოდნენ.“ (ფ. 202, ან1, საქ. გვ.2).

ბელგიაში სწავლის დროს ილია ჯაბაღარი მიხვდა, რომ ქართველებს ევროპაში არავინ იცნობდა, მათ რუსებად მოიხსენიებდნენ, როგორც რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ყველა ერს. ამის გამო ის რამდენჯერმე დაუპირსპირდა ასე მოაზროვნე სტუდენტებს, მაგრამ მიხვდა, რომ ამით ვერა-

ფერს შეცვლიდა, მხოლოდ საქმით შეიძლებოდა ქართველი ხალხის საუკეთესო თვისებების წარმოჩენა.




ილია ჯაბადარი, პარიზი, 1982 წელი

ჯაბადარის პირად ფონდში დაცულია ილია ჯაბადარის ხელნაწერი დოკუმენტი, რომელიც მოგვითხრობს, პარიზში ჩამოყალიბებული ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის „ქართული ბალეტის“ მოღვაწეობაზე. დოკუმენტი საინტერესო წყაროა გასული საუკუნის 50 – იან წლებში პარიზში მოღვაწე ქართველი თანამემამულეების შემოქმედების გაცნობად.

მეორე მსოფლიო ომის დროს, პარიზელმა ქართველმა **თამარ თაქთაქიშვილმა** ქართველი ემიგრანტი ბავშვებისაგან შექმნა მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელიც მხოლოდ ქართული საზოგადოების ვიწრო წრეში მართავდა კონცერტებს. მათი ცეკვებით აღფრთოვანებულმა ილია ჯაბადარმა სულ მალე ჩამოაყალიბა ქართული სიმღერისა და ცეკვის ჯგუფი – „ქართული ბალეტი“. „ჩემს ჯგუფს დავარქვი „ქართული ბალეტი“, ამ სახელმა (სიტყვა ბალეტმა) ბევრი მითქმა – მოთქმა და კრიტიკა გამოიწვია აქაურ ქართულ კოლონიაში,ერთია, რამ ქართველ კრიტიკოსმა კი არ იცოდა ეთიმოლოგია სიტყვა ბალეტისა, რომელიც წარმოიშვა იტალიური სიტყვისაგან “ballet”, რას ნიშნავს ცეკვას. მე ჩემი არ დავიშალე და მაინც “ballet georgen” დავარქვი.“ (სუიცა, ფ. 202, ა61, საქ. N 82, გვ.3).


ქართული ცეკვების მომზადება ორ ქართველს შესთავაზა: ალექსანდრე პეტრიაშვილს, რომელიც გურჯის სახელით გამოდიოდა და სერგო კოსრეიძეს, რომლის ფსევდონიმი „იანეთელი“ იყო. მოცეკვავეთა ჯგუფში გაერთიანდნენ ქართული ტრადიციებისა და ცეკვების თაყვანისმცემელი ახალგაზრდები. მომზადდა აუცილებელი ტანსაცმელი, ჩექმები, ქამარ – ხანჯალი, რაც მთავარი იყო, მოცეკვავეებს შორის თავიდანვე საოცარი წესრიგი დამყარდა. უკვე 1949 წლიდან დაიწყო ინტესიური მომზადება. ცეკვის თითოეულ მასწავლებელს დაევალა ოთხ – ოთხი ცეკვის მომზადება, მაგრამ თავიდანვე ნათელი გახდა, რომ რვა ცეკვით საკონცერტო დრო ვერ შეეგებოდა, ამიტომ აუცილებელი გახდა, შესვენებები ე. ჯაბადარის სიმფონიური მუსიკით შეესებულებოდა. ასე ორი ქართული საქმე კეთდებოდა: პარიზი ერთდროულად ქართულ ხალხურ და სიმფონიურ მუსიკას ეცნობოდა.



**პარიზის „ქართული ბალეტის“ პროგრამა
(ფ. 202, ან 1. საქ.60.)**

პირველი კონცერტები 1950 წლის გაზაფხულზე, პარიზში, “პლეიელის” საკონცერტო დარბაზში გაიმართა, პირველი გამოსვლის მიუხედავად, კონცერტი სრული ანშლავით ჩატარდა, დარბაზში მქუხარე ოვაციები არ წყდებოდა, რვა ცეკვიდან შვიდი გაამეორებინეს. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა პატარა როსტომ წერეთელმა, რომელმაც უზარმაზარ სცენაზე, 2500 მაყურებლის წინაშე ბრწყინვალედ შეასრულა „მთიულური“. ეს ძალიან დიდი გამარჯვება იყო. კონცერტის მიმდინარეობისას, ცნობილმა რუსმა იმპრესარიომ, ლეონიდოვმა ილია ჯაბადარს შევეციის დედაქალაქში, სტოკჰოლმში გასტროლები შესთავაზა.

პირველი კონცერტების შემდეგ ალექსი პეტრიაშვილი მოცეკვავეთა მცირე ნაწილით „ქართულ ბალეტს“ გამოეყო, ამან რა თქმა უნდა პატარა ზიანი მიაყენა ჯგუფს, საჭირო გახდა მათი გადამზადება. ამჟამად უკვე უცხოეთიდან მოიწვიეს მასწავლებლები. ამან საუკეთესო შედეგი გამოიღო. სულ მოკლე დროში „ქართული ბალეტი“ უამრავ შემოთავაზება მიიღო. 1952 წელს მიწვეულები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაცია „იუნესკოს“ საკონცერტო დარბაზში, სადაც ორი დღე იმართებოდა კონცერტები. მათ გამოსვლებს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ. ეს სცენა გახდა საუკეთესო საშუალება ქართული ხელოვნების გამოსავლენად. ევროპაში ყველა ჩოხიანს „ყაზახს“ ეძახდნენ, ილია ჯაბადარმა მოახერხა, კონცერტის წინ მოკლე ექსკურსი ჩაეტარებინა ქართველი ხალხის ისტორიისა და მათი ჩაცმულობის შესახებ.




ჟურნალ "ბედი ქართლისაში" გამოქვეყნებული სტატიები „ქართული ბალეტის შესახებ“ (ფ. 202, ან 1, საქ. N 68, გვ. 2.)

იზრდებოდა „ქართული ბალეტის“ საკონცერტო შეთავაზებები. 1953 წელს გამოდიოდნენ პარიზის **გუმონტ პალასში**. შვიდი კვირის განმავლობაში, დღეში ორჯერ, ექვსი ათასი მაყურებლის წინაშე სრულდებოდა ქართული „ხორუმი“, „კინტოური“, „თუშური“, „სვანური“, „ხევსურული“, „დავლური“, „გლეხური“. ასეთივე წარმატებული იყო ქალაქ **ქლამარტში** ჩატარებული საფესტივალო კონცერტები, სადაც მათ გარდა მონაწილეობას იღებდნენ ამერიკელები, ებრაელები, ფრანგები, ესპანელები, წარმატება ძალიან დიდი იყო, როგორც თვითონ ი. ჯაბადარი სწერდა: „ჩვენთვის ხალხი გრიალებდა, სხვებისთვის კი ზრდილობიანი ტაშის დაკვრა იყო“ (**სუიცა, ფ. 202, ან 1, საქ. N 82, გვ. 5**).

„ქართული ბალეტისთვის“ წარმატებული იყო შემდეგი წლებიც. მათი კონცერტები, 1954 წელს **მარსელის** ოპერის თეატრსა და **პარიზის** პლეილის დიდ საკონცერტო დარბაზებში იმართებოდა.

1955 წელი „ქართული ბალეტისთვის“ განსაკუთრებული იყო. ისინი მიწვეულნი იყვნენ პარიზის პოლიტექნიკუმის ყოველწლიურ ტრედიციულ სა-

დამო კონცერტზე, სადაც ასევე მიწვეული იყო ქვეყნის პრეზიდენტი – რენე კოტი. ძირითადად კონცერტს მართავდა **ამსტერდამის** ოპერის კლასიკური თეატრი. „ქართული ბალეტი“ კი, შესვენებებს „ავსებდა“, ამ შემთავაზებაზე თანხმობას თავისი მიზანი ჰქონდა: წვეულებაზე და კონცერტზე მიწვეულ პრეზიდენტსა და მთავრობას ახლოს უნდა გაეცნო ქართველები და მათ ხელოვნება. „ქართულმა ბალეტმა“ ისეთი ცეცხლი დაანთო სცენაზე, ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ ამსტერდამის საოპერო თეატრი აღარავის ახსოვდა.



ილია ჯაბადარის ხელნაწერი „ქართული ბალეტი“
(სუიცა, ფ.202, ან1, საქ. N 82, გვ.1,6).

დრო გადიოდა, იხვეწებოდა მოცეკვავეთა გემოვნება, ძნელი იყო გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ვალებში ჩავარდნილმა ილია ჯაბადარმა ვეღარ შესძლო ანსამბლის შენარჩუნება. 1960 წლისათვის „ქართულმა ბალეტმა“ არსებობა შეწყვიტა. დაახლოვებით ათი წლის განმავლობაში ევროპის საკონცერტო დარბაზებში მყოფებლებს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ქართული ხალხური ცეკვა და მუსიკა და როგორც ი.ჯაბადარი წერ-

და: „როდესაც სუხიშვილი-რამიშვილის ბალეტი ჩამოვიდა პარიზში, მათთვის ნიადაგი უკვე მზად იყო, ქართულ ცეკვებს იცნობდნენ პარიზში“. (სუიცა, ფ.202, ა61, საქ. N 82, გვ.6). თვითონ ილია ჯაბადარი უმნიშვნელოდ აფასებდა მის მიერ ჩატარებულ ამ დიდ საქმეს: „ მცირეა ჩემს მიერ მიტანილი წვლილი ქართული ეროვნებისთვის, მაგრამ სანუგეშოდ ამ საქმემ დიდი მორალური დაკმაყოფილება მომცა იმით, რომ აქ დაბადებული ყმაწვილები, რომლებიც ქართულად იშვიათად ლაპარაკობდნენ და გადაგვარების გზაზე იდგნენ, უცებ იგრძნეს ქართველობა და პატრიოტული გრძნობა გაეღვიძათ და ესლაც ბევრი ამაყობს ამით და ქართული ენის სწავლას შეუდგნენ“ ...(სუიცა, ფ.202, ა61, საქ. N 82, გვ.6).

ილია ჯაბადარმა ბოლომდე უერთგულა თავის ერს და მის კულტურას, მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ქართული ხელოვნება საზღვარგარეთ გაეცანა.....

გამოყენებული წყაროები:

სუიცა, ფ.202, აღ.1, საქ. N 60,68, 69,82.

Tinatin Jabadari

"Georgian Ballet" _ The esamble of Georgian song and dance in Paris (according of the documents of the Central Archive of the Contemporary History of Georgia)

Summary

The article discusses the establishment and the activities of the Georgian folk dance ensemble at the 50s of the 20th century in Europe, and specifically in Paris.

ბავშვის პიროვნება, როგორც აღზრდის სუბიექტი

აღზრდა ფილოსოფიური თვალსაზრისით, არის ადამიანთა ურთიერთობის ის ასპექტი, რომლისთვისაც დამახასიათებელია განსაკუთრებული აღმზრდელობითი ამოცანების დაყენება და შედეგად პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათების შეცვლა. მისი ამოცანაა-მაქსიმალური აღმზრდელობითი პოტენციალის მქონე ურთიერთქმედების ორგანიზება. აღმზრდელის საქმიანობის წინაპირობას წარმოადგენს იმ ვითარების, პირობების, სიტუაციის გააზრება, რომლის ჩართვასაც ის აპირებს აღმზრდელობით პროცესში.

მოზარდის აღზრდა, როგორც განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. აღზრდის პროცესში ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ის, ვისი აღზრდაც ხდება. აღზრდის შედეგია პიროვნების განვითარება.

თანამედროვე პედაგოგიკა სულ უფრო ხშირად მიმართავს ბავშვს, როგორც ბავშვთა საქმიანობის სუბიექტს, თვითგამორკვევისა და თვითრეალიზაციისკენ მიმართულ პიროვნებას. თუ ბავშვს ვაღიარებთ პედაგოგიური პროცესის სუბიექტად (მისი ინდივიდუალური ბუნებრივი თვისებებით, საკუთარი სოციალური გამოცდილებით, თვითმყოფადი პიროვნული თვისებებით), მაშინ აღმზრდელმა მასთან ურთიერთობა უნდა ააგოს, როგორც პედაგოგიური ურთიერთქმედება:

- **დამრიგებლობა.** ასეთი ურთიერთობის მთავარ „ნერვს“ წარმოადგენს ბავშვის ინტერესების გათვალისწინება. აღმზრდელის ხელმძღვანელობა ამ ფორმით აღსაზრდელის მიერ არ აღიქმება, როგორც მათ ცხოვრებაში პირდაპირი ჩარევა, პირიქით მიმართულია იმისკენ, რომ ბავშვები დააკავონ საერთო საქმით და მისცენ საშუალება განიცადონ საერთო ძალისხმევისა და შემოქმედების შედეგი.

- **პარტნიორობა.** ბავშვი აღმზრდელს აღიქვამს, როგორც საქმიანობის ავტორიტეტულ ორგანიზატორს და ამავდროულად ურთიერთობის საინტერესო მონაწილეს. ურთიერთშემოქმედების ასეთი ფორმისას მნიშვნელოვანია სპეციალური პედაგოგიური საშუალებებით, უფროსისა და აღსაზრდელის შედარებითი თანასწორობის უზრუნველყოფა საერთო საქმიანობაში, განსაკუთრებით თამაშში

- **თანამშრომლობა.** ეს არის აღზრდის პროცესის ორი სუბიექტის ღია ურთიერთქმედების ფორმა. აღმზრდელი უსიტყვოდ ღებულობს ბავშვს, როგორც პიროვნებას და ინდივიდს, აღიარებს მის უფლებებსა და თავისუფლებას, გებულობს მის პრობლემებს და გულწრფელად, ადამიანურად ბავშვებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს მის გადაჭრაში. პედაგოგები და აღსაზრდელები ასეთ ურთიერთობაში პიროვნულად თავისუფალი არიან.

- **თანაშემოქმედება.** პედაგოგიური ურთიერთქმედების ეს ფორმა აღიარებულია თანამშრომლობის უმაღლეს ფორმად, სადაც აღმზრდელისა და აღსაზრდელის საქმიან და პირად ურთიერთობებში დადგენილია გარკვეული წონასწორობა.

სუბიექტის და ობიექტის ურთიერთქმედება შეადგენს აღმზრდელობითი პროცესის არსს. აღმზრდელის ამოცანაა მოახდინოს ისეთი ურთიერთქმედების ორგანიზება, რომელსაც ექნება მაქსიმალური აღმზრდელობითი პოტენციალი. ბავშვი, როგორც პედაგოგიური ურთიერთქმედების სუბიექტი ვლინდება შემდეგი სახით:

- **ღიაა, პედაგოგიური ურთიერთქმედებისთვის აღმზრდელთან,** ღებულს მას როგორც უფროს მეგობარს. კეთილმოსურნე დამრიგებელს.

- **აღმზრდელის მიერ ორგანიზებული აღზრდის მიზანს აღიქვამს თავისად, თავისთვის მნიშვნელოვნად.**

- **ავლენს აქტიურობას, დამოუკიდებლობას, პასუხისმგებლობას ერთობლივ საქმიანობაში.**

- **ღიად გამოხატავს თავის პიროვნულ ღირსებებს.** ცდილობს დაიცვას თავისი შეხედულებები და მრწამსი.

ბავშვის მიერ თავისი სუბიექტურობის გამოვლენის ხარისხი, აღმზრდელთან პედაგოგიური ურთიერთქმედების პირობებში, უდაოა დამოკიდებულია აღზრდელების ასაკზე. სკოლამდელ ასაკში სუბიექტური გამოვლენა გამოიხატება ბავშვის სამყაროსთან ურთიერთობაში და ასეთი ურთიერთობით ინიცირებულ საქმიანობაში. მაგრამ ბავშვი წარმოადგენს აღზრდის ობიექტსაც. როგორც აღმზრდელობითი პროცესის ობიექტი ექვემდებარება უფროსების და გარემოცვის მუდმივ ზემოქმედებას, რომლის საშუალებით აუცილებელი ინფორმაციის ათვისება ხდება. ბავშვის განვითარების ტემპი და შინაარსი მისი ცხოვრების პირველ 7 წელში იმდენად მიზანმიმართული და მრავალფეროვანია, რომ თვალი ვადევნოთ ამ განვითარებას და შევქმნათ ამ განვითარების ადეკვატური პირობები, აუცილებლად საჭიროა გამოიყოს გარკვეული ეტაპები და მათი საზღვრები.

რა შედეგი შეუძლია მოიტანოს ოჯახის არასწორმა დამოკიდებულებამ ბავშვზე მისი განვითარების ადრეულ სტადიაზე. ძირითადად ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმ გარემოზე, სადაც უხდება ყოფნა. ბავშვი, რომელიც იზრდება ოჯახში, სადაც მას მეტ ყურადღებას უთმობენ დადებითად აფასებენ მის მცირედ მიღწევებს და მეტწილად მოკლებულია ნეგატიურ შეფასებას, ხოლო ბავშვი, რომელიც იზრდება ოჯახში სადაც მას აღიქვამენ არასრულფასოვანს, ნეგატიურ დამოკიდებულებას იჩენენ მისი ყოველი მიღწევისადმი და მოითხოვენ იმაზე მეტს მისგან ვიდრე მას შეუძლია და ამკობენ სიტყვებით როგორცაა დებილო, უნიჭო, მახინჯო, უქნარა და უმაქნისო.

ხშირ შემთხვევაში ეს სიტყვები თამაშობენ დემოტივატორის როლს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაში .

ჩვენ ხშირად ვხვდებით მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაში არსებულ პრობლემებს. ყველასათვის ნათელია, თუ რა შედეგი შეიძლება მოყვეს მშობლების მხირდან შვილის მიმართ ყურადღების ნაკლებობისას, როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდება შვილი და რა სირთულეებს აწყდება ის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ბავშვი ყურადღებას მოითხოვს აგრეთვე საზოგადოების მხრიდანაც, განსაკუთრებით სხვადასხვა სახის დაავადებების მატარებელი ბავშვი. ხდება ისიც, რომ ზოგიერთ მშობელს კარი-

ერისტული მისწრაფებების გამო შვილის შინაგანი მდგომარეობა არ აინტერესებს. ამიტომ იკეტება ბავშვი საკუთარ თავში და თავისი შესაძლებლობებით ცდილობს საზოგადოების დადებითისაკენ შეცვლას. ეს განსაკუთრებით შეიძლება ითქვას აუტიზმით დაავადებული ბავშვების მიმართ. აუტიზმი დაავადება არაა და ადამიანებმა აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანები ავადმყოფებად არ უნდა აღიქვან. ისინი, ძალიან ჭკვიანები არიან და ტერორისტული აქტის მოწყობას მხოლოდ თავიანთი ინტელექტით აპირებენ, ტერორისტული აქტისა, რომელსაც შეუძლია დამანგრეველი შედეგების გამოწვევა. ამიტომ დროულად და მიზანმიმართულად უნდა წარიმართოს აღზრდა, რათა არ მივიდეთ დამანგრეველ შედეგებამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე ა., აღზრდის საძირკველი, ბათ. 2009
2. გობრონიძე ალ., პედაგოგიკა, თბ. 2000
3. Латманизова Л. Лекций по нервной системе. М. 1965
4. Морозова Е., этнокультурный аспект социализации школьников. Результаты мониторинга. Этнодиалоги. Алманах N1, 2014

Ketevan Phutkaradze

Child's personality as the subject of upbringing

Summary

Bringing a philosophical point of view, is the human relations aspect, which is characterized by a special educational objectives and as the result change of personality's psychological characteristics. The article discusses child's personality in the context of subject of upbringing.

რეცენზია

საყურადღებო მონოგრაფია „აჭარის საარქივო სამმართველო“ (1923-2015)“

თინათინ ჯაბადარი

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი

ნოდარ შოშიტაშვილი

ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის ღია ცის ქვეშ მუზეუმი

ციური ქათამაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი



გამომცემლობა „უნივერსალმა“ მკითხველს მიაწოდა ვრცელი მონოგრაფია – „აჭარის საარქივო სამმართველო (1923-2015)“. (სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე მანია ივანიშვილი, რედაქტორ-თანაავტორი თამაზ ფუტყარაძე). შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: მონოგრაფია დაწერილია მეცნიერული სინდისით, მაღალი პასუხისმგებლობითა და საქმის ცოდნით. მასში მაღალაკადემიურ დონეზე წარმონეწილია არა მარტო აჭარაში, არამედ ზოგადად, საქართველოში საარქივო საქმის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ავტორთა კოლექტივის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა მონოგრაფიამ ერთგვარად შეავსო ის ხარვეზი, რაც

დღემდე იყო ქართულ მეცნიერებაში საარქივო საქმის ისტორიის კვლევის სფეროში. ავტორებმა (თამაზ ფუტყარაძე, ელგუჯა ჩაგანავა, ნათია ბერიძე, ნაზი ნაგერვაძე, დოდო შუშანიძე, მზია სურმანიძე, გუგული პატარიძე, მანია რურუა, ქეთევან იაკობაძე, ნატო ქიქავა, ნაზი შარაშიძე, ინგა ფაცურეიშვილი, ეთერ ნათელაძე) წარმატებით გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და მკითხველ საზოგადოებას წარუდგინეს უაღრესად საინტერესო და საყურადღებო მონოგრაფია. ცხადია, ასეთი ნაშრომი ვერ დაიწერებოდა, რომ

არა ის კეთილგანწყობისა და ხელშეწყობის ატმოსფერო, რომელიც სუფევს აჭარის საარქივო სამმართველოში.

აჭარის საარქივო სამმართველო მნიშვნელოვანი დოკუმენტსაცავი და სამეცნიერო დაწესებულებაა საქართველოში და ერთერთი წამყვანი სამეცნიერო დაწესებულება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. დაარსების დღიდან აჭარის არქივში მოღვაწე ცნობილი არქივისტების მიერ საარქივო ფონდების უკეთ გასაცნობად, შედგენილი იქნა საარქივო მეგზური, ცნობარი, დაიბეჭდა გრიგოლ პინიანცის, გრიგოლ ჩაგანავას შალვა აბაშიძის და სხვათა სტატიები, არსებობს ა. კარასევას სადიპლომო ნაშრომი „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, უფრო მოგვიანებით, 2010 წლიდან ჟურნალ „არხეიონში“ პერიოდულად იბეჭდებოდა ბათუმელი არქივისტების წერილები საარქივო დარგის განვითარების სხვადასხვა საკითხებზე (ნაშრომის შესავალში აღნიშნულის შესახებ ვრცლადაა საუბარი). მიუხედავად ამისა, **აჭარის არქივის ისტორიის ვრცელ მეცნიერულ ნაშრომად გამოცემა, დღემდე ვერ განხორციელდა. ჩვენს ხელთ არსებული მონოგრაფია აჭარაში საარქივო საქმის ისტორიის მეცნიერული შესწავლის პირველი წარმატებული ცდაა.**

მონოგრაფია (411 გვერდი) შედგება შესავალის, ათი თავის (24 პარაგრაფი) და დასკვნისაგან. ნაშრომს თანდართული აქვს საარქივო საქმის განვითარების ამსახველი ფოტოდოკუმენტები. ავტორთა მიერ გაწეულ ტიტანურ შრომაზე მეტყველებს წიგნის ბოლოში დართული ლიტერატურისა და წყაროების ვრცელი ჩამონათვალი. დასახული მიზნის მისაღწევად ავტორებს გამოუყენებიათ საქართველოს ეროვნული არქივისა და აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდებში დაცული 110 საარქივო დოკუმენტი და რამდენიმე ათეული სამეცნიერო პუბლიკაცია თუ მონოგრაფია. **მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა რამდენადმე ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას.**

შესავალში დასაბუთებულია აღნიშნული ნაშრომის გამოცემის აუცილებლობა, თემის აქტუალობა და დაფასებულია იმ ადამიანთა ღვაწლი (ლევან კალანდარიშვილი, სერგო ტაბაღუა, შოთა თოღაძე, ტატიანა ნეფედოვა, ნაზი ნოღაიდელი, გრ. პინიანცი, გრ. ჩაგანავა, მ. თავაძე, ა. კარასევა, გუგული ანდლულაძე და სხვები), რომლებმაც თავის დროზე გარკვეული წვლილი შეიტანეს საარქივო საქმის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. **წინა თაობის ღვაწლის დაფასება წითელ ზოლივით გასდევს მონოგრაფიას, რაც ავტორთა კოლექტივის მაღალკვალიფიციურობასა და მაღალზნეობრიობას უსვამს ხაზს, ამავე დროს მაგალითს აძლევს**

ახალგაზრდა მკვლევარებს, რომ წინაპართა ამაგის დაფასების გარეშე ქვეყნისა და მეცნიერების განვითარებას პერსპექტივა არ აქვს.

შესავალშივე ხაზგასმულია საარქივო დაწესებულებათა როლი და მნიშვნელობა ქვეყნისა და საზოგადოებისათვის. „საარქივო დაწესებულებებს ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. იგი იყო და არის სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი“ (გვ.3) ვკითხულობთ მონოგრაფიაში. ცხადია, წყაროდოკუმენტების გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიის კონკრეტული პერიოდის შესწავლა, რეკონსტრუქცია და მომავალი თაობებისთვის ზუსტი ინფორმაციის გადაცემა, რაც კიდევ უფრო ზრდის საარქივო დაწესებულებების მნიშვნელობას.

წიგნის პირველ თავში „საარქივო საქმის განვითარება აჭარაში“ განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა: წერილობითი დოკუმენტებისა და ნივთიერი მასალის შენახვის ტრადიციები საქართველოში, დოკუმენტური მასალების მდგომარეობა აჭარაში საარქივო დაწესებულებების ჩამოყალიბებამდე, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ჩამოყალიბება, დოკუმენტების დაკომპლექტების პირველი ღონისძიებები, არქივარიუსის თანამდებობის შემოღება, საარქივო განყოფილებების ფორმირება, ფონდების მოწესრიგებასთან დაკავშირებული სირთულეები, რეორგანიზაციები და სტრუქტურული ცვლილებები, დოკუმენტების კატალოგიზაცია, დოკუმენტური მასალების ერთიანი კლასიფიკაციის სქემა. ამ თავში ავტორები ვრცლად მოუთხრობენ მკითხველს საქართველოში დოკუმენტური და ნივთიერი მასალის შენახვის ტრადიციებზე, აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ჩამოყალიბებისა და მისი დოკუმენტებით დაკომპლექტების პირველ ღონისძიებებზე. მეტად საინტერესოდ არის წარმოდგენილი აჭარაში არქივის დაარსების თარიღის ირგვლივ გაშლილი წერილობითი პოლემიკა. მკვლევართა ნაწილი არქივის დაარსების თარიღად 1921 წელს მიიჩნევს. მონოგრაფიაში კი **ეს მოვლენა დათარიღებულია 1923 წლის 11 აპრილით**, რის დასადასტურებლად ამ თავს დართული აქვს საინტერესო წერილობითი დოკუმენტები (გვ.26, 27).

ნაშრომში საინტერესოაა წარმოდგენილი აჭარის არქივის დოკუმენტებით დაკომპლექტების ისტორია. მონოგრაფიიდან ირკვევა, რომ პირველად არქივში ათამდე ფონდი ინახებოდა, წლების განმავლობაში არქივსაცავები ფართოვდებოდა არა მხოლოდ აჭარაში არსებული დაწესებულებებიდან, არამედ საქართველოს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოსული შესაბამისი პროფილის საარქივო დოკუმენტებით. დღეს, აჭარის საარქივო სამმართველო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც დაცულია კინო-ფოტო-

ფონო, საისტორიო, პარტიული თუ პირადი ფონდების საკმაოდ დიდი რაოდენობა.

მეორე თავი მკითხველის წინაშე წარმოაჩენს აჭარის საარქივო დაწესებულების ისტორიას უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში. საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა სახელმწიფო-საწარმოო გაერთიანება „მემბტიანე“. მოგვიანებით იგი გარდაიქმნა ჯერ საარქივო-სახელმწიფო დეპარტამენტად, შემდეგ კი ადგილობრივი ხელისუფლების საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოდ. ავტორები დეტალურად განიხილავენ დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში არქივის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, თითოეული სტრუქტურული ერთეულის მუშაობის თავისებურებებს, საკადრო პოლიტიკის საკითხებს და იძლევიან არგუმენტირებულ დასკვნებს.

ცალკე თავი ეძღვნება დოკუმენტური მასალების განთავსების საკითხებს. როგორც ცნობილია, საარქივო დაწესებულებას დიდხანს არ ჰქონდა საკუთარი ბინა, რის გამოც დოკუმენტები გადაჰქონდათ ერთი შენობიდან მეორე შენობაში. ქალაქის საბჭოს სარდაფიდან დოკუმენტები გადაიტანეს ლიკვიდირებული ლომბარდის შენობაში, შემდეგ ორჯონიკიძისა და პიონერის ქუჩების კვეთაზე არსებული შენობის სარდაფში, ე. წ. სოკოს სახლში, კათოლიკურ ეკლესიაში და ა. შ. ავტორთა ინფორმაციით, 17 წლის განმავლობაში დოკუმენტებს 10-ჯერ შეუცვლიათ ბინა. დოკუმენტური მასალების ასეთი ხშირი „მოგზაურობის“ შედეგად ნადგურდებოდა და ნიავდებოდა უნიკალური საარქივო მასალები. ამავთვე თავში წარმოდგენილია აჭარის რაიონულ არქივებში არსებული დოკუმენტების ადგილმონაცვლეობისა და საარქივო მასალების განთავსების საკითხები.

ავტორებს მონოგრაფიაში ცალკე პარაგრაფების სახით აქვთ განხილული სამეცნიერო ტექნიკური დამუშავების, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის, საექსპერტო შემმოწმებელი კომისიის საქმიანობის შინაარსი და თავისებურებები.

მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დოკუმენტური მასალების შემადგენლობისა და შინაარსის აღწერას. ნაშრომში ცალკე პარაგრაფების მიხედვით განხილულია ისტორიული, პარტიული, პირადი შემადგენლობის, კინო-ფოტო-ფონო, განსაკუთრებულად ღირებული, სადაზღვევო ფონდები. წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტური პირველწყაროები, რომლებიც მკვლევართა ნაშრომებშია გამოყენებული. წიგნის ავტორები დიდი მოწიწებითა და სიყვარულით აფასებენ იმ მკვლევარებს, რომლებსაც სხვადასხვა დროს უმუშავიათ მკვლევარად საარქივო სამმართველოში.

როგორც უკვე ითქვა, მონოგრაფიაში ცალ-ცალკეა დახასიათებული საარქივო ფონდები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საისტორიო ფონდებს. როგორც ირკვევა, ამჟამად არქივში **82** საისტორიო ფონდია დაცული, სულ **13 256** შესანახი ერთეულის ოდენობით: **ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარია, ბათუმის ქალაქის მმართველობის, ბათუმის საქალაქო სათათბიროს, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საჟანდარმო-საპოლიციო სამმართველოს ბათუმის განყოფილების, ბათუმის საბაჟოს, ბათუმის სავაჭრო პორტის სამმართველოს, ქალაქ ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს, ჩაქვის საუფლისწულო მამულის და სხვა საოლქო მნიშვნელობის დაწესებულებების დოკუმენტური მასალები.** როგორც მონოგრაფიიდან ირკვევა ეს არის განსაკუთრებული ღირებულების ისტორიული დოკუმენტები – ყოფილი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე არსებული რუსეთის იმპერიის დროინდელი დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების ისტორიისა და საქმიანობის ამსახველი (გვ.143). მონოგრაფიაში მეტად დამაჯერებლად არის წარმოდგენილი თითოეული ფონდის ანოტაცია.

არანაკლებ საინტერესოა პარტიული ფონდები, ეს არის დოკუმენტები, რომლებიც ძირითადად აჭარის საბჭოთა პერიოდს მოიცავს, როგორც მონოგრაფიიდან ვგებულობთ, ასეთი სულ **550** ფონდია, **150 854** შესანახი ერთეულის ოდენობით (გვ 159). მათ მნიშვნელოვან ნაწილზე შედგენილია ისტორიული ცნობები. აჭარის უახლესი ისტორიის პერიოდის ამსახველი ფონდების სიმრავლე და მათში დაცული დოკუმენტური მასალა მნიშვნელოვან დახმარებას უწევს აჭარის 70 წლიანი ისტორიის შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარებს.

ნაშრომით ვგებულობთ, რომ არქივში დაცულია პირადი ხასიათის **36** ფონდი, რომლებიც მოიცავენ ცნობილი მწერლების, პოეტების, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგებლების პირადი ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტურ მასალას, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ფონდშემქმნელების ჩამოთვლა: **ალექსანდრე სამსონიას, ნესტორ მაღაზონიას, ჯემალ ჯაყელის, გენრიეტა ქუთათელაძის, ჯემალ ნოღაიდელის, აბელ სურგულაძის, იური ბიბილეიშვილის, ნანი გუგუნავას, ნოდარ ცეცხლაძის, არამ ტონლიანის, მაყვალა ჯინჭარაძის, ფრიდონ ხალვაშის, მამია ვარშანიძის, რამაზ სურმანიძის, იური თავბერიძის, ვარლამ ბარამიძის, ვლადიმერ პოშელუენის, ალექსანდრე თხილაიშვილის, ნიკოლოზ ბელიხის, მიხეილ ეკიზაშვილის, ქსენია ბახტაძის, პარმენ ლორიას, ამირან შერვაშიძის, გულნარა ნოღაიდელის, გიორგი ხეჩინაშვილის, ანგელინა გურგენიძის, ელენე ქორიძის, პარმენ პატარაიას, პეტრე სულაბერიძის, ირაიდა ალანიას**

და გულო კაიკაციშვილის ფონდები (გვ.167, 168). ამჟამად არქივში დაცული დოკუმენტური პირველწყაროები, ყოველ წლიურად ფართოვდება, როგორც ადგილობრივი წყარო – დაწესებულებიდან, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებიდან შემოტანილი დოკუმენტური მასალით. ეს საშუალებას აძლევს, არქივის თანამშრომლებსა და ყველა დაინტერესებულ მკვლევარს შეუფერხებლად იმუშაოს მისთვის საინტერესო თემატიკაზე.

აჭარაში საარქივო სამმართველოს შექმნის დღიდან თითქმის საუკუნეა გასული, ცხადია, დარგმა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები განიცადა, შეემატათ ტერიტორიული არქივები. მონოგრაფიაში თანამიმდევრულად არის აღწერილი მათ მიერ საარქივო დარგის ყველა სფეროში წლების მანძილზე გაწეული კოლოსარული მუშაობა.

ნაშრომში ერთი თავი დათმობილი აქვს საარქივო სამმართველოში სამეცნიერო – კვლევითი მუშაობის განვითარებას. დაწესებულებაში სამეცნიერო მუშაობა თითქმის მისი დაარსების დღიდან მიმდინარეობს. სამმართველოში დაცული დოკუმენტებით ყოველ წლიურად ასობით მკვლევარი, ასპირანტი, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი იღებს საინტერესო ინფორმაციას, ტარდება საერთაშორისო სამეცნიერო და ადგილობრივი კონფერენციები, გამოიცემა კონფერენციის მასალები. საარქივო სამმართველოს აქვს პერიოდული გამოცემა – ჟურნალი „არხეონი“, სადაც იბეჭდება, როგორც სამმართველოს თანამშრომლების ასევე სხვადასხვა მკვლევართა სტატიები, აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში დაცული დოკუმენტების გამოყენებით გამოიცა ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრაფიის ავტორთა მაღალზნეობრიობის ნათელი გამოხატულებაა მემკვიდრეობითი ტრადიციებისადმი ერთგულება. ეს კარგად ჩანს გამოჩენილი არქივისტების ღვაწლის დაფასებისადმი მიძღვნილ სპეციალურ თავში „ისინი ქმნიდნენ საარქივო დარგის ტრადიციებს“. ავტორები წრფელი სიყვარულითა და სითბოთი მოიხსენიებენ გიორგი ფურცელაძის, ს. კაკაბაძის, ნიკოლოზ სპილიოტის, სერგო ყუფარაძის, ოსმან ხალვაშის, ვასილ სალომიტინის, ალექსი პროტოპოვის, კასიანე ბაბილოძის, გალინა ივანივას, ქეთო ცეცხლაძის, ელენე დომოპულოვას, მარია ხარკოვასელენე ქორიძის, ლენა ზაქარეიშვილის, გრიგოლ პინიანცის, ნაზი ნოლაიდელის, სერგო ტაბაღუას, გრიგოლ ჩაგანავას, თალიკო შეყილაძის, ლიანა ვანიძის, გუგული ანდლუაძის, ლილი ოთიაშვილის, გალინა მოსიძე-საზგულოვას, ნუნუ სკამკოჩაიშვილის, ვლადიმერ მკერვალიშვილის, შოთა გაბრუშიძის, მაყვალა თავაძის, ნანა კუჭაშვილის, ნადეჟდა კობლატაძის, შალვა აბაშიძის, ტოფია ფრანგიშვილის, კოლია თოღაძის, შუქრი გუგუნავას, ჟუჟუნა რომანაძის, ელისო მექვიტიშვილის, ბაბილინა გეგელიას, ჰენრი გოგავას, გუგული იმედაიშვილის,

ილია დიასამიძის, დიმიტრი ბოლქვაძის, ქაზიმ დუმბაძის, ვალერიან ხიმშიაშვილის, ნაზი ხიმშიაშვილის სახელებს, რომლებმაც თავიანთი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი საარქივო დარგის განვითარების ინტერესებს შესწირეს.

დასკვნით ნაწილში ნაშრომში განხილულია აჭარის არქივში სადღეისოდ არსებული პრობლემები და პერსპექტივები.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ მონოგრაფიის თითოეულ თავს ერთვის საარქივო სამმართველოს არქივისტთა სხვადასხვა თაობის მოღვაწეობის ამსახველი უნიკალური დოკუმენტური ფოტო – მასალა, რაც წიგნს ამდიდრებს და უფრო საინტერესოს ხდის. ამ ფოტოებიდან ზოგი გამოქვეყნებული იყო ადრეულ წლებში, ზოგიერთი კი პირველად იბეჭდება.

მონოგრაფიის მნიშვნელობას, რომ ხაზი გავუსვათ, პატარა შედარებას გავაკეთებთ: 1987 წელს მოსკოვში საიუბილეო თარიღისათვის გამომცემლობა „მიზანმა“ გამოსცა 200 გვერდიანი წიგნი სათაურით: სსრ კავშირის საარქივო ფონდი – ხალხის დოკუმენტური ხსოვნა“, ეს იყო სსრ კავშირში საარქივო საქმის ზოგადი ისტორია, რომელიც მოკლედ მიმოიხილავდა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში გაერთიანებული რესპუბლიკების საარქივო საქმის ისტორიას, ზოგად წარმოდგენას უქმნიდა მკითხველს საარქივო დოკუმენტებზე. ეს საიუბილეო წიგნები საქართველოს არქივსაც გადაეცა. ამ შემთხვევაში კი, „აჭარის საარქივო სამმართველო“ (1923-2015) ვრცელი მეცნიერული ნაშრომია, რომლის მსგავსი საქართველოში ჯერ არ შექმნილა. ავტორთა ჯგუფმა, საქმეზე შეყვარებულმა არქივისტებმა, უდიდესი მონდობებითა და სიფაქიზით გადმოსცეს აჭარის საარქივო სამმართველოს თითქმის საუკუნოვანი ისტორია. მონოგრაფიას აქვს მცირე ხარვეზები, რომელსაც იმ მაღალი შეფასების ფონზე რასაც ნაშრომი იმსახურებს, ვერ ამცირებს მონოგრაფიის მეცნიერულ ღირებულებას.

მონოგრაფია საარქივო სამმართველოს სრულყოფილი და უწყვეტი ისტორიის გამოცემის პირველი ცდაა. ის უდაოდ იმსახურებს მაღალ შეფასებას. ნაშრომი დიდ სამსახურს გაუწევს ისტორიკოსებს, არქივისტებს, მეცნიერებს და საერთოდ არქივითა და არქივში დაცული უნიკალური დოკუმენტებით დაინტერესებულ საზოგადოებას.

ძველი პრესის ფურცლებიდან

ლუკა ასათიანისა და ივანე მესხის წერილები

(მასალები მოგვაწოდა პროფ. ოთარ გოგოლიშვილმა)

წარმოდგენილი საარქივო მასალა ეხება ლუკა ასათიანსა და ივანე მესხის ცხოვრებას და მოღვაწეობას. მასალები ამოღებულია ჟურნალ-გაზეთებიდან და შეიცავს, როგორც ლ. ასათიანის წერილებს, ისე ი. მესხის რიგ კორენსპონდენციებს გამოქვეყნებულს გაზეთ „დროებასა“ და ჟურნალ „კრებულში“ სხვადასხვა დროს. ლ. ასათიანი იყო ქუთაისის, ხოლო შემდგომ, 1895 წლიდან 1901 წლამდე ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც ცნობილია ისტორიაში, როგორც უნიჭიერესი, მართალი და პატიოსანი საზოგადო მოღვაწე; ქალაქ ბათუმის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის წამომწყები და ორგანიზატორი.

ივანე მესხი არის სერგეი, ეფემია, კოტე და დათიკო მესხების ძმა. ის იყო მწიგნობარი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და მთარგმნელი. 1888 წლიდან მუშაობდა ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის მდივნად. ცხოვრების უმეტესი ნაწილი ივანე მესხმა ბათუმში გაატარა. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქალაქ ბათუმის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებაში. იგი ავტორია რამდენიმე შრომებისა, კორენსპონდენციებისა, სტატიებისა და წერილებისა.

როგორც ლ. ასათიანზე, ისე ი. მესხზე საკუთარი ფონდის შექმნა სასურველია და მხარის შესწავლით დაინტერესებულ პირთ სასარგებლო მომსახურებას გაუწევს.

ო. გოგოლიშვილი

საქართველო

ქუთაისიდან

(„დროების“ კორენსპონდენცია)

ერთი შესანიშნავი სანახავი ვნახეთ აქაურებმა წუხელ სადამოს (13-ოქტომბერს): ჩრდილოეთისაკენ სადამოს 7 საათზე რაღაც სინათლე გამოჩნდა წითლად თითქოს სადმე ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა. რადგან ქარები იყო აქეთ წინა დღეში, იმას დააბრალებს ცეცხლის გაჩენა. მართალი გითხრათ პირველად ვერც მე გავიგე ნამდვილი მიზეზი ამ მოვლენისა სანამ ამ წითლად ნათელში ალაგ-ალაგ თეთრ-ყვითლად მნათობი სვეტები არ დავინახე.

როგორც შევნიშნე, შვიდი საათიდან ვიდრე ათამდე, სინათლე თანდათან მატულობდა და თან დასავლეთისაკენ გადადიოდა. რამდენსაც ეს სინათლე ადგილის გამოცვლას დააპირებდა, გამოსაცვლელ ადგილზე ჯერ სვეტები გამოჩნდებოდა, მერე კი ერთბაშად გაწითლდებოდა. ეს შესანიშნავი მოვლენა თითქოს შუადამემდე გაგრძელდა. ისეთი დიდი ადგილი ეჭირა იმას და ისე მაღალი მოჩანდა, რომ უეჭველია, თქვენც დაინახავდით. უეჭველია აგრეთვე, რომ ეს მოვლენები იყო ჩრდილოეთის: მაგრამ მე მაკვირვებს წითელი ფერი ამ ბრწყინვისა და ამდენ ხანს გაგრძელება.

მე მახსოვს პეტერბურგში, რომ იქაური „ბრწყინვები“ თეთრად მოყვითალო ფერის არიან და არც ამდენ ხანს გრძელდებიან ხოლმე. უნდა გაგეგონათ რაებს ლაპარაკობდნენ აქაურები ამ ელექტრიულ მოვლენებზე: მოხუცებულები, რომელთაც თავის დღეში არ უნახავთ აქ ამის მსგავსი რამე, არწმუნებდნენ ყოველ კაცს, რომ წარღვნის ნიშანი არისო; პოლიტიკები (ომიანობამ ბევრში პოლიტიკები გააჩინა ჩვენში) ამტკიცებენ, რომ პარიჟი დაწვეს ნემცებმა და იმისი სხივი ზეცას მოსდებიან, ზოგის ფანტაზიამ ასე შორს ვერ გასჭრა: ისინი ამბობდნენ, ლეჩხუმს მოჰკიდებია ცეცხლიო, ზოგი კი ვინ იცის, რას ამბობდა. დადგა თუ არა აქ ეს თვე, დაიწყო საშინელი ქარები, სამი დღის განმავლობაში დაუწყნარებლად ქროდა აღმოსავლეთის ქარი. ცეცხლი კი, დეთის მაღლით არ გაჩენილა, არც ქალაქში და არც სხვაგან სოფლებში და ტყეებში. როგორც ქარი შეწყდებოდა, წვიმა დაიწყებოდა – ასე იყო 12 ოქტომბრამდე, ახლა კი კარგი ტაროსები დადგა. ხოლერა ჯერაც ვერ მოვიშორეთ ჩვენ სრულიად თავიდან, კვირაში რამდენიმე კაცი ახლაც მიაქვს ხოლმე მსხვერპლათ. ამჟამად სოფ. კახიანურში (ქუთაისზე ათ ვერსზე) დგანან სალდათები ბანაკათ, მგონი რკინიგზის საკეთებლად და, როგორც ამბობენ, მათში ხშირია ხოლერაო: პანტა მსხალის და ზედ წყალს სვამენ თურმე და ამიტომ უფრო ხშირად ხდებიან ავითა.

0. – 0.

ქუთაისი, 14 ოქტომბერი.

გაზ. „დროება“ 1870, N 42.

ხონიდან
(„დროების“ კორესპონდენცია)

არც ერთი ოთხი თვე არ იქნება რაც ერთი ნაწილი ქუთაისის უეზდის მომრიგებელი მოსამართლისა, ე.ი. ერთი თანაშემწე, ერთი კანდიდატი და მასთან ხვედრი კანცელარიის ჩინოვნიკებიც, ს. ხონში, აქაურის და ახლო-მახლო მცხოვრების საქმეების გასამართლებლად. ამ გვარ წყობილებით თვით მოსამართლეებისათვისაც შრომის შემსუბუქება იქნება და მცხოვრებლებისათვისაც. ამ უკანსკნელს იმიტომ ვამბობ, რომ რასაკვირველია უმჯობესია, რაც უფრო ახლო ექნება ხალხს სასამართლო, თორემ დარწმუნდები ვარ, თუ იმერელს საქმე საჩივრათ მოუვარდა, ათას ვერსსაც გაივლის, ოღონდ კი რაიმე გააწყოს და. მოგახსენებთ, იმერლები ვართ, კინწლაობა, შური და გამხეთქილება ერთმანეთში გვიყვარს. ხონში 3 დღე დავრჩი და ამ სამ დღეში ხშირად ავივლიდი და ჩამოვივლიდი სასამართლოსთან და ყოველთვის ვხედავდი ურიცხვ ხალხს იმის კარებზე: ბევრს ეგების საქმეც ჰქონდა, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი ტყვილად მაყურებელი უნდა ყოველთვის.

– „ნიკოლოზა, არ შემოხვალ სახლში,“ – ეუბნებოდა ერთი იქ მდგომართაგანი მეორეს, „დღეს სა..... ადოკატი, რომ არის, ის ყავს სიმონას მოპირდაპირეთ. იმას თვალბზე ეტყობოდა, მოიგებს საქმეს, მაგრამ მაინც შეყვეს თავი ქუდში. ამ გვართ და სხვა გავართაც ატყუებენ ერთი მეორეს, სცვეთენ სასამართლოს კარებს და ხმებიან ფენებზედ – ეხლა საქმის კაცებიც ვნახოთ, რა საჩივრებისთვის მიდიან. თუმც მე არ დავსწრებივარ, მაგრამ ვინც იყო დამსწრე მითხრა, ვითომც ერთს კეთილშობილს ეჩივლოს, რომ ამა და ამ კაცმაო კარგად გაწურთნენ და მომგები მიმინო გამპარაო... კიდევ, ვითომც სტუმრისთვის ეჩივლოს მასპინძელს, რომ ჩემსას შემოვიდაო და საწოლი ქვეშაგები დამიტკეპნაო, ამ ორი მაგალითით მიხვდება მკითხველი, თუ რაგვარი საჩივრებისათვის აკლდებიან უფრო საჭირო საქმეს ზოგიერთები და სტესხენ შურს ერთმანეთში. ერთმა ამ სასამართლოში მოსამსახურე კაცმა მითხრა, რომ ამ ოთხი თვის განმავლობაში ორას ორმოცდა ათი საქმე შემოგვიდაო. ოთხ თვეში ხონში იმდენი მომჩივნები აღმოჩენილან და მთელს იმერეთზე რაღა უნდა ვთქვათ. დაწესთა თუ არა ეს სასამართლო, მაშინვე, როგორც წვიმის შემდეგ სოკოები, ისე ავდოკატებმაც ამოყვეს თავი ხონში. ბევრმა იმათგანმა ქუთაისი მიატოვა და აქ ამოვიდა მჭერმეტყველობაში გასაგარჯიშებლად. რატომ არ ამოვიდენ. არა აქვთ დაფასება თუ

ოღონდ სათვალეები გაიკეთე და სერთუკი ჩაიცვი და მოხონელები
ფუტკრებით დაგეხვევიან. -

o. - o.

გაზ. „დროება“ 1870, N 47

„დროება“ N 105, 1879 წ., 23 მაისი, გვ.2.

პ ა ს უ ხ ი

უფ. ივანე სიმონის ძეს მ ე ს ხ ი ს
მოწყალეო ხელმწიფე

„დროების“ 99 N – ში მე წავიკითხე თქვენი ჩემდამი მომართული წერილი. თქვენ მოითხოვთ ჩემგან, რომ მე გავიმართლო თავი იმ ცილის – წამებისაგან, რომელიც გამოუშვა ჩემზე გრაფმა ვიდაცა სამეგრელოს თავადმა მიხეილ (იგივე ტუსიე) ფაღავაძელიან მიკვირს, რომ თქვენ, ჩემისსკანდიდატობის თანამგრძნობი იყავით და, ვგონებ, კარგის მხრითაც ვიცნობდით, ამ გვარს მოთხოვნილებით მომმართეთ მე. ნუ თუ ეს ცნობა და თანაგრძნობა ისეთს სუსტს საფუძველზე იყო დამყარებულ, რომა ვიდაც ტუსია ფაღავას წყალობით გავარდნილმა ხმამ ეჭვში შეგიყვანათ და ჩემდამი რწმენა შეგირყიათ. მაგრამ არა, თქვენ მეტყვიით: ჩემის წერილისაგან სჩანს, რომ მე მხოლოდ საქმის ახსნა მსურსო, მე სხვა კანდიდატებზედაც გამომიგონია ცუდი ამბები, მაგრამ მე მხოლოდ თქვენზე განაგონის ამბრის გამოკლევა მინდაო და მოვითხოვ, რომ ჯერ შეხედვით და მერე სასამართლოს წესით დაამტკიცოთ თქვენი სიმათლე. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ თუ არ იცით, რომ უსაფუძველო ჭორზედ რა უნდა სთქვას კაცმა, თუ არა მხოლოდ ის, რომ ჭორი, ჭორი არის და სხვა არაფერი. და თუ თქვენ რაიმე გარემოება გსმენიათ, რომელიც ჭორს საფუძველიანობის სახეს სდებს, გთხოვთ ის გარემოება შემატყობინო, რომ მაზედ ჩემი გასამართლებული პასუხი მომცეთ.

რაიცა შეეხება სასამართლოს წესით ჭორების დარღვევას, ამაზე უნდა მომახსენოთ, რომ ვინც კი რაიმე ანგარიშის გულისათვის ჭორების მოგონებას და და უარს იკადრებს და მოისურვებს, ის საჭიროების დროსმელობასაც მოახერხებს და ბევრს კუდებს იშოვნის მისგან დაყრილის ჭირის დასამტკიცებლად. და როგორ გსურთ თქვენ, რომ

ღ ი ა ბ ა რ ა თ ი
უფ. დავით ნიკოლაძის – ძ ე ბ ა ქ რ ა ძ ე ს.
მოწყალეო ხელმწიფეე

სხვა სიბილწეთა შორის, რომლნიც ვითომ სხვადასხვა თანამდებობაზე მოსურნე კანდიდატებთა ამბოლონდელს ბანკის საზოგადო კრების დროს, ჩვენდა სამწუხაროთ, შვიტყვეთ, ვითომც – თქვენც თქვენი კანდიდატურის გაყვანისათვის მოგენდომებინოსთ მთელი თ.თ. ფაღავების მოსყიდვა და ამ განზრახვით გაგეგზავნოსთ მათთვის უუ. ბ.ს. ბაქრაძისა და თ. დიმ. ერისთავის ხელით, ხუთასი მანეთი, ეს ფული თ.თ. ფაღავებს, საზოგადო მოლაპარაკების შემდეგ, მიეღოსთ, მაგრამ იმ განზრახვით კი არა, რომ თქვენთვისთ თეთრი კენჭი მოეცესთ, არამედ იმიტომ, რომ ის ხუთასი მანეთი აქაური „ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებისათვის“ შეეწიროსთ. დღეს გვარწმუნებენ, რომ თ.თ. ფაღავებმა ეს ფული ზემოხსენებულ საზოგადოების კასაში შეიტანეს კიდეცაო.

მე გახლავართ ერთი იმათგანი, რომელნიც,სხვათა შორის თქვენს კანდიდატურასაც თანაუგრძნობდი და ეს გარემოება საზოგადოების ზოგიერთა წევრთა კარგათ იციან, ჩემთვის აუცილებლად საჭიროა ვიცოდე – რამდენაც მართალია სახელში გავრცელებული ეს ხმა. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ დაუყოვნებლივ ჯერ ბეჭდით დაგვიმტკიცოთ თქვენი სიმართლე და შემდეგ ესვე სუდის წესით ეძიოთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მე იძულებული ვიქნები შესაბამისი სახელი დაგარქვა თქვენ მოქმედებას და უარი ყვო თქვენს პატიოსნებაზე.

ივ. მესხი
ქუთაისი, 4 მაისს
გაზ. „დროება“ 1879, N 99

ამ შემთხვევაში ჭორების უსაფუძვლო დაგამტკიცო იქ, სადაც თვალ – საჩინო და ხელმოსაკიდებელი სამოქალაქო საქმეების გარჩევაც ძლიერ საძნელო საქმე შეიქმნა. ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში გამოცდილს მსაჯულს ხშირად შეუძლია მოწმების უნახავად და უკითხველად დასწეროს მათი ჩვენება სრულიად თანახმად იმისა სადაც ისინი ნამდვილად აჩვენებენ.

ამის შემდეგ თქვენ თვითონ ადვილად დაინახავთ, თუ რამდენათ საჭირო არის, რომ მე ბეჭდით მაინც მოვიწმინდო ის ჩირქი, რომელსაც აგრე უსამართლოდ და უსინდისოთ მაცხებენ, მაგრამ ამისათვის საჭიროა ვიცო-

80

დე რა საძირკველზე სდგას ჩემზე დაყრილი ცილის – წამება, რომ ის საძირკველი გამოუშალო და ფუტუროს შენობა დავანგრიო.

დავით ბაქრაძე.

17 მაისს, 1879-წ ქუთაისი

„დროება“ N 68, 1875

18 თიბათვე (6) გვ.2.

დ დ ი უ რ ი

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სამზღვარს გარეთიდან ახლად დაბრუნებული უფ. ივანე მესხი ქუთაისში პანსიონის გახსნას აპირებს, როგორც გაგვიგია, ამ უამად ქუთაისში სამი თუ ოთხი სხვა და სხვა პანსიონია, მაგრამ ვერც ერთი ვერ აკმაყოფილებს თურმე რიგიანად თავის დანიშნულებას, და ამის გამო სანატრელია, რომ ხეირიანი პანსიონი მაინც დაარსდეს.

„დროება“, N 87, 1875 წ.3.8 (.....) გვ.4.

შეგირდების სადგომი

ქუთაისში არსებულ სასწავლებლების მართებლობისა ნებადართვით, 1875 წლის 25 აგვისტოდან ქუთაისში ვხსნი „შეგირდობის სადგომის“, რომელსაც ექნება შემდეგი მიზანი: ა) რომ იყოლიოს მოსწავლე ყმაწვილები სუფთად, წმინდათ და საზრდოს მხრით სამყოფად; ბ) რომ, ამეორების ანუ მოამზადოს ამისთანა ყმაწვილები საგნების და ენების გაკვეთილებში (უროკებში), რომელთაც მათ ასწავლიან იმ სასწავლებელში, სადაც ისინი მოსწავლე – შეგირდებათ ითვლებიან; გ) რომ, იხმაროს ყოველგვარი საშუალება მოსწავლე ყმაწვილების გონებისა და ზნეობის გაუმჯობესებისათვის; დ) რომ, დაეხმაროს იმას ფიზიკურს სიმართლეს, რადგან მეცნიერების სიტყვით, გონებითი სიძლიერე მოსწავლე ყმაწვილებისა შეუძლებელია- თუ კი ფიზიკურათ სუსტი ან ავადმყოფი არის და ე) რომ, იყოლიოს ხელმძღვანელობათ ყოფლის მხრივ საიმედო ყმაწვილი კაცები, რომელთაც სწავლა ან უნივერსიტეტში, ან გიმნაზიაში და ან სემინარიაში აქვსთ შესრულებული- ერთის სიტყვით „სადგომი“ ყოველგვარ საშუალებას იხმარს, რომ ერთის მხრით სასწავლებლების მთვარობისა და მეორეს მხრით თავათ ყმაწვილების მშობლებისაგან მასსზე დამყარებული იმედი არ გააწბილოს.

„სადგომი“ იხსნება უმთავრესად „სრული პანსიონერებისათვის“. მშობლები, რომელსაც თავისი შვილი ამ პირობით შემოჰყავს „სადგომში“, იხდის წელიწადში 350 მან. ამ ფულს გარდა პირველ წელიწადს ყმაწვილს მოსვლისთანავე თან უნდა მოჰყვეს: ა) ერთი ხელი წმინდა ტანისამოსი იმ სასწავლებლის ფორმისა, სადაც ყმაწვილი მოსწავლე შევირდათ ითვლება, ბ) ქვეშაგები: ლეიბი, ბალიში, მუთაქა, საბანი და კრაოტი ან ფასი იმისანი კრაოტისა, როგორსაც „სადგომის“ მზრუნველი არჩევს, გ)სამი ხელი წმინდა ტილოს საცვალე (პერანგები და მისი ამხანაგები), დ) ყოველგვარი სახელმძღვანელო წიგნები, რაც „სადგომის“ მზრუნველის რჩევით, მოსწავლე ყმაწვილისათვის საჭირო იქნება. ესენი მოაქვს „სრული პანსიონერს“ მოსთვისთანავე წელიწადში 350 მან. ერთად და შემდეგ წლებში კი – რამდენ ხანსაც ყმაწვილი „სადგომზე“ დაარჩება ყოველ-წლით 350 მანეთი – გარდა სახელმძღვანელო წიგნებისა, რომლისათვისაც ყოველთვის მშობელმა უნდა იზრუნოს, „სადგომის“ მზრუნველზე იქნება: სადგომი, საზრდო, სწავლა, ტანისამოსი და ერთის სიტყვით ყოველგვარი საჭიროება, რაც კი ყმაწვილს დასჭირდება.

ფულის შემოტანა შემძლება: ან მთელი წლის ერთად პირველ სექტემბერს და მარტს და ან წელიწადში სამჯერ ისევ პირველ სექტემბერს, პირვ. იანვარს და პირვ. მაისს, მშობელი რომელსაც ჰსურს ყმაწვილი „სადგომიდან“ გაიყვანოს, ვალდებულია ეს სურვილი ორი თვის წინეთ შეატყობინოს „სადგომის“ მზრუნველს, ფული რაც შემოტანილია, მშობელს, ყმაწვილის გაყვანის დროს, უკან აღარ დაუბრუნდება ჯერჯერობით „სადგომის“ შესახებ ყოველ-გვარი რჩევისა და საქმისათვის უნდა მიჰმართონ: ქ.ქუთაისის, სიღანე უ. სვიმონ მესხის სახლებში.

„სადგომის“ მზრუნველი ი.ვ. მესხი

„დროება“, N 10 1869 წ (18) მარტი, გვ.4.

კრიტიკელი დედა-კაცი მორეაში

(მოც მიღერიდამ)

კლდეზედ ზღვის პირად ჩაფიქრებული
ზის დედა-კაცი დაღინებული,
ხელში უჭირავს იმას ყმაწვილი
და ბოლოს იტყვის დავიწყებული.

რომ ვეთხოვედი მას კვლავ ნახვამდის,
მითხრა: „ვიშოვნით თავისუფლებას
და ვინც იქნება, ყველა ბოლომდის

თვისაა სიცოცხლეს იმას შესწირავს.....”
მაგრამ ჰაი ზღვავე, შენ გევედრები:
მაღე მოხდება ეს ჩვენი ბედი.
ორი წელია რაც მე საწყალსა,
არა მინახავს ის ჩემი ქმარი,
არა უნახავს არც ჩემსა შვილსა

დაობლებულსა თვისი მამაი
რომ ვეთხოვიდი მან ესე მითხრა:
„მაღე იქნება, რომ ჩვენსა კრიტსა
ესტრედდეთ საწყალნი თავისუფალსა...”

მაგრამ ვაი ჩვენ, ობოლ-საწყალნი
ორი წელია, რაც რომ მას ვეღლით,
ორი წელია რაც დაჩაგრულნი
ჭირსა და სენსა ბევრ გვარსა ვიცლით.

მე არა ვფიქრობ, ჰო ღმერთო ჩემო,
რომ ყველაფერი ეს შენ იცოდე
და გულ-გრილათა მას შეჰყურებდე...
როდის იქნება, რომ ჩემსა ქმარსა

ჩემის თვალითა დავინახამდე,
ვინ მოესწრება ბედნიერს დღესა-
მას ძუძუებში ჩავიხუტებდე.
კლდეზე ზღვის პირად, ამ გვარად სწუხდა

დაობლებულის ყმაწვილი დედა,
მაგრამ უბრალოდ თავს იწუხებდა
და პასუხსა კი არვინ აძლევდა.
მხოლოდ ბოლოს დროს ის უიმედო

გაერთო ისევ სხვა და სხვა ფიქრსა.
ამ დროს მას ღელვით ხმა შემოესმა-
ვითომც ეძახდა: „ნუ ელი მასა”..

ი.მ.-ი.

1869 წელსა 22 თებერვალს ქ. ქუთაისი.
„ღრობა“, N 45, 1868 8 /20/ ნომბერი, გვ.3.

კარგი ზნის კაცი.
(ნეკრასოვიდგან)

კაცი ვარ კარგი ზნისა,
არაფერს არ ვაშავებ,
ისევე ვცხოვრობ ყოველთვისა,
რომ ცუდს არ ვის ვაკადრებ.

ერთხელ სადამო ჩემი მეუღლე
საყვარლისაკენ გადაიხვეწა,
მე გალანძღული ამგვარ საქმისა
ჩემს მტერს მივადეგ პოლიციითა

და დაუმტკიცე კავშირი ცოლთან.
ზაფრაცემული იმ სადამოდგან
მეუღლე ჩემი გამიხდა ავათ

და რომ გავიდა ცოტაოდ ხანი
გარდამეცვალა ის მე უეცრად.

კაცი ვარ კარგი ზნისა
არაფერს არ ვაშავებ:
ისევე ვცხოვრობ ყოველთვისა,
რომ ცუდს არ ვის ვაკადრებ.

მეგობარს ჩემსა ფული ვასესხე
და დიდხანს შემდეგ უკანვე ვთხოვე
მაგრამ გადახდას არ მიპირებდა
და საჩივაზედ საქმე მივარდა.

მას სამართალი ასე გადუჭრეს:
დიდი ხნის ვადით დაატუსაღეს.
ტუსაღობაში ის ისე მოკვდა,
ფარად რა არის, არ გადმიხადა.
დახე ამ ჩემსა გულკეთილობას,

რაც რომ ემართა, სულ შეეწირე მას!
კაცი ვარ კარგი ზნისა,
არაფერს არ ვაშავებ:
ისე ვცხოვრობ ყოველთვისა,
რომ ცუდს არავის ვაკადრებ.

მზარეულსა მივეც მე ჩემი კაცი,
რომ ამ ხელობის მას რამ ესწავლა,
თუმც ეს ხელობა კარგად ისწავლა,
მაგრამ წიგნშიდაც ის განვითარდა!

უზრდელობაცა თან შესჩვეოდა.
თითქმის ყოველ-დღე სადამოობითა
ჩემს უკითხავად დასეირნობდა.
თავი მომბეზრდა დარიგებითა

და როგორც მამამ გაეჯოხე მაგრა.
წარმოიდგინეთ, ის გამეპარა
და დიდს მდინარეს თავი მიჰგვარა!

კაცი ვარ კარგი ზნისა,
არაფერს არ ვაშავებ:
ისევ ცხოვრობ ყოველთვისა,
რომ ცუდს არვის ვაკადრებ.

მასწავლებელი ჩემი ქალისა
თვისსა მოწაფეს შეჰყვარებოდა
და როგორც ესცანი მე ბოლოს დროსა,
ქალი გაყოლას დაჰპირებოდა.

მსწრაფლად მოვასწარ ამა ხიფათსა
და ქალი მივეც ბებერსა კაცსა
ჭადარა იყო, კბილებიც აკლდა.
მაგრამ ფული კი ურიცხვი ჰგონდა.

ჩემი მაშიკო ჭლერქად ჩავარდა
და ერთა წელს შემდეგ მიწას ჩაბარდა.

კაცი ვარ კარგი ზნისა,
არაფერს არ ვაშავებ:
ისევ ცხოვრობ ყოველთვისა,
რომ ცუდს არვის ვაკადრებ.

ი.მ.-ი.

1868 წელს 3 ოქტომბერი

„დროება“, N 51 1868. 28 (1 იანვარი) დეკემბერი გვ.2.
ამ დროის სიმღერა
(ვუძღვნი ყოველსა საქმის მცოდნესა)
(დობროღობოვიდამ)

(რუსულით)

ნეტავი ჩვენ! რაღა გვიჭირს,
რომა ვდგევართ დამპალს ტბასა
და რაც ბევრი ხანი მიდის,
მით უფრო ვეფლობით მასში.

ნეტავი ჩვენ! რაღა გვიჭირს,
რომ ამ რიგად ჩვენს თავს ვხედავთ,
ვითომ საქმე მეტად გვიჭირს
და ხმა მაღლა- ამას ვწუხვართ.

ჩვენ ყველანი გამტყდარი ვართ,
რომ ლაფში გავლებული ვართ,
რომ მყრალი ვართ, საბაგელი
და ყველასათვის საცინელი.

ჩვენ პირდაპირ და დიდგულად
ყველას ამას ვეუბნებით:
თვითონ ვიცით, რით ჰყარს ოსმო.
რომელშიაც ჩვენა ვდგევართ ”.....”
თვითონვე ერთმანეთს ვაცხებთ

ამ აყრალეზულს ტაღასსა,
და ერთმანეთსვე ვაგონებთ,
რაც ღონე აქვს ჩვენს ენასა.

ჩვენ დიდი რამ გვგონია
ამისთანა სამქეები,
მაგრამ ის ის კი არ გვრცხვენია,
რომ ტაღასში გვაქვს ფესები.

ვითამც არაფერი იყვეს!
ჩვენვე ვეცინით ჩვენ თავსა!
და რაგინდ ღრმა ლაფი იდგეს,
იმ წამს შიგ ვიწყებთ გორვასა.
ი.- მ-ხი.

27 ნოემბერი 1868 წელი ქ. ქუთაისი.

საარქივო დოკუმენტები

აჭარისტანის განათლების კომისარიატს

განათლების კომისარიატი გაცნობებთ, რომ თქვენ მომავალ სასწავლო წლისათვის უმაღლეს სკოლებში დაგეთმობთ:

1. სახელმწიფო უნივერსიტეტში სულ „50“ ადგილი; აქედან პედაგოგიურ ფაკულტეტზე „107“, სოციალურ – ეკონომიკურზე „20“, აგრონომიულზე „53“, პოლიტექნიკურზე „106“, და სამკურნალოზე „25“.
2. სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სულ „10“ ადგილი; აქედან საინჟინროზე „7“, სასოფლო – სამეურნეოზე „8“.

პირველ კურსზე შემსვლელთ არც უნივერსიტეტში და არც პოლიტექნიკურ ინსტიტუტში წელს სტიპენდია არ მიეცემა.

განათლების კომისარიატი გთხოვთ დაუყოვნებლივ შეადგინოთ გამომრჩევი კომისია, რომელშიც წევრებად შეველენ: სამაზრო აღმასკომის, საქართველოს კომუნისტურ პარტიას და ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირის წარმომადგენლები.

ამ კომისიის მოვალეობა შეადგენს გადასინჯვა ყველა იმ კანდიდატებისა, რომელთაც მიაგლინებს მაზრა ან მისი ორგანიზაცია და მათი გადარჩევა მიღებულ გადანაწილებითი წესის მიხედვით.

ამ კანდიდატთა სიების მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს გადამრჩევი კომისია, სამაზრო მიმავლინებელი ორგანიზაციები აძლევენ მივლინების საბუთს.

ამასთანავე ერთად გეგზავნებათ სახელმძღვანელოდ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების პირობები და პირადი ანკეტები.

ვინაიდან საკითხი ვადიანი ხასიათისაა საჭიროა დაუყოვნებლივ შეუდგეთ საქმეს. დედანს

ხელს აწერს პროფგანათლების მთავარ მართველობის გამგე მ. მექმარი-აშვილი. საქმეთა მართველის მაგ. ი. რუხაძე.

პირობები

ს.ს.ს. რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისათვის
1924/25 სამოსწავლო წელში

1 წესები

ს.ს.ს.რ. უმაღლეს სასწავლებლებში მიღებისათვის 1924 წ.

სოვლის რა აუცილებლად გატარებულ იქმნას ს.ს.ს.რ. უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დროს კლასობრივი პრინციპი პროლეტარულ და მუ-

შურ ელემენტების მიღებით, სახალხო განათლების კომისარიათი მომავალ 1924/25 სასწავლო წლისათვის აწესებს მიღების შემდეგ რიგს:

1. პირველ რიგში უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან უფასო ადგილებზე და გამოუცდელად მუშათა ფაკულტეტებზე კურს დამთავრებულნი.
2. ყველა დანარჩენი უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი აბარებენ გამოცდებს იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომლებიც უკვე მიღებულია თანახმად სახალხო განათლების კომისარიატის დადგენილებისა.
3. უფასო ადგილებზე მიიღებიან:
 - ა) ფიზიკურად მომუშავენი და მათი შვილები
 - ბ) უღარიბესი გლეხები და მათი შვილები
 - გ) განათლების მუშაკნი და მათი შვილები
 - დ) პროფკავშირის წევრები და მათი შვილები, თუ საერთო ჯამის მათი თვიური შემოსავლისა არ აღემატება 35 მან.
 - ე) წითელ არმიელების და მათი შვილები, აგრეთვე არმიის და ფლოტის ინვალიდების შვილები.
4. თანახმად მესამე პუნქტისა მუშათა ფაკულტეტებზე სწავლა დამთავრებულთა ჩარიხვის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში დარჩენილი თავისუფალი ვაკანსიები ნაწილდება შემდეგნაირად:
 - ა) კომუნისტურ პარტიას 23%;
 - ბ) ახაკაზრდა კომუნისტთა კავშირის 15%;
 - გ) ს.ს. პროფკავშირის 30%;
 - დ) წითელ არმიელების 2%;
 - ე) ფასიანი 30%; ამ ადგილებზე პირველ რიგში მიიღებიან:
 - ა) რომელებიც ზემოაღნიშნულ ორგანიზაციების მიერ მივლინებულნი იყვნენ უფასო ადგილებზე, მაგრამ მიღებულ არ იქნენ;
 - ბ) პროფკავშირის წევრები და მათი შვილები, რომელთა თვიური შემოსავლის საერთო ჯამი 30 მან აღემატება;
 - გ) დარჩენილ ადგილებზე შეიძლება ჩაირიცხონ არა პროლეტარული ჩამომავლობის პირნი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების თანაუგრძნობენ და რომელებიც ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს საბჭოების მოწინააღმდეგე ორგანიზაციებთან, რაც დადასტურებული უნდა იქნეს ადგილობრივი აღმასკომის მიერ.
5. მომავალ 1924/25 ს. წლისათვის დაწესებულია ფაკულტეტებზე შემდეგი კომპლექტი:
 1. სახელმწიფო უნივერსიტეტში:
 - ა) პედაგოგიურ ფაკულტეტზე – 425 კაცი, მათ შორის: სიტყვიერების დარგზე – 250, ფიზიკო – მათემატიკურზე – 100 და ქიმია – ფარმაცევტიულზე – 75.
 - ბ) საექიმოზე – 100;
 - გ) პოლიტექნიკურზე – 100;

- დ) აგრონომიულზე – 175;
- ე) სოც. კონომიურზე – 200; სულ 1000 კაცი.

- 2. ღენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
 - ა) საინჟინროზე – 150;
 - ბ) სასოფლო – სამეურნეოზე – 150; სულ 300 კაცი.

შენიშვნა: ვ. ღენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სოციალ – ეკონომიური ფაკულტეტი დაიხურა.

- 6. მსმენელთა ჩარიცხვისათვის 1924/25 წელში შესდგება:
 - ა) ცენტრალური მიმღები კომიტეტი პროფ-გნათლების მთავარმმართველობასთან. ბ) ადგილობრივი მიმღები კომისიები ყველა უმაღლეს სასწავლებელთან. ეს კომისიები მოქმედებენ მათთვის განსაკუთრებულად დამუშავებულ დებულების მიხედვით.
- 7. უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველნი მიჰმართავენ თხოვნით იმ სასწავლებლის მიმღებ კომისიას, რომელ სასწავლებელშიც სურთ შესვლა (ვინც მივლინებული არ არის), ანუ რომელშიაც ისინი მივლინებულნი არიან ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ. თხოვნაში უნდა აღინიშნოს შემდეგი ცნობები: ა) ფაკულტეტი, რომელზედაც შესვლა სურს მთხოვნელს, ბ) ფასიანი, თუ უფასო ვაკანსიის დაკავება სურს მთხოვნელს.

შენიშვნა: ის პირნი, რომლებიც განაცხადებენ ფასიან ადგილზე შესვლის სურვილს, სწავლის ფულის გადასახადისაგან არავითარ შემთხვევაში არ განთავისუფლდებიან.

- 8. წინა პარაგრაფში ნაჩვენებ ცნობების აუცილებლად თან დაერთვის დედანის სახით და კანონიერად შემოწმებულ ასლებით ორ ცალად.
 - ა) წლოვანების საბუთი (მეტრიკული მოწმობა),
 - ბ) საბუთი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებაზე (მამაკაცთათვის);
 - გ) საბუთი მუშათა ფაკულტეტის, ანუ რომელიმე საშუალო სასწავლებლის სწავლა დამთავრების შესახებ;
 - დ) ორი ფოტოგრაფიული სურათი;
 - ე) მივლინების მოწმობა (მივლინებულთათვის).
 - ვ) ანკეტა, თანდართული ფორმის მიხედვით, ჯეროვანად შემოწმებული – მივლინებულების სათანადო ორგანიზაციის მიერ, ხოლო დანარჩენების – პარტიულ, პროფესიონალურ, ან საბჭოთა ორგანიზაციების მიერ.
- 9. განცხადებათა მიღებას აწარმოებენ უმაღლეს სასწავლებელთა კანცელარიები 15 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე. განცხადებანი, რომელნიც აღნიშნულ ვადის შემდეგ შემოვლენ, არ განიხილებიან.
- 10. უმაღლეს სასწავლებელში შესვლის მსურველნი, გარდა მუშათა ფაკულტეტებზე კურს დამთავრებულებისა, აბარებენ გამოცდილებას იმ საგნებში და იმ პროგრამების მიხედვით, რომელსაც ყოველ

თვითოველ ფაკულტეტისათვის ამტკიცებს პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგეობა.

შენიშვნა: სამხატვრო პროფესიონალურ უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელნი აბარებენ გარდა ამისა, კიდევ განსაკუთრებულ გამოცდას, რომელსაც მიზნად აქვს გამოარკვიოს შემსვლელის სამხატვრო ნიჭი და მომზადების ხარისხი ამა თუ იმ ხელოვნების დარგში.

11. გამოცდები ხდება 15-დან 25 სექტემბრამდე, ვინც ამ ვადაზე გამოცდებს არ ჩააბარებს, იგი ჰკარგავს უფლებას 1924 წელში უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას. ამასთანავე არავითარ გამონაკლისს ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება.
12. ის პირნი, რომელთაც დამთავრებული აქვთ მუშათა ფაკულტეტი, გზავნიან თავიანთ საბუთებს, ანკეტებს და სხვა. უმაღლეს სასწავლებელში არაუგვიანეს 10 სექტემბრისა. ვინც აღნიშნულ ვადაზე საბუთებს არ წარმოადგენს, იგი ჰკარგავს უფლებას შევიდეს უმაღლეს სასწავლებელში წინამდებარე აკადემიურ წელში.
13. მსმენელთა უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვას ახდენს ადგილობრივი მიმღები კომისია 20 სექტემბრამდე.

შენიშვნა: ვინც გამოცდებს ვერ ჩააბარებს, თუ გინდ მივლიბებაც ჰქონდეს უმაღლეს სასწავლებელში არ მიიღება.

14. საჩივარი ადგილობრივ მიმღებ კომისიაზე მიეცემა პროფგანათლების მთავარმმართველობასთან არსებულ ცენტრალურ მიმღებ კომისიას არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა. ისი გადაწყვეტილება საბოლოოა.
15. ის პირნი, რომელნიც ჩარიცხულნი იქნებიან ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლებში და არ შეუდგებიან მუშაობას 10 ოქტომბრამდე, მექანიკურად გარიცხულ იქმნებიან სასწავლებლიდან, ხოლო ამნაირად განთავისუფლებულ ვაკანსიებზე მიიღებიან კანდიდატები.

II. მისაღები გამოცდების შესახებ

16. მისაღები გამოცდები სწარმოებს თანახმად 1924 წლის „მიღების წესდების“ მე-11 და მე-12-13 მუხლთა მოთხოვნისა.
17. პირობითი ჩარიცხვა იმ ვალდებულებებით, რომ შემსვლელმა ჩააბაროს გამოცდები რომელიმე სხვა ვადაზე შემდგომში, დაუშვებელია.
18. გამოცდათა სხვადასხვაობას (კოლოქვიუმებს, წერიტი სამუშაოების და სხვა) ადგენს გამომცდელი კომისია თანახმად პროფგანათლების მთავარმმართველობის მიერ მიცემულ ინსტრუქციისა და მიმღებ კომისიას მეთვალყურეობის ქვეშ.
19. გამოცდებს აწარმოებს სათანადო გამომცდელი კომისიები მიმღებ კომისიის მეთვალყურეობის ქვეშ. ამომცდელ კომისიის პერსონალურ შემადგენლობას არკვევს პროფგანათლების მთავარმმართველობა.

20. გამოცდებს აწარმოებს გამომცდელი კომისია თანახმად იმ სიებისა, რომელთაც უდგენს მას ადგილობრივი მიმღები კომისია, გამოცდების შედეგს თავისი დასკვნითურთ პირველი კომისია გადასცემს მეორეს.

III. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჩარიცხვის წესის შესახებ

21. ადგილობრივი მიმღები კომისია, მისდამი გამომცდელ კომისიის მიერ გადაცემულ მასალათა მიხედვით, ახდენს სტუდენტთა ჩარიცხვას უმაღლეს სასწავლებლებში სექტემბრის 25-დან 30-მდე.
22. ადგილობრივ მიმღებ კომისიებს კატეგორიულად აეკრძალება გადაამეტონ ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლებში ცენტრის მიერ განსაზღვრულ მისაღებ მსმენელთა რიცხვს იშვიათ შემთხვევაში და პროფგანათლების მთავარმმართველობის განსაკუთრებული ნებართვით შეიძლება თითო-ოროლობით ამა თუ იმ სასწავლებელში განსაზღვრულ ნორმაზე ზედმეტად მსმენელთა მიღება.
23. ოქტომბრის 1-სათვის უნდა გამოკიდებულ იქნას უმაღლეს სასწავლებლის თვალსაჩინო ალაგს მიღებულ მსმენელთა სია.

სახალხო განათლების კომისიის
თანამდებობის აღმასრულებელი – ე. მამულიაშვილი
პროფგანათლების მთავარმმართველობის გამგე – მეძმარიაშვილი
საქმეთა მმართველის მაგ. – ი. რუხაძე
დედანთან სწორია.

ფონდი რ-5, საქმე 49, ფურც. 4-6.

მოსხენებითი ბარათი

აჭრისტიანის ბანათლების სახალხო კომისარიატს აფხაზური სკოლების
შესახებ

*(დოკუმენტი მოიძია საარქივო სამმართველოს მთავარმა სპეციალისტმა ნა-
ზი ნაგერვაძემ, თარგმნა ნატო ქიქავამ)*

თქვენი დავალების მიხედვით ჩემს მიერ შესწავლილ იქნა აჭარისტი-
ანის აფხაზური სკოლების მდგომარეობა.

ასეთი სკოლა არსებობს ორი: ერთი ქალაქში- „გოროდოკში“, მეორე
კი „ანგისაში“. სკოლებში სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე, იმ დროს
როცა ბავშვებისათვის მშობლიური ენა აფხაზურია. ქართულ ენას ბავშვები
სწავლობენ საკმაო მონდომებით, თუმცა იგრძნობა, რომ მათ ძალიან
უჭირთ მეტყველება ქართულ ენაზე. თუ ყურადღებით დავაკვირდებით აჭა-
რის აფხაზების ცხოვრებას, ნათელი გახდება, რომ ამ დრომდე ერთმანეთს
შორის აფხაზურ ენაზე მეტყველება მიმდინარეობს გაცილებით უფრო თავი-
სუფლად, ვიდრე საკუთრივ აფხაზეთში. ეს არცაა გასაკვირი, რადგან აფხა-
ზები აჭარაში მოხდნენ რუსეთის მეფის ხელისუფლებასთან მძიმე და სის-
ხლისმღვრელი ომის შედეგად, ცარიზმი აწარმოებდა საომარ შეტევებს კავ-
კასიის მთიელებზე. ამჟამად, აჭარაში მცხოვრები აფხაზები არიან შთამომავ-
ლები იმ ვაჟკაცი მეომრებისა, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ ცარიზმის ჩა-
ნაფიქრის წინააღმდეგ, რომლებმაც განამტკიცეს შეხედულება კავკასიელ
მთიელებზე, როგორც უსაზღვროდ მამაცი ხალხის შესახებ. მათზე ამბობ-
დნენ, რომ ომი კავკასიაში – იყო დიდი და ძლიერი ციხესიმაგრის ალყა. კავ-
კასიასთან ომში წარმატება მიიღწეოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთმა
დაიწყო ნაწილ-ნაწილ წართმეულ მიწებზე გამაგრებული პუნქტებისა და
დასახლებების (სტანიცების) შექმნა-შემოსახლვრა. მშობლიური მიწიდან აყ-
რილი მთიელებითურქეთში გადადიოდნენ, იმ იმედით, რომ ოდესღაც დაბ-
რუნდებოდნენ სამშობლოში. უცხო მიწაზე წასვლისას მათ თან მიჰქონდათ
მშობლიური მიწის ნაწილი – მათი მთების უსაზღვრო და სამუდამო სიყვა-
რულის ნიშნად. უცხო მიწაზე მათ შეინარჩუნეს ეროვნულობა – ენა, ჩვეუ-
ლებები და ტრადიციები.

აფხაზების გადასახლება დაიწყო გასულ ასწლეულში. აფხაზების ნა-
წილი დასახლებულ იქნა ჭოროხის ქვემოწელის დაბლობში...

რუსეთის მიერ ბათუმის ალების შემდეგ (1878 წ.), აფხაზების და ჩერ-
ქეზების დიდი ნაწილი წავიდა ბათუმიდან. დარჩა მხოლოდ აფხაზების ის
მცირე ნაწილი, რომლებიც დღემდე მშვიდობიანად ცხოვრობენ ახალ სამო-
სახლოში. მათარ დაივიწყეს არც ენა, არც ადათ-წესები.

მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ აფხაზეთისათვის მიყენებული ჭრილობების მოშუშება დაიწყო მხოლოდ საბჭოთა პერიოდში, დაიწყო აფხაზური ერისადორძინება. აფხაზეთის სკოლებში დაიწვეს მშობლიურაფხაზურ ენაზე საუბარი, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო ენას არსებულენებს შორის. ჩნდება აფხაზური წიგნი, იბადება აფხაზური ინტელიგენცია. მაგრამ აფხაზ ერს დიდი დრო დაჭირდება იარების მოსაშუშებლად, რადგან მისი დიდი ნაწილი მიმოფანტულია მცირე აზიის ვრცელ ტერიტორიაზე...

ინტერესმოკლებული არ იქნება ყურადღების გამახვილება აჭარაში მცხოვრებ აფხაზებზე.

ქალაქის რაიონის სახლებს შორის მიახლოებით 70 სახლი იქნება აფხაზებისა, კახაბერში კი დაახლოებით 80. ამ დასახლებების ორ სკოლაში არიან აფხაზური ენის, როგორც საგნის მასწავლებლები. ამით აიხსნება ის, რომ ეს სკოლები ნაკლებად პოპულარულია, სწრებადობა უმნიშვნელოა და ბავშვები სკოლაში დადიან უხალისოდ. მათ სახეზე არ გამოიხატება არავითარი აღტაცება. ქალაქის სკოლაში სულ 45 ბავშვია, რომელთა შორის 54% მხოლოდ აფხაზია, ანგისის სკოლაში კი 88 მოსწავლეა და აქედან 65 აფხაზია. თუ წინა წლებში გაძნელებული იყო აფხაზი მასწავლებლის მონახვა აფხაზური სკოლებისათვის, ესლა ამ თვალსაზრისით უკვე არავითარი გართულება არაა, რადგან საკუთრივ აფხაზეთი უკვე ამზადებს აფხაზ პედაგოგებს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ უკვე დროა აჭარის აფხაზებს გაუფხსნათ სკოლები მშობლიურ ენაზე... და არა თურქული სკოლები, როგორც იყო სედად (რეშადის) ფაშას დროს.

ასე, რომ მიმაჩნია სრულიად დასაშვებად და აუცილებელიად აფხაზეთისთვის მშობლიურ ენაზე ორი სკოლის გახსნა, რითაც შეგვეძლება აფხაზი ბავშვების მიზიდვა სკოლებში, რომელთა უმეტესობა ამ დროს იმყოფება სკოლის გარეთ.

15 ოქტომბერი, 1929წ.

ქ. ბათუმი

ასსცსა, ფონდი რ-5, ან.1, საქმე 15, ფურც. 55-56

დაიჯესტი

(2015 წლის აპრილი – ოქტომბერი)

ეთენ პიერო – ფრანგი მკვლევარი

საარქივო სამმართველოს მკვლევართა დარბაზში 2015 წლის 30 მარტიდან 3 აპრილამდე მუშაობდა საფრანგეთის მოქალაქე ეთენ პიერო.

ეთენ პიერო, მუშაობს ასისტენტად პარიზის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე. ის ამზადებს დისერტაციას უახლეს ისტორიაში. დისერტაციის თემა ეხება მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის დროინდელ (1900-1937წწ.). ამიერკავკასიისა და ირან-თურქეთის ურთიერთობებს.

ეთენ პიერომ უკვე ჩაატარა საარქივო მოკვლევები კავკასიის სხვადასხვა არქივებში. ჩვენს არქივში მუშაობის მიზანი იყო მის მიერ უკვე მოპოვებული მასალების შევსება მდიდარი და ღირებულ საარქივო ცნობებით. აჭარის საარქივო სამმართველოში მის მიერ მოძიებული მასალები გამოყენებულ იქნება დისერტაციაში და სხვა სამეცნიერო სტატიებში.



სახლი ბათუმში. "სასწავლებლები"

8 აპრილს, აჭარის ტელევიზიის დოკუმენტურ გადაცემათა ციკლის „სახლი ბათუმში“- შემოქმედებითი ჯგუფი იმყოფებოდა საარქივო სამმართველოში, სადაც მიმდინარეობდა ჩაწერა მორიგი დოკუმენტური ფილმისათვის „სასაქალაქო სწავლებლები“

არქივის თანამშრომლებმა (ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე, ფრიდონ ქარდავა) გამოავლინეს და შეისწავლეს მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში არსებული ბათუმის სასწავლებლებთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტები და მონაწილეობა მიიღეს სატელევიზიო სიუჟეტის მომზადებაში.

9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება

აჭარის საარქივო სამმართველოში გაიმართა 1989 წლის 9 აპრილის დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება. საღამო მისასალმებელი სიტყვით გახსნა სამმართველოს უფროსის მოდგილემ ბატონმა თენგიზ სალუქვაძემ. საღამოს უძღვებოდა საამმართველოს უფროსის მოადგილე ბატონი თენგიზ ცინცილაძე.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ, სამსახურის უფროსი ელგუჯა გოგიბერიძე, განყოფილების უფროსი მაია რურუა და მთავარი სპეციალისტი ფრიდონ ქარდავა.

სამმართველოს სამკითხველო დარბაზში მოეწყო ამ დღისადმი მიძღვნილი ფოტო გამოფენა. ღონისძიების დასასრულს ნაჩვენები იქნა სლაიდ-შოუ.

საარქივო სამმართველოს საშუალო

ვადიანი გეგმის განხილვა

2015 წლის 5 მაისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში გაიმართა საარქივო სამმართველოს 2016-2019 წლების საშუალო ვადიანი გეგმის განხილვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ : უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი კახა შაშიკაძე, ფინანსთა სამინისტროს რესპუბლიკური ბიუჯეტის ფორმირებისა და შესრულების ანალიზის განყოფილების უფროსი დავით ბერიძე, ფინანსთა სამინისტროს ფორმირებისა და შესრულების ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტები ნაირა ცინცაძე და ცირა აბულაძე, არქივის თანამშრომლები, საზოგადოებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. ღონისძიება გახსნა და შესავალი სიტყვა წარმოსთქვა საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა. მოხსენებით გამოვიდა და 2016-2019 წწ საშუალო ვადიანი გეგმა წარმოადგინა სამმართველოს აპარატის უფროსმა ელგუჯა ჩაგანავამ.

შეხვედრა ომის ვეტერანთან

2015 წლის 7 მაისს, საარქივო სამმართველოში შედგა შეხვედრა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთან, ცნობილ არქივისტთან, ისტორიკოსთან და საზოგადო მოღვაწესთან ბატონ სერგო ტაბაღუასთან. საარქივო სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა მაია ივანიშვილმა ბატონ სერგოს მიულოცა ფაშიზმზე გამარჯვების დღე და გადასცა ფასიანი საჩუქარი.



საარქივო სამმართველოში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა

2015 წლის 25 მაისს საარქივო სამმართველოში გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

დამსწრე საზოგადოებას 26 მაისი მიულოცა და ღონისძიება გახსნა საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ასოცირებულმა პროფესორმა, ბატონმა ჯემალ კარაიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელშიც ნათლად აისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული პერიპეტეები. ლექციას საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად დაესწრნენ პროფესიული სასწავლებელი „ბლექსის“ სტუდენტები.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღის აღსანიშნავად მოეწყო ფოტოსურათების გამოფენა და ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი.

ასეთივე ღონისძიება გაიმართა ქობულეთის რაიონულ არქივში.



დოკუმენტები "ნობელზე"

ძმები ნობელების ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის თანამშრომელმა თამუნა ორაგველიძემ საარქივო სამმართველოს სამკითხველო დარბაზში მუშაობისას სააქციო საზოგადოება „შილინგოვსკი და კომპანიის“ მომთუ-თიებელი ქარხნის ფონდში აღმოაჩინა ნობელის შესახებ დაცული ახალი ინფორმაცია. კერძოდ, დოკუმენტებში „ძმები ნობელები და კომპანია“ იგი მოსხენიებულია დასახელებული ქარხნის კრედიტორად.

ამ ფაქტით დაინტერესდა აჭარის ტელევიზია და მიუძღვნა საარქივო სამმართველოში მომზადებული სპეციალური სიუჟეტი.

სტუმრად ბავშვთა სახლში

2015 წ.1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირე-ბით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესე-ბულება – საარქივო სამმართველოს უფროსი ქალბატონო მაია ივანიშვილი და სამმართველოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ ქ. ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებული საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში.

საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა სახლის აღსაზ-რდელებს გადასცეს სხვადასხვა სახის საჩუქრები და ტკბილეულობა.



ექსკურსია-გაკვეთილი საარქივო სამმართველოში

საარქივო სამმართველოში ქალაქ ბათუმის N 8 საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეებს (მასწავლებელი ქალბატონი ლალი თევზაძე) საინტერესო ექსკურსია-გაკვეთილი ჩაუტარდათ.

ბავშვები გაეცნენ არქივის მუშაობის ზოგად პრინციპებსა და მათთვის აქამდე უცნობ თავისებურებებს; დაათვალიერეს არქივის ლაბორატორია, დიგიტალიზაციის განყოფილება და საცავები.

სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკა საარქივო სამმართველოში

2-15 წლის პირველი ივნისიდან საარქივო სამმართველოში სასწავლო პრაქტიკა გაიარეს ბათუმის საზოგადოებრივი აკადემიის ოფის-მენეჯერის სპეციალობის II კურსის IV საფეხურის სტუდენტებმა (პედაგოგი ეთერ მიქელაძე)

სტუდენტებს საარქივო სამმართველოში ჩაუტარდათ პრაქტიკული და თეორიული მეცადინეობები, პროფესიონალი არქივისტების ხელმძღვანელობით გაეცნენ საქმისწარმოების, დოკუმენტებთან ურთიერთობისა და სხვა სპეციფიკურ საარქივო საქმიანობის წვრილმანებს, რაც დაეხმარება მათ, როგორც მომავალ ოფის-მენეჯერებს პროფესიული უნარების ჩამოყალიბებაში.

ახალი საარქივო მასალები

"სინაგოგები ბათუმში"

2015 წ. 6 ივლისს აჭარის ტელევიზიით გავიდა გადაცემა „სახლი ბათუმში“. იგი ეძღვნებოდა ბათუმში არსებულ სინაგოგებს.

გადაცემის მომზადებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო საარქივო სამმართველომ. არქივის თანამშრომლებმა (ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე) მოიძიეს ბათუმის სინაგოგებთან დაკავშირებული მასალები, მიაწოდეს გადაცემის ავტორებს და თავადადაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა სიუჟეტის მომზადებაში.

არქივს მკვლევარი ეწვია საფრანგეთიდან

საარქივო სამმართველოს მკვლევართა დარბაზში მკვლევარად მუშაობდა ფრანგი სტუმარი, საოცრად სათნო და კეთილშობილი ქალბატონი ედით იბერთი.

ქალბატონი ედითი არის ისტორიკოსი, პარიზის სამეცნიერო-კვლევითი ეროვნული ცენტრის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლის პროფესორი. იგი დაინტერესებულია პირველი მსოფლიო ომის პერიოდის აჭარის ისტორიის საკითხებით.



მონოგრაფია "აჭარის საარქივო სამმართველო (1923-2015) "

გამომცემლობა „უნივერსალმა“ გამოსცა საარქივო სამმართველოს ავტორთა კოლექტივის მეტად საინტერესო მონოგრაფია "აჭარის საარქივო სამ-

მართველო (1923-2015)". ნაშრომი საკმაოდ ვრცელია (410 ~ გვერდი). მასში წარმოდგენილია საარქივო დაწესებულების უწყვეტი ისტორია დაარსებიდან 2015 წლამდე.

შეხვედრა აფხაზი ინტელიგენციის

წარმომადგენლებთან

2015 წლის 27 ივლისს სარქივო სამმართველოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა აჭარაში მცხოვრები აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე მიხეილ სარჯველაძე, ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი და აჭარის საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი. შეხვედრას აგრეთვე ესწრებოდნენ საარქივო სამმართველოს თანამშრომლები: თენგიზ სალუქვაძე, თენგიზ ცინცილაძე, ელგუჯა ჩაგანავა, ელგუჯა გოგიბერიძე, თამაზ ფუტკარაძე, ციცი ცინცაძე, ნინო გოგიტიძე, ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლები: ნათელა დუმბაძე (ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ ხელმძღვანელი), ლეილა დუმბაძე, ნაირა ჩხარტიშვილი, ჩიტო ომერაძე, ვანო პაპუნძიძე.

აჭარაში მცხოვრებ აფხაზთაგან ღონისძიებას ესწრებოდნენ: ფერიდე აცამბა, ანზორ კუდბა, ზია ქათიბა, იაშა აჟიბა, ისმეთ ქუთელია, ნატო ლაზბა, ადა ქუთელია, ლიანა პამბა.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხებზე ისაუბრეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მიხეილ სარჯველაძემ, ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა, საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ: ნათელა დუმბაძე, ადა ქუთელია, ვანო პაპუნძიძე, ანზორ კუდბა, ლეილა დუმბაძე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ბათუმში დაბადებული და გაზრდილი, ამჟამად მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, საპატიო პროფესორის, 93 წლის ქალბატონის ფერიდე აცამბას გამოსვლა, რომელიც არჩეული იქნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს აჭარაში მცხოვრები აფხაზებისა და ქართველების ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის საკითხებსა და აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ დოკუმენტური მასალების თავმოყრის მნიშვნელობაზე საქართველოს არქივებსა და წინგნსცავებში.

დასასრულს, ღონისძიების ორგანიზატორებმა მადლობა გადაუხადეს შეხვედრის მონაწილეებს და გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



**შეხვედრა ჟურნალისტ, საზოგადო მოღვაწე
ოთარ ცინარიძესთან**

2015 წლის 11 აგვისტოს, საარქივო სამმართველომ ტერიტორიული ორგანოების – შუახევის, ხულოს და ქედის არქივების მონაწილეობით დაბა შუახევის კულტურის სახლში გაუმართა შეხვედრა ჟურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს – ოთარ ცინარიძეს.

ღონისძიება გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

მოხსენებით: „ოთარ ცინარიძე, ცხოვრება და ღვაწლი „გამოვიდა ჟურნალისტი ოთარ ფუტკარაძე.

მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ: ტარიელ ებრაღიძე – შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებელი, თამაზ ფუტკარაძე – საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი, მამუკა ფარტენაძე – ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ბესიკ ბაუჩაძე – ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი, ქეთი მიქელაძე – საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი, ვლადიმერ მახარაძე – ჰეკატეს გენერალური დირექტორი, რევაზ ფევაძე – ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ავთანდილ დიასამიძე – შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ნათელა ბახტაძე – უჩამბის საჯარო სკოლის დირექტორი, ოთარ სურმანიძე – შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მარინა მითაიშვილი – ჟურნალისტი, ვანო პაპუნიაძე – პროფესორი.

დამსახურებულ ჟურნალისტს ინტერნეტის საშუალებით თბილისიდან დაუკავშირდა და მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჟურნალისტმა ნინო მოდრეკილაძემ.

ღონისძიების პარალელურად მიმდინარეობდა ოთარ ცინარიძის მშობლიურ სოფელსა და თავად ოთარ ცინარიძის შესახებ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება. შუახევის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის მონაწილეობით შესრულდა აგრეთვე რამოდენიმე მუსიკალური ნომერი.

ღონისძიების დასასრულს დამსახურებული ჟურნალისტი დაჯილდოვდა საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით, რომელიც გადასცა საარქივო სამმართველოს უფროსმა მაია ივანიშვილმა. ოთარ ცინარიძე დაჯილდოვდა ასევე პატივდების სიგელით, რისთვისაც თბილისიდან შუახევში სპეციალურად ჩამოვიდა ეროვნულ და სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, პროფესორი ვაჟა ბერიძე. ოთარ ცინარიძე დაჯილდოვდა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის მედლით და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის სიგელით, რომელიც გადასცა ამავე ორგანიზაციის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ.



სტუმრად ცნობილ აფხაზ ქალბატონთან

2015 წლის 26 აგვისტოს საარქივო სამმართველომ საზეიმო გაცილება მოუწყო მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საპატიო პროფესორს, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს ქალბატონ ფერიდე აცამბას.

საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელი ქალბატონი მაია ივანიშვილი და თანამშრომლები: თამაზ ფუტყარაძე, ციცი ცინცაძე, მარინა კუცია და ნინო ჯაბნიძე ოჯახში ესტუმრნენ ღვაწლმოსილ მეცნიერს და მადლობა გადაუხადეს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის.

საარქივო სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა მაია ივანიშვილმა დამსახურებულ მეცნიერს გადასცა ფასიანი საჩუქრები და დააჯილდოვა საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით.



**მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენცია**

2015 წლის 17-18 სექტემბერს საარქივო სამმართველოში ჩატარდა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: "სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია)". კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საარქივო სამმართველოს ესტუმრნენ: რუსეთის, უკრაინის და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულების წარმომადგენლები.

კონფერენციის ფარგლებში მოეწყო ბათუმის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და ექსკურსია მარტვილში.

**საარქივო სამმართველომ "აფხაზეთის ვირტუალურ
არქივთან" მემორანდუმი გააფორმა**

2015 წლის 18 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოსა და ა(ა)იპ «აფხაზეთის ვირტუალურ არქივს» შორის მემორანდუმი გააფორმა, რომელსაც ხელი მოაწერეს საარქივო სამმართველოს უფროსმა ქალბატონმა მათა ივანიშვილმა და ა(ა)იპ «აფხაზეთის ვირტუალური არქივის» დირექტორმა ანნა ძიკაშვილმა.

მემორანდუმი ითვალისწინებს მხარეთა თანამშრომლობას საიტის „აფხაზეთის ვირტუალური არქივის“ შექმნის პროცესში მემორანდუმის ხელმოწერ მხარეთა თანამშრომლობას, აჭარაში მცხოვრები აფხაზების შესახებ ისტორიული მასალების (წერილობითი დოკუმენტები, ფოტომასალები) მოძიებასა და შეგროვებას.



მემორანდუმი № 86

ქ. თბილისი

18 სექტემბერი, 2015 წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ „აფხაზეთის ვირტუალური არქივი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ანნა ძიაშვიტას სახით (შემდგომში „აფხაზეთის ვირტუალური არქივი“) და მეორეს მხრივ, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო“ წარმოდგენილი მისი უფროსის მაია ივანიშვილის სახით (შემდგომში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველო“)

ვლებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგაე:

1. მემორანდუმის მიზანი

- 1.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია მხარეთა თანამშრომლობა პროექტ „აფხაზეთის ვირტუალური არქივის“ ფარგლებში.
- 1.2. მხარეები შეუერთდნენ წინამდებარე მემორანდუმს, რაც გამოხატავს მათ მისწრაფებას მიიღონ აქტიური მონაწილეობა საიტის (აფხაზეთის ვირტუალური არქივი) შექმნის პროცესში.

2. თანამშრომლობის ფარგლები

- 2.1 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე მხარეები იღებენ ვალდებულებას, განახორციელონ ყველა მოქმედება, რაც აუცილებელია მემორანდუმის მიზნის მისაღწევად.
- 2.2 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე აფხაზეთის ვირტუალური არქივი იღებს ვალდებულებას შექმნას ხარისხიანი და ფუნქციური ვებ-გვერდი, კოორდინაცია გაუწიოს პროექტში ჩართულ მხარეებს და უზრუნველყოს ვებ-გვერდის გამართული ფუნქციონირება.
- 2.3 წინამდებარე მემორანდუმის საფუძველზე ქართულ-აფხაზური ურთიერთობათა ინსტიტუტი იღებს ვალდებულებას, კონსულტირება გაუწიოს პრექტის შინაარსობრივ მხარეს, ითანამშრომლოს მთარგმნელობით საკითებში.

3. მემორანდუმის მოქმედების ხანგრძლივობა


- 3.1 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს პროექტის დასრულებამდე.
- 3.2 წინამდებარე მემორანდუმის ნუბისმიერი შესწორება დასაშვებია მხარეთა შეთანხმების საფუძველზე და ჩამოყალიბდება წერილობით.
- 3.3 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს.

4 მხარეთა ხელმოწერები:

აქიპ „აფხაზეთის ვირტუალური
აქრივი“

ქ. თბილისი, ყაზბეგის ქ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 405061034

დირექტორი




ანა მიაშვიძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
შთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
ხაარქივო სამმართველო.
მის: ბათუმი, ვ. გორგასალოს 126
საიდენტიფიკაციო კოდი: 245429610

სამმართველოს უფროსი:



მანია ივანიშვილი



2016-2019 წლების პროგრამული ბიუჯეტის

პროექტის საჯარო განხილვა

2015 წლის 25 სექტემბერს საარქივო სამმართველოში მოეწყო 2016-2019 წლების პროგრამული ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ავთანდილ ბერიძე, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი რამაზ ბოლქვაძე, მთავრობის აპარატის ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი კახა შაშიკაძე, პრესისა და მედიის წარმომადგენლები და არქივის თანამშრომლები.

შესავალი სიტყვით გამოვიდა და დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი.

მოსხენებით „2016-2019 წლების პროგრამული ბიუჯეტის პროექტი“ გამოვიდა სამმართველოს აპარატის უფროსი ელგუჯა ჩაგანავა. პროგრამული ბიუჯეტის შესახებ ისაუბრეს გრეთვე ავთანდილ ბერიძემ და კახა შაშიკაძემ.



ხულოს არქივის სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა

დასრულდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ტერიტორიული ორგანოს, ხულოს არქივის შენობის სარემონტო სამუშაოები, რომელიც მიმდინარეობდა 2015 წლის 11 აგვისტოდან მიმდინარე წლის 27 ოქტომბრამდე.

შესრულდა 21990 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. მთლიანად შეიცვალა შენობის სახურავი. გარემონტდა ფონდსაცავები, კანცელარია და ფოიე. მოეწყო თანამედროვე ტიპის განათება.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყო შენობის გარეთა ფასადის შეფუთვა ლითონის კონსტრუქციით.



ფონდსაცავს შოთა როყვას პირადი ფონდი შეემატა

2015 წლის 27 სექტემბერს საარქივო სამმართველომ შეხვედრა მოუწყო ცნობილი ქართველი მწერლის და საზოგადო მოღვაწის შოთა როყვას ოჯახის წევრებს (მეუღლე ნაზი მეგრელიშვილი, შვილი გრიგოლ როყვა, რძალი თეა აბაშიძე, შვილიშვილები: შოთა, ირაკლი, გიორგი, ნიკოლოზი), რომლებმაც არქივს გადასცეს პოეტის საოჯახო არქივში დაცული დოკუმენტური მასალები: ლექსები, პიესები, იუმორისტული ნაწარმოებები, რომანები, ხელნაწერები, აფიშები, ფოტოდოკუმენტები.

შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ: საარქივო სამმართველოს უფროსი მაია ივანიშვილი და საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი თამაზ ფუტყარაძე. მაია ივანიშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს არქივის ფონდსაცავების ახალი დოკუმენტებით გამდიდრებაში მონაწილეობის მიღებისთვის და მოუწოდა საზოგადოებას, მათ ოჯახებში დაცული წერილობითი თუ ფოტო დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მუდმივ შესანახად შემოიტანონ საარქივო სამმართველოში.

შეხვედრის მონაწილეებმა ღონისძიების დასასრულს გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები.



ჩვენი ავტორები:

1. **ოთარ გოგოლიშვილი** – ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის დირექტორი; შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
2. **თეა ქათამაძე** – ქუთაისის ცენტრალური არქივის ესფ დოკუმენტების დაცვის, უზრუნველყოფის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილების უფროსი;
3. **ციცინო ცინცაძე** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
4. **ლიუბოვ სოლოვიოვა** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტის პროფესორი;
5. **ნატო ქიქავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. **თინათინ ჯაბადარი** – საქართველოს უახლესი ისტორიის არქივის უფროსი სპეციალისტი;
7. **კარინა ბაზეიანი** – სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის სომხეთმცოდნეობის შირაკის ცენტრი, მეცნიერებათა კანდიდატი;
8. **გრიგოლ აღანიანი** – სომხეთის არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი;
9. **ფრიდონ ქარდავა** – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
10. **ქეთევან ფუტკარაძე** – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

Our authors:

1. **Otar Gogolishvili** – director of Khariton Akhvlediani Museum; professor of Shota Rustaveli State University;
2. **Tea Katamadze** – Head of National Archives preservation, registration and scientific-informational department of Central Archives of Kutaisi;
3. **Tsitsino Tsintsadze** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
4. **Liubov Soloviova** – professor of Ethnology and Anthropology Institute of Russia;
5. **Nato Kikava** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
6. **Tinatini Jabadari** – senior specialist of Central Archive of Contemporary History;
7. **Karina Bazeyan** – candidate of science, Shirak Armenology Research Center;
8. **Grigor Aghanyan** – Archaeology and Ethnography Institute of Armenia;
9. **Fridon Kardava** – main specialist of Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration;
10. **Ketevan Phutkaradze** – Phd student of Shota Rustaveli State University.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ნატო ქიქავა – საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური საქმიანობა აჭარაში 1930-1940-იან წლებში.....	3
2. ციცილო ცინცაძე – ფრიდონ ხალვაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი საკითხი.....	14
3. თეა ქათამაძე – ისევ ძველი ბათუმის რამდენიმე სახლის ისტორიისათვის	27
4. ფრიდონ ქარდავა – ნოე რამიშვილის ბიოგრაფიული შტრიხები.....	36
5. კარინე ბაზეიანი, გრიგორ ალაიანი – The town as a barear of Innovation values (on the example of town Alexandrapole).....	46
6. ლიუბოვ სოლოვიოვა – რელიგიური სიტუაციის თავსებურებანი კავკასიაში და მისი ასახვა XIX ს-ის საარქივო დოკუმენტებში.....	51
7. თინათინ ჯაბადარი – „ქართული ბაღეტი“ – პარიზის ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.....	60
8. ქეთევან ფუტკარაძე – ბავშვის პიროვნება, როგორც აღზრდის სუბიექტი.....	66
9. რეცენზია.....	69
10. ძველი პრესის ფურცლებიდან	76
11. საარქივო დოკუმენტები	88
12. დაიჯესტი	95



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge